

**ცაგერისა და ონის
მუნიციპალიტეტებში მიმდინარე
ჰესების მშენებლობასთან
დაკავშირებული გამოწვევები**

წინასწარი შეფასება





საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია



მწვანე
ალტერნატივა

ავტორი:

ირაკლი მაჭარაშვილი

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები:

სულხან სალაძე

ირმა პავლიაშვილი

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა
და მრავალკუთხედის ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

**Brot
für die Welt**

Bread for the World -
Protestant
Development Service

წინამდებარე შეფასება მომზადებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში. წინასწარი შეფასების დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და BFDW-ის დაფინანსებით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორების შეხედულებებს.

სიტუაციური მიმოხილვა

2014 წლის 18 დეკემბერს ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. ამავე დღეს ევროპარლამენტმა საქართველოს შესახებ რეზოლუციაც¹ მიიღო, სადაც ყურადღება გამახვილებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე; მათ შორისაა, ენერგეტიკა და გარემოს დაცვა. რეზოლუციის 46-ე პუნქტში ევროპარლამენტი „მოუწოდებს ევროკომისიას, დაეხმაროს და საფუძვლიანი მონიტორინგი გაუწიოს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისთვის გამიზნული საინვესტიციო პროგრამების განხორციელებისას; მოუწოდოს ხელისუფლების ორგანოებს, სრულად შეასრულონ ევროკავშირის სტანდარტები და ნორმები, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება დიდი ჰიდროელექტროსადგურების გარემოზე ზემოქმედების შეფასებას“.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადების შემდეგ საქართველოს მთავრობამ დაიწყო ახალი კანონმდებლობის შემუშავება. 2017 წლის ივნისში, ევროკავშირის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივის მოთხოვნებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც ეტაპობრივად შედის ძალაში. თუმცა გარემოზე ზემოქმედების შეფასების სწორი პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად ჯერ კიდევ დარჩენილია მნიშვნელოვანი სამუშაო. სწორედ ეს იქნა მხედველობაში მიღებული ევროპარლამენტის მიერ, როდესაც მან 2018 წლის 14 ნოემბერს მიიღო რეზოლუცია (დაამტკიცა ანგარიში) საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობის შესახებ². სხვა საკითხებთან ერთად ევროპის პარლამენტმა ყურადღება გაამახვილა გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის საკითხებზე. მან მოუწოდა საქართველოს მთავრობას შეიმუშაოს ქმედითი ენერგეტიკული სტრატეგია, ხელი შეუწყოს განახლებადი ენერჯის ათვისებასა და ენერგოეფექტურობას; გაზარდოს საზოგადოების მონაწილეობა/ხარისხი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას; გაახსენა საქართველოს მისი ვალდებულება მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებით და მოუწოდა ამ ვალდებულებების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. ევროპარლამენტი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობას დაგეგმილი აქვს ჰიდროენერჯის შემდგომი განვითარება და მოუწოდებს უზრუნველყოს ჰიდროენერგეტიკული პროექტების შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან, რაც გარემოზე ზეგავლენის შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და გადაწყვეტილების მიღებისას ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას უზრუნველყოფს.

¹ European Parliament non-legislative resolution of 18 December 2014 on the draft Council decision on the conclusion, on behalf of the European Union, of the Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part (09827/2014 – C8-0129/2014 – 2014/0086(NLE) – 2014/2816(INI)) ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P8-TA2014-0110+0+DOC+XML+V0//EN&language=EN>

² European Parliament resolution of 14 November 2018 on the implementation of the EU Association Agreement with Georgia (2017/2282(INI)) ხელმისაწვდომია <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P8-TA-2018-0457+0+DOC+XML+V0//EN&language=EN>

დღეისათვის საქართველოს არაერთ რეგიონში, მათ შორის რაჭასა და სვანეთში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მიმდინარეობს და საქართველოსადმი მთელი რიგი ვალდებულებებისა და რეკომენდაციების წარდგენის მიუხედავად, გარკვეულ პრობლემებს ქმნის გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ასევე გამოწვევას წარმოადგენს ინდივიდების დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის „საზოგადოებაზე ორიენტირებული განვითარების ხელშეწყობა მაღალმთიან რეგიონებში“ ფარგლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და პარტნიორი ორგანიზაცია მწვანე ალტერნატივის წარმომადგენლებმა დაგეგმეს ცავერსა და ონში მიმდინარე ჰესების სამშენებლო დოკუმენტების (სკოპინგის ანგარიშების) კვლევა, ევროკავშირის კანონმდებლობისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების (გაიდლაინების) გათვალისწინებით. აღნიშნული შესაძლებლობას მოგვცემდა ნათლად დაგვენახა მიმდინარე სამშენებლო პროცესთან დაკავშირებული ის გამოწვევები, რომელიც ნეგატიურად აისახება გარემოზე.

იმედს გამოვთქვამთ, რომ მომზადებული შენიშვნები დადებით როლს შეასრულებს საქართველოში მიმდინარე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროცესში გამოკვეთილი სისტემური ხარვეზების აღმოფხვრაში.

მეთოდოლოგია

სკოპინგის ანგარიშის შესწავლისას და შენიშვნების მომზადებისას ვისარგებლეთ სკოპინგის ანგარიშის შეფასებისათვის შექმნილი ორი კითხვარით: პირველი კითხვარი აჩვენებს წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისობას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებთან“; მეორე კითხვარი კი წარმოადგენს ევროკავშირის ანალოგიური კითხვარის ადაპტირებულ ვერსიას და გამოიყენება სკოპინგის ანგარიშის ხარისხის შეფასებისათვის, წარმოდგენილი საქმიანობის ზეგავლენის შეფასებისათვის და გვაძლევს ინფორმაციას გარემოს ზეგავლენის შეფასების (გზმ) ანგარიშის მომზადებისათვის ჩასატარებელი კვლევებისა და მეთოდების შესახებ⁴. კერძოდ: გამოვიყენეთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკონტროლო კითხვები (Checklist), რომელიც მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი და სხვ.) და ევროკავშირის დოკუმენტის - Guidance on the preparation of the EIA Report (Directive 2011/92/EU as amended by 2014/52/EU)⁵ მიხედვით, ასევე, გამოყენებულია „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი შეფასების მეთოდოლოგია (2017)“, რომელიც მომზადებულია USAID/G4G პროექტის ფარგლებში.

³ <https://gyla.ge/ge/post/adamianis-uflebebze-da-garemosdacvit-sakitkhebeze-momushave-organizaciebis-ganckhadeba-tchubersh-shegmnil-krizistan-dakavshirebit#sthash.4IQyzabu.dpbs>

⁴ Environmental Impact Assessment of Projects Guidance on Scoping (Directive 2011/92/EU as amended by 2014/52/EU). Implemented for the European Commission by COWI A/S and Milieu Ltd. The main authors: Paola Banfi, Adrien Lantieri, Jennifer McGuinn, and Alicia McNeill from Milieu Ltd. No ENV.F.1/FRA/2014/0063, implemented for the European Commission by COWI A/S and Milieu Ltd. © European Union, 2017 (<http://ec.europa.eu>).

⁵ http://ec.europa.eu/environment/eia/pdf/EIA_guidance_EIA_report_final.pdf

შენიშვნები და კომენტარები ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით

2019 წლის 17 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა სკოპინგის განცხადება - შპს „ენკა რინიუებლზს“ ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები; დაგეგმილი საქმიანობის დასახელება - ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები. შენიშვნების კომენტარების ვადად განსაზღვრული იყო 2019 წლის 9 ივლისი, თუმცა, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა არ დანიშნულა.

ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N73 გაცემულია 2015 წლის 25 დეკემბერს, რის საფუძველზეც საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ გაცემულია მშენებლობის ნებართვა. 2019 წლის 14 თებერვალს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება „ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებებზე (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ.

სკრინინგის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ კომპანიამ ჩაატარა პროექტის ოპტიმიზაციის სამუშაოები, ჰესების კასკადის სამშენებლო/დეტალური პროექტის მომზადების მიზნით. ოპტიმიზაციის პროცესში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჰესების კასკადის თავდაპირველ პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე. სკრინინგის განცხადების მიხედვით (რაც ასახულია სამინისტროს სკრინინგის გადაწყვეტილებაში) ცვლილებები შედის ნამახვანის ჰესების კასკადის შემადგენლობაში შემავალი ორივე ძირითადი ჰესის პროექტში. ამასთანავე, ჰესს, რომელსაც 2015 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ეწოდებოდა „ტვიში ჰესი“, კომპანიის მიერ წარმოდგენილ ახალ დოკუმენტებში ეწოდება „ზედა ნამახვანი ჰესი“. ხოლო ჰესს, რომელსაც 2015 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით ეწოდებოდა „ნამახვანი-ჟონეთი ჰესი“, კომპანიის მიერ წარმოდგენილ ახალ დოკუმენტებში ეწოდება „ქვემო ნამახვანი ჰესი“.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განიხილა სკრინინგის განცხადება, ასევე ამ განცხადებასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების „მწვანე ალტერნატივას“ და „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამინის მეგობრების“ მიერ წარმოდგენილი წერილობითი შენიშვნები და დაადგინა, რომ 2015 წელს დამტკიცებულ პროექტში შეტანილი ცვლილებები იწვევს ექსპლუატაციის პირობების მნიშვნელოვან ცვლილებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს გეოლოგიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკების გაზრდა და შესაბამისად გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება. აღნიშნულის გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე მიღებულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ნამახვანის ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ამ სკრინინგის გადაწყვეტილების საპასუხოდ, კომპანიამ მოამზადა მხოლოდ ქვემო ნამახვანი ჰესთან დაკავშირებული სკოპინგის ანგარიში. ამრიგად, კომპანიამ არასათანადოდ შეასრულა სკრინინგის გადაწყვეტილებაში მოცემული დავალებები.

ამ სახით გზმ ანგარიშის წარმოდგენა და დამტკიცება იქამდე მოგვიყვანს, რომ საბოლოოდ იარსებებს 3 გზმ ანგარიში და მათი შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაცია: 1) სს „ნამახვანის“ 2015 წლის მდ. რიონზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ, ნამახვანი ჰესი-333 მგვტ) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი 2). შპს „ენკა რინიუებლზს“ ქვემო ნამახვანი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების პროექტი და 3). შპს „ენკა რინიუებლზს“ ზემო ნამახვანი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების პროექტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფორმალურად რაც არ უნდა გამართული იყოს ეს სამი ანგარიში (რაც თეორიულადაც კი წარმოუდგენელია), საერთოდ ამრს უკარგავს გზმ-ს, როგორც პრევენციული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ინსტრუმენტს, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ჩარჩოს და საინფორმაციო საფუძველს საქმიანობებზე გადაწყვეტილების მიღებისას. თუ დავუშვებთ, რომ ერთსა და იმავე საქმიანობაზე (ამ შემთხვევაში - ნამახვანის ჰესების კასკადზე) იარსებებს სამი გზმ, შეუძლებელი იქნება გზმ-ს ფუნდამენტური მიზნის მიღწევა - საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება. სრული ქაოსი იქნება სამივე პროექტის სანებართვო დოკუმენტების შესრულების ანგარიშგებასთან და კონტროლთან დაკავშირებით.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ სამინისტრომ არ დაუშვას ასეთი საშიში პრეცედენტი და მოსთხოვოს ინვესტორს, რათა თავიდან წარმოადგინოს ნამახვანის ჰესების კასკადის გაერთიანებული პროექტის სკოპინგის ანგარიში და შემდგომ მის საფუძველზე მოამზადოს ერთიანი გზმ ანგარიში.

იმ შემთხვევაში, თუ ცალ-ცალკე პროექტების სახით მომზადდება ქვემო ნამახვანის ჰესის ცვლილებების და ზემო ნამახვანის ჰესის ცვლილებების პროექტები, მაშინ ცვლილებას მოითხოვს საბაზო პროექტიც, რათა სამივე ამ პროექტში ასახული უნდა იყოს კუმულაციური ზემოქმედება დანარჩენი ორი პროექტის მიმართ. ეს კი პრაქტიკულად ნიშნავს, რომ სამმა სხვადასხვა გზმ-მ უნდა აღწეროს გაერთიანებული (კასკადის) პროექტის ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ანუ საერთო ჯამში, კომპანიასაც უფრო მეტი მოცულობის, მაგრამ ნაკლებ ეფექტური სამუშაოს განევა მოუწევს, ვიდრე ნამახვანის ჰესების კასკადის გაერთიანებული პროექტის ერთიანი გზმ ანგარიშის მომზადების შემთხვევაში.

მიმდინარე წელს წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და სკოპინგის ანგარიში⁶ კიდევ ერთხელ ნათელს ხდის, რომ 2015 წელს შესრულებული გზმ ანგარიში ძალზე არასრულყოფილი, დაბალი ხარისხის იყო და მასზე არ უნდა გაცემულიყო დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. თავად სკოპინგის ანგარიში აღიარებს, რომ 2015 წელს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და მშენებლობის ნებართვა 2015 წელში გაცემული იყო „ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე“ (და არა რეალური გარემოზე ზემოქმედების შეფასების) და რომ დეტალური კვლევები სხვადასხვა მიმართულებით, მათ

⁶ იხ: www.mepa.gov.ge

შორის გეოლოგიური და გეოდინამიკური რისკების კვლევები, ისევე როგორც ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ზემოქმედების შესწავლა, არ ჩატარებულა. შესაბამისად, არჩეული იქნა ისეთი ალტერნატივა, რომელიც არც უსაფრთხოების და არც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უკეთესი არ იყო. სკოპინგის ანგარიშში ნათქვამია, რომ 2015 წელს დამტკიცებულ დოკუმენტებში მოცემული მტკიცებები და დაშვებები ეყრდნობოდა გასულ საუკუნეში, საბჭოთა პერიოდში ჩატარებულ კვლევებს.

სკოპინგის ანგარიშში არ მოიცავს „სრულ“ პროექტს. გარდა იმისა, რომ არ არის განხილული ზემო ნამახვანის ჰესი, არაფერია ნათქვამი ჰესთან ასოცირებული ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილისა და მათი ზემოქმედების შესახებ (მაგალითად, არ არის ნაჩვენები სად განთავსდება ელექტროგადამცემი ხაზი და სამშენებლო ბანაკი). დოკუმენტში არასრულყოფილად არის წარმოდგენილი ალტერნატივები, ჰესის სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განთავსების ალტერნატიული ვარიანტები (მხოლოდ ძალური კვანძის განთავსების ალტერნატივა არის განხილული).

ანგარიშში წარმოდგენილია ჰესის ფიზიკური მახასიათებლები, თუმცა არ ვხვდებით ინფორმაციას თვეების მიხედვით სავარაუდო გამომუშავების შესახებ, აგრეთვე ელექტროგადამცემი ხაზის პარამეტრებისა და მარშრუტის, მრავალწლიანი საშუალო ჩამონადენის გამოყენების შესახებ (რამდენი პროცენტი იქნება გამოყენებული).

სკოპინგის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია გზმ ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ ზოგადია, არ არის დასახელებული გარემოს თითოეული კომპონენტის შესწავლის მეთოდები. ზოგიერთი მეთოდი არასწორად არის განსაზღვრული (წყლის ხარჯი, ჰაბიტატების შეფასება), არ არის აღწერილი გარემოს თითოეული კომპონენტის შესწავლის პერიოდი (წლის რომელ სეზონში, რომელ თვეებში მოხდება შესწავლა და რამდენი ხანი გაგრძელდება).

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები არათანმიმდევრულია, არ ეყრდნობა გარემოზე ზემოქმედების შემცირების პირამიდის პრინციპს, რადგან წარმოდგენილი არ არის თავიდან აცილებისა და კომპენსაციის ღონისძიებები.

ანგარიშში არ მოიცავს ინფორმაციას: ეკოსისტემების, ეკოსისტემური სერვისების, ჰაბიტატების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ სახეობების შესახებ ინფორმაცია 2015 წელს შესრულებული გზმ ანგარიშიდან არის გადმოწერილი. შესაბამისად, რელევანტურად ვერ განვიხილავთ. ამასთან, ანგარიშში არ მოიცავს მოსალოდნელი ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვადასხვა კონვენციით დაცული სახეობების ჩამონათვალს.

სკოპინგის ანგარიშის 4.1.5. ქვეთავის მიხედვით, საქმიანობა ზეგავლენას არ მოახდენს დაცულ ტერიტორიებზე, რადგან მათგან მნიშვნელოვანი მანძილითაა დაშორებული. მათი თქმით, არც გზმ ეტაპზე არ მოხდება დაცულ ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასება. ეს არის კრიტიკული შეუსაბამობა კანონმდებლობასთან - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის ბ.ა) ქვეპუნქტი, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ სკოპინგის უარყოფითი დასკვნა გაიცეს (დანვრილებით იხ. ქვემოთ კითხვარი).

ჰაერის ემისიებისა და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე საერთოდ არ არის განხილული, შესაბამისად, არასწორად არის ჩათვლილი, რომ შემოქმედება იქნება „ძალიან დაბალი“ (სკოპინგის ანგარიში, ცხრილი 4.2.4.1).

ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლების ხარისხზე შემოქმედების შეფასებისას არ არის გათვალისწინებული წყალსაცავისთვის დამახასიათებელი დაბინძურება (ბიომასის ლპობა და ა.შ.). არ არის გათვალისწინებული, რომ რეგიონში ძალზე დიდი რაოდენობით კარსტული წარმონაქმნები და მიწისქვეშა წყლებია, რაზეც ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები და ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება ზეგავლენას მოახდენს.

მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის დადგენა სინამდვილეში მოხდა საბჭოთა, ე.წ. „სანიტარიული ხარჯის“ მეთოდიკით და არა თანამედროვე მეთოდებით, რომელიც შესაბამისი იქნებოდა თუნდაც ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივისა.

სკოპინგის ანგარიშის 4.1.9 თავში ნათქვამია, რომ ე.წ. „ეკოპესი“ იმუშავებს კაშხლიდან გატარებულ ე.წ. ეკოლოგიურ ხარჯზე. ეს ნიშნავს, რომ თევზების არც ერთი ინდივიდი აღარ გადარჩება, ვინაიდან ამ „ეკოპესის“ ტურბინებში დაილუპება. ამრიგად, საერთოდ უნდა დაისვას საკითხი ამ „ეკოპესის“ მიზანშეწონილობის შესახებ.

არ არის განხილული, როგორ იმოქმედებს წელიწადში ორჯერ წყალსაცავის გარეცხვა ქვედა ბიეფში მობინადრე თევზებზე და სხვა ცოცხალ ორგანიზმებზე (თავი 4.1.10).

არ არის დასაბუთებული მტკიცება იმის შესახებ, რომ მიწისქვეშა წყლების დებეტზე შემოქმედების რისკები მოსალოდნელი არ არის (სკოპინგის ანგარიში, თავი 4.1.11). გასათვალისწინებელია, რომ აქამდე დეტალური გეოლოგიური შესწავლა არ ჩატარებულა, ხოლო კომპანია „ქლინ ენერჯის“ და მისი კონტრაქტორის „გამას“ მიერ ამ საკითხის არასრულყოფილად შესწავლის გამო უამრავი პრობლემა დაგროვდა „შუახევი ჰესის“ პროექტში, რამაც ბევრ სოფელში სასმელი წყლის დაკარგვა და საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ენერგეტიკული ავარია გამოიწვია.

არასწორია მტკიცება იმის შესახებ, რომ პროექტი არ იქონიებს ზეგავლენას წყლის რესურსების ხელმისაწვდომობაზე, ვინაიდან თავის დროზე (2015 წლის პროექტი) ამ საკითხის შესწავლა არ მოხდა სათანადო მეთოდიკით (სკოპინგის ანგარიში, თავი 4.1.12). ამავე მიზეზით, არასწორია მტკიცება, რომ პროექტი არ იქონიებს შემოქმედებას წყლის ბიოლოგიურ გარემოზე (სკოპინგის ანგარიში, თავი 4.1.13).

მოსალოდნელი შემოქმედების შეჯამებისას (სკოპინგის ანგარიში, ცხრილი 4.2.11.1) საუბარია მხოლოდ ავარიულ შემთხვევებზე, თითქოს დიდი ჰესის პროექტს შემოქმედება მხოლოდ ავარიის შემთხვევაში აქვს. განხილულია იქთიოფაუნაზე შემოქმედება მხოლოდ უკანონო თევზჭერით და არა ჰესის ფუნქციონირებით.

საერთოდ არ არის განხილული შემოქმედება აგრო-ბიომრავალფეროვნებაზე და სოფლის მეურნეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ შემოქმედებას (დატბორვა, მიწათსარგებლობის ტიპის ცვლილება) განიცდიან სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

ფაუნისტური ნუსხები წარმოადგენენ ძალიან სავარაუდო ჩამონათვალს, გზმ ეტაპზე საკითხი საგულდაგულო შესწავლას საჭიროებს.

ვიზუალური ზემოქმედების კონტექსტში არ არის განხილული მიწის სამუშაოების დროს გამონამუშევარი ქანები და სხვა სამრეწველო ნარჩენები.

სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედების განხილვის დროს გამორჩენილია ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი: პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე უარყოფითი ზემოქმედება ტერიტორიაზე ლეჩხუმში, რაჭაში და ქვემო სვანეთში, ასევე პრომეთეს მღვიმეზე (მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო ნაკადებით გამოწვეული საცობები) ზემოქმედება მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებზე (ღვინის მწარმოებლები, მარნები, ოჯახური სასტუმროები) - დატბორვის და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაკარგვის, ვაზის უნიკალური ჯიშების არეალში მიკროკლიმატის ცვლილების, მშენებლობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და დამტვერიანების შედეგად მარეგულირებელი ეკოსისტემური სერვისის - დამმტვერავე მწერების - შემცირება/დაკარგვა. შესაბამისად, ზემოქმედება ეკონომიკაზე და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე ტენდენციურად არის შეფასებული და არა ისე, როგორც ამას მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობა.

შემარბილებელი ღონისძიებების ცხრილი სრულიად არა რელევანტურია, ბევრი ზემოქმედება უბრალოდ იგნორირებულია (ბიომრავალფეროვნებაზე და ეკოსისტემურ სერვისებზე, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ზემოქმედება კარსტულ მღვიმეებზე და მიწისქვეშა წყლებზე, წყლის მჟავიანობაზე ბეტონის წარმოების ზემოქმედება, მდინარისპირა მცენარეულობის დეგრადაცია ბუნებრივ კალაპოტში მხოლოდ სანიტარიული ხარჯის დატოვების გამო, ზემოქმედება აგრო-ბიომრავალფეროვნებაზე/ყურძნის ადგილობრივ ჯიშებზე, ზედაპირული წყლების დაბინძურება წყალსაცავის გამო, ჰესთან ასოცირებული ინფრასტრუქტურის - გადამცემი ხაზები, ქვესადგურები და სხვა. ზემოქმედებით ჰაბიტატების ფრაგმენტაცია-დეგრადაცია და სხვა ბიომრავალფეროვნების საფრთხეები და ა.შ.) საერთოდ არ არის წარმოდგენილი, რა სახის საკომპენსაციო ღონისძიებებს გამოიყენებს კომპანია დაზიანებული და დაკარგული ჰაბიტატების სანაცვლოდ („შეძლებისდაგვარად გამწვანებითი სამუშაოების ჩატარება“ არ შეიძლება სერიოზულად იყოს განხილული, როგორც მცენარეულობისგან სამშენებლო დერეფნის განმედიის საკომპენსაციო საშუალება. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ადეკვატური ჰაბიტატის აღდგენა).

დოკუმენტში წარმოდგენილი დასკვნები პროექტის დადებით ზეგავლენასთან დაკავშირებით, საკმაოდ ზოგადია. არ არის ნაჩვენები კონკრეტული რაოდენობრივი მონაცემები, ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენი ადამიანის დასაქმება მოხდება, როგორც პროექტის მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე. აგრეთვე, დოკუმენტში არ არის განხილული, როგორ მოხდება ფიზიკური და ეკონომიკური განსახლების კომპენსაცია. შესაბამისად, რთულია მსჯელობა, რამდენად გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები.

იმისათვის, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას წარმოდგენა შეეძინას პროექტის სოციალურ ეკონომიკურ ზემოქმედებაზე, აუცილებელია საპროექტო არეალში ზემოქმედების

ქვეშ მყოფი სოფლების აღწერა და მათი ჩამონათვალი. ასეთი რამ დოკუმენტში საერთოდ არ არის განხილული. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს ფიზიკურ და ეკონომიკურ განსახლებას. შესაბამისად, მოსახლეობას შეეზღუდება რესურსებზე ხელმისაწვდომობა. განხილული უნდა იყოს, როგორ იმოქმედებს ეს ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ანგარიშში აღწერილია ის ზეგავლენა, რაც პროექტს ექნება ადამიანების ჯანმრთელობაზე, თუმცა, არ არის სრულყოფილად განხილული. მაგალითად, როგორ იმოქმედებს ტენიანობის მომატება ადამიანთა ჯანმრთელობაზე. არ არის განხილული ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების შედეგად გარემოსა და მოსახლეობაზე ზემოქმედების შეფასების საკითხი. მთელ ტექსტში არ არის დაცული ციტირების წესი, შესაბამისად, შეუძლებელია წყაროების გამოყენების სისწორის შეფასება.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნებთან შეუსაბამობისა და სკრინინგის გადაწყვეტილების უგულვებელყოფის გამო, წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშზე უარყოფითი დასკვნა უნდა გაიცეს.

გემოაღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიას ნათლად მიეთითოს:

მოამზადოს სრული საქმიანობის ახალი გზა, რომელიც მოიცავს როგორც ზემო, ისე ქვემო ნამახვანის ჰესებს და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას, ასევე ე.წ. საბაზო პროექტის ზემოქმედებას. საბოლოო ჯამში, უნდა გაუქმდეს 2015 წლის პროექტთან დაკავშირებული ნებართვები და მიღებული იქნას ერთი (და არა სამი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ერთიან პროექტზე. გასათვალისწინებელია, რომ კომპანიას აქამდე არ აქვს წარმოდგენილი ის დოკუმენტები, რაც მოთხოვნილი იყო 2015 წლის 25 დეკემბერს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის პირობებით: ზოოლოგიური კვლევები, ბიომრავალფეროვნების აღდგენის და საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმები, მონიტორინგის გეგმა, ეპიზოტიური კვლევა, კარსტული მღვიმეების კვლევა, გეოდინამიკური პროცესების კვლევა და ა.შ. არ იყო წარმოდგენილი პროექტის ზემოქმედება ვაზის უნიკალური ჯიშების მიკროზონებზე, ფერმერულ მეურნეობებზე და საოჯახო მარნებზე (2015 წლის შემდეგ ამ მხრივ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა, გაიზარდა წარმატებული საოჯახო მარნების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ ადგილობრივი ღვინოების ექსპორტს და მონაწილეობენ ადგილობრივი ფერმერების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში).

აღნიშნული გარემოებები არის იმის მყარი საფუძველი, რომ კომპანიამ წარმოადგინოს სრული გზა ანგარიში ახალი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად.

გარდა გზა ანგარიშისა, კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ე.წ. შესაბამისობის შეფასება“ (Appropriate Assessment, AA), სადაც განხილული იქნება პროექტის ზეგავლენა როგორც ზედა, ისე ქვედა ბიეფში განლაგებულ „ზურმუხტის საიტებზე“. ჰიდროელექტროსადგურის განთავსებამ მდინარის ზემო წელში, შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ქვემო წელში მდებარე ზურმუხტის ტერიტორიაზე წყლის ჩამონადენის და სედიმენტების ტრანსპორტირების ცვლილების, დაბინძურების ან თევზის სახეობების სამიგრაციო გზების დარღვევის გამო (იხ. ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტი European Commission, 2018. Guidance on The requirements for hydropower in relation to Natura 2000). „შესაბამისი

შეფასება“ უნდა მომზადდეს ადრეულ ეტაპზე. გასათვალისწინებელია, რომ მდინარე რიონი ბერნის კონვენციით დაცული ატლანტური ზუთხის ერთადერთ საბინადრო გარემოს წარმოადგენს. ჩვენთვის ცნობილია, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტმა შეისწავლა ზუთხების სახეობებზე პროექტის ზეგავლენის საკითხი და უარყოფითი შეფასება მისცა პროექტს.

2015 წელს მომზადებულ გზმ ანგარიშში მდინარის გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასება გაკეთებულია საბჭოთა სტანდარტებით, რაც გულისხმობს 10%-იანი სანიტარიული ხარჯის დატოვებას მდინარის ბუნებრივ კალაპოტში. კომპანიას უნდა მიეთითოს, რომ გამოიყენოს „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო“.⁷

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შენიშვნების მომზადებისას ვისარგებლეთ სკოპინგის ანგარიშის შეფასებისათვის შექმნილი ორი კითხვარით. სკოპინგის ანგარიშის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასებისას ნათლად გამოჩნდა, წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში არ მოიცავს ყველა პუნქტს, რომელიც სავალდებულოა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით (კერძოდ, დაცულ ტერიტორიებთან და საბადოებთან დაკავშირებული საკითხები). შესაბამისად, სამინისტროს აქვს მყარი საფუძველი იმისათვის, რომ გასცეს სკოპინგის უარყოფითი დასკვნა. კომპანია უფლებამოსილია გადაამუშაოს და თავიდან წარმოადგინოს სკოპინგის დასკვნა. ამასთანავე, წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში არ ითვალისწინებს სამინისტროს სკრინინგის გადანყვეტილებით დადგენილ მოთხოვნებს და არც დასაბუთებულია ამგვარი გაუთვალისწინებლობის მიზეზი. სკოპინგის ანგარიშისთვის მნიშვნელოვანი საკითხები დაბალ დონეზეა შესრულებული. ევროკავშირის ადაპტირებული კითხვარით შეფასებამ ნათლად წარმოაჩინა სკოპინგის ანგარიშის ხარისხის ნაკლოვანებები და გზმ ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაოს მოცულობა.

შენიშვნები და კომენტარები მდ. რიონზე ონის კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე და მის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

„ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტის განხორციელებას გეგმავს სს „ონის კასკადი“. დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს „ონის მუნიციპალიტეტში, მდ. რიონის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისებას მ.დ. 1095.5-669.2 მ ნიშნულებს შორის მონყობილი ჰიდროტექნიკური ნაგებობების საშუალებით. საპროექტო ჰესების კასკადი იქნება ორ საფეხურიანი. პირველი საფეხური (ონი 1 ჰესი) მოეწყობა მ.დ. 1095.5-832.1 მ ნიშნულებს შორის, ხოლო მეორე საფეხური (ონი 2 ჰესი) - მ.დ. 770.5-669.2 მ ნიშნულებს შორის.

2018 წლის პირველ იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა განცხადება „ონის მუნიციპალიტეტში, სს „ონის კასკადი“ „ონის ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშის საჯარო განხილვის“ შესახებ. განცხადების თანახმად, საჯარო

⁷ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მართვლობა განვითარებისათვის“ USAID/G4G; „დელოიტ ქონსალტინგი“, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო | საქართველო, ავტორი: GEORGIA'S ENVIRONMENTAL OUTLOOK, თებერვალი 2017, რედ. გიორგი ჩიქოვანი, ქეთევან სხირელი, მარიამ ბახტაძე.

განხილვა უნდა ჩატარებულიყო 2018 წლის 19 თებერვალს, 14:00 საათზე, ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობაში.

საიტზე გამოქვეყნებული იყო გზმ წინასწარი ვერსია, ასევე ტექნიკური რეზიუმე და არატექნიკური რეზიუმე. განცხადების თანახმად, გზმ ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ასევე ხელმისაწვდომი იყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის, ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობასა და გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ორგანიზაცია შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში.⁸

აღნიშნული პროექტის თაობაზე 2019 წლის 18 თებერვალს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა კიდევ ერთი განცხადება, პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან ერთად. განცხადების თანახმად, დაინტერესებულ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა დაგეგმილი საქმიანობის გზმ ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები წარედგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, 2019 წლის 1 მარტამდე. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რომლის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ აკისრებს ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულებას განათავსოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადება ოფიციალურ ვებგვერდზე, მიუხედავად ამისა, სამინისტრო საზოგადოების ინფორმირებისთვის უზრუნველყოფს შემოსული განცხადებების ვებგვერდზე განთავსებას, ასევე შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, განსაზღვრავს საზოგადოებისგან შენიშვნების მიღების ვადას.⁹ თანდართულ გზმ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, 2016 წლის 09 სექტემბერს 15 საათზე, ონის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის შენობაში გაიმართა ონის ჰესების კასკადის წინასწარი გარემოს დაცვითი შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს თანაინვესტირების ფონდის და შპს „ფერი“-ს წარმომადგენლები, შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლები, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა დაინტერესებული პირები. ჰესების კასკადის შემაჯამებელი საჯარო განხილვა ჩატარდა 2018 წლის 19 თებერვალს ქ. ონის კულტურის სახლის შენობაში. განხილვებს ესწრებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, საკრებულოს და მერიის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი და სხვები“.

დოკუმენტაციას არ ახლდა ამ საჯარო განხილვების ჩატარების არანაირი მტკიცებულება. ცხრილის სახით წარმოდგენილი იყო მხოლოდ „საჯარო განხილვის პროცესში შემოსული

⁸ <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/53>

⁹ <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/11399>

შენიშვნების და წინადადებების შესახებ ინფორმაცია“. ამ ცხრილში მოცემულია მართო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენიშვნები.

სამინისტროს მიერ 2018 წლის 18 თებერვალს გამოქვეყნებულ განცხადებასთან დაკავშირებით მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილობით მიმართა. მასში აღნიშნული იყო, რომ ზემოხსენებულ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტის თანახმად, „სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსმა 2019 წლის 15 თებერვალს მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და აცნობა, რომ სააგენტოში შესულია სს „ონი კასკადის“ 13.02.2019 წლის N15 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიონზე, 206.1 მგვტ სიმძლავრის „ონის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობის გარემოსდაცვითი გადანწყვეტილების მიღების საკითხს და სთხოვა საკითხის განხილვა.

წარდგენილი დოკუმენტებიდან ნათელია, რომ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო გარემოსდაცვითი გადანწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2019 წლის 15 თებერვლის განცხადების საფუძველზე. ამდენად, გაუგებარია რატომ იყენებს სამინისტრო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს და გადანწყვეტილების მიღებას 2018 წლის 1 იანვარს ძალადაკარგული კანონით აპირებს. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, გარემოსდაცვითი გადანწყვეტილების მისაღებად თავად კომპანიამ უნდა მიმართოს გადანწყვეტილების მიმღებ ორგანოს. ამდენად, სამინისტროს საერთოდ არ უნდა განეხილა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს განცხადება, ხოლო ნებართვის მაძიებლისთვის აქხნა კოდექსით დადგენილი პროცედურები. იმ შემთხვევაში თუკი, მართლაც ჯერ კიდევ 2018 წლის 1 იანვრამდე იყო სამინისტროში წარდგენილი განცხადება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის მოთხოვნით, რომლის საფუძველზეც სამინისტრომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება - გაუგებარია რა ტიპის, რა რეგულაციით დადგენილი წარმოებაა ეს, რომელიც მინიმუმ 14 თვეა გრძელდება. როგორც ცნობილია, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „ნებართვის გაცემის წესი“ თანახმად: სამინისტრო ნებართვის გაცემის შესახებ გადანწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 20 დღის ვადაში. ხოლო თუკი, ადმინისტრაციული წარმოება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საკმაოდ მკაცრი მოთხოვნების დარღვევით, მაინც ამდენი ხანია გრძელდება წარმოება, რატომ გამოყო სამინისტრომ საზოგადოების ჩართვისათვის მხოლოდ 12 კალენდარული დღე“.

მწვანე ალტერნატივამ მიუთითა სამინისტროს, რომ „ყოველივე ზემოაღნიშნული არის არაერთი კანონისა და კონვენციის მოთხოვნების მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც სამინისტრომ დროულად უნდა აღმოფხვრას და შეწყვიტოს ეს სრულიად უკანონო პროცესი, რომლის ერთადერთი მიზანია კომპანიას მისცეს პროექტის ზემოქმედების სრულფასოვნად შესწავლისა და საზოგადოების ლეგიტიმურ შეკითხვებზე პასუხის გაცემის ვალდებულებისაგან თავის არიდების შესაძლებლობა“.

2019 წლის 25 თებერვალს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა ახალი განცხადება ონის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებით. მასში აღნიშნული იყო, რომ „2019 წლის 15 თებერვალს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოადგინა განცხადება (N04/238) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. სამინისტრომ პროექტის სიღრმისეული განხილვისა და საფუძვლიანი შესწავლის მიზნით, შუამდგომლობით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (N1678/01), გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის 2019 წლის 25 აპრილამდე გაგრძელების შესახებ. 2019 წლის 22 თებერვლის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (N36-04) ბრძანების საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაგრძელდა 2019 წლის 25 აპრილამდე.“ ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების გამო, პროექტის გზმ ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენის ვადა გაიზარდა 2019 წლის 19 აპრილამდე.¹⁰

ამის შემდეგ პროცესი გაურკვეველად გაგრძელდა. 2019 წლის 14 ივნისს ონის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ/ფეისბუკ გვერდებზე გამოქვეყნდა განცხადება სათაურით „ონის ჰესების კასკადის პროექტის პრეზენტაცია“. მასში აღნიშნული იყო, რომ „სს „ონი კასკადი“ და ონის მუნიციპალიტეტის მერია გიწვევთ ონის ჰესების კასკადის პროექტის პრეზენტაციაზე“. ღონისძიება დაიწყო იყო ქ. ონში 18 ივნისს, სამშაბათს, 13:00 საათზე, გიგა ჯაფარიძის სახელობის ონის კულტურის ცენტრში. განცხადების თანახმად: „პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოება მიიღებს ამომწურავ ინფორმაციას პროექტის თაობაზე და იხილავს პროექტის დეტალურ ვიდეო ანიმაციას. ღონისძიების ბოლო ნაწილი კი დაეთმობა კითხვა-პასუხის სესიას. მოსახლეობის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სს „ონი კასკადი“. დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში“. განცხადებაში არ იყო აღნიშნული, წარმოადგენდა ეს განხილვა თუ არა კანონმდებლობით განსაზღვრულ გზმ-ს საჯარო განხილვას. არ იყო წინასწარ გავრცელებული განსახილველი დოკუმენტიც.

რამდენიმე დღეში, იმავე ფეისბუკგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ „18 ივნისს ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა „ონის კასკადის“ პროექტის საჯარო პრეზენტაცია, შეხვედრა წარიმართა კითხვა - პასუხის რეჟიმში, ნაჩვენები იყო პროექტის საფუძველზე შექმნილი ვიდეოანიმაცია და დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები“. თანდართული იყო შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა.¹¹

ამ მოვლენების შემდეგ პროექტს გაგრძელება არ მოჰყოლია. 2019 წლის 31 აგვისტოს მწვანე ალტერნატივამ სიტუაციაში გარკვევის მიზნით განცხადებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიმართა.

სააგენტომ აცნობა ორგანიზაციას, რომ „ამ ეტაპზე მშენებლობის ნებართვა გაცემული არ არის და მიმდინარეობს მშენებლობის ნებართვის ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც

¹⁰ <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/11416>

¹¹ <https://www.facebook.com/www.oni.gov.ge/photos/pcb.2268486053240775/2268482639907783/?type=3&theater&ifg=1>

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N1932 განკარგულების შესაბამისად, გაგრძელებულია 2019 წლის 18 დეკემბრამდე“. ამ პასუხს თან ახლავს მთავრობის დადგენილების ასლიც.

ამრიგად, ონის ჰესების კასკადის შესახებ პროექტთან დაკავშირებით შექმნილია საკმაოდ გაურკვეველი ვითარება. იკვეთება კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები, რაც დაკავშირებულია პროექტის საჯარო განხილვის ჩატარებასთან და ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ პროექტზე წარმოება უნდა გაგრძელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 თავის თანახმად.

მიუხედავად აღნიშნული გაურკვეველი გარემოებებისა, მოვამზადეთ შენიშვნები და კომენტარები 2019 წლის თებერვალში გამოქვეყნებულ გზმ ანგარიშზე.

საკონტროლო კითხვები წარმოდგენილია 7 სექციის სახით:

1. პროექტის აღწერა (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებს);
2. გარემოს ფაქტორების/კომპონენტების აღწერა, რომლებიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ შეიძლება მოექცნენ (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის ა.ა) ქვეპუნქტი, ასევე მუხლი 5. პუნქტი 4. მუხლი 10, მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი და სხვ.);
3. პროექტის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა გარემოს ფაქტორებზე/კომპონენტებზე (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“, „ი“ ქვეპუნქტს);
4. ალტერნატივები (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებს);
5. ზეგავლენის შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებები (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს);
6. მონიტორინგი (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტს);
7. ხარისხი (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „კ“. „ლ“, „მ“ ქვეპუნქტებს).

შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- პროექტის მნიშვნელობა ძალიან ზერელედ არის განმარტებული. არ არის მოცემული პროექტის დანახარჯისა და სარგებლის შესახებ ინფორმაცია, როგორც ამას მოითხოვს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 10.3. „ზ“ მუხლი. მსგავსი მოთხოვნა იყო 2018 წლამდე მოქმედ კანონმდებლობაშიც („გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (N31, 15/05/13) მუხლი 5, მუხლი 6).
- ანგარიშში აღწერილია პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპი, თუმცა ისინი არ არის დროში განწერილი. მხოლოდ აღნიშნულია, რომ სამშენებლო პერიოდი

მოიცავს 4 წელიწადს. პროექტის სასიცოცხლო ციკლი 50 წელია. არ არის მითითებული პროექტის დაწყების დრო.

- პროექტის ძირითადი მახასიათებლები და გარემოს კომპონენტებზე ზეგავლენა დაწვრილებით აღწერილია მხოლოდ ერთი ალტერნატივისთვის. არაქმედების ალტერნატივის არსი არასწორად არის გაგებული ანგარიშის ავტორების მიერ.
- არ არის აღწერილი ტექნოლოგიური ალტერნატივები. მაგალითად, მოცემულია მხოლოდ ერთი ტიპის ტურბინები (ონი 1 თვის - პელტონის ტიპის, ონი 2 თვის - ფრენსისის ტიპის), ისე, რომ არ არის წარმოდგენილი ამ ტურბინებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკები.
- ანგარიშში აღწერილია, რომ გაჩნდება ახალი ინფრასტრუქტურა (გზები და ა.შ.) და საქმიანობები (ინერტული მასალის მოპოვება, ტრანსპორტირება და სხვ.), მაგრამ მისი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე/გარემოზე არ არის წარმოდგენილი.
- არ არის განხილული კუმულატიური ზემოქმედება სხვა დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ და ენერგეტიკულ პროექტებთან, მათ შორის, არც ონის ჰესების კასკადისთვის განკუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზებთან.
- არ არის აღწერილი „სრული პროექტი“, აღწერა არ მოიცავს ჰესთან დაკავშირებულ და დამხმარე ყველა საქმიანობას (გზების გაყვანა, ელექტროგადამცემი ხაზები, საბაგიროს მშენებლობა).
- პროექტის მშენებლობის ეტაპზე წარმოიშობა ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ნაკადი, თუმცა მისი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და ეკოსისტემურ სერვისებზე არ არის განხილული.
- ძალიან ზოგადად არის მოცემული ინფორმაცია გამოყენებული ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ. აღნიშნულია, რომ „ინერტული მასალების (ქვიშა ხრეში) მოპოვება მოხდება მდ. რიონის ხეობიდან“ მოქმედი ლიცენზიანტებისგან მოხდება შესყიდვა მშენებელმა კონტრაქტორის მიერ. შესაძლებელია, რომ მშენებელმა კონტრაქტორმა თავად მოაწიოს ახალი კარიერი და ამისთვის მოიპოვოს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზია. არ არის შეფასებული, რა რაოდენობით ინერტულ მასალას მოიპოვებენ ამჟამად მოქმედი ლიცენზიანტები, იქნება თუ არა ეს საკმარისი პროექტისთვის, სხვა მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი დარჩება თუ არა ეს ბუნებრივი რესურსი, რა ზეგავლენა ექნება ამ წიაღისეულის მოპოვებას გარემოზე.
- კვლევისათვის გამოყოფილი მეთოდოლოგია და განსაკუთრებით დრო (პერიოდი) არ შეესაბამება / არასაკმარისია ობიექტური და სრულყოფილი მასალის მოსაპოვებლად. მაგალითად, გზმ ანგარიშის თანახმად, უხერხემლოების კვლევა მიმდინარეობდა მხოლოდ 2 დღე, ნოემბერში, ისიც უამინდობის პირობებში. იქტიოლოგიური კვლევა მიმდინარეობდა მხოლოდ ერთ სემონში, 2016 წლის ოქტომბერში.

- ძირითადი საპროექტო მდინარის დინების დონეები და ძირითადი საპროექტო მდინარის შენაკადების ჰიდროლოგიური მახასიათებლები (საშუალო მრავალწლიანი წყლის ხარჯი, სეზონური ხარჯები და ა.შ.). შეფასებულია ძალზე მოძველებული მონაცემების მეშვეობით (ჰიდროპოსტ გლოლას მონაცემები - 1942-1957; ჰიდროპოსტ უნერას მონაცემები - 1959-1986; ჰიდროპოსტ ონის მონაცემები - 1935-1990). ეკოსისტემური სერვისების გამოყენების შესახებ არაფერია ნათქვამი. გარემოსდაცვითი ხარჯის საკვლევი უბნების რაოდენობა არასაკმარისია. გამოყენებულია არა თანამედროვე, ევროკავშირის წყლის დირექტივის შესაბამისი, არამედ საბჭოთა პერიოდის მეთოდოლოგია - „ძირითადი საპროექტო და სამშენებლო წესები“ - СП33-101-2003, „Определение основных расчетных гидрологических характеристик“. შესაბამისად, განხილულია წყლის ხარჯის მხოლოდ ერთი ე.წ. 10%-იანი ვარიანტი.
- ნატანის გაანგარიშება ეყრდნობა მოძველებულ მონაცემებს და თეორიულ გათვლებს. გაკეთებულია მხოლოდ ერთი გრანულომეტრიული ანალიზი (მდ.რიონზე ჰიდროპოსტ ონის ზედა ბიეფში 2016.06.22).
- სახეობები (მათი პოპულაციები და ჰაბიტატები), ასევე ჰაბიტატების ტიპები, რომლებზეც პროექტმა შეიძლება გავლენა იქონიოს აღწერილია ხარვეზებით. ბოტანიკური და ზოოლოგიური ნაწილში მოცემული ჰაბიტატების შეფასებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია.
- ბოტანიკურ ნაწილში ზოგიერთი ჰაბიტატი მოხსენიებულია, როგორც „დაბალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე ჰაბიტატი“. თუმცა დიდი ალბათობით, აქ წარმოდგენილია ბერნის კონვენციით განსაზღვრული ჰაბიტატები G1.1. ჭალისა და სანაპირო ტყეები, სადაც დომინირებს მურყანი, არყი, ვერხვი ან ტირიფი; G1.12 ბორეო-ალპური ჭალის პარკული ტყეები; G1.6 წიფლნარი: G1.6H. კავკასიური წიფლის ტყეები: წიფლის, წიფელ-რცხილის და წიფელ-სოჭის ტყეები კავკასიაში; C3.55 კენჭოვანი მდინარისპირების მეჩხერი მცენარეულობა. **C3.62 მცენარეულ საფარს მოკლებული მდინარის კენჭოვანი ნაპირები.** ამგვარად ზოგიერთი „დაბალი საკონსერვაციო ღირებულების“ მქონედ მოხსენიებული ჰაბიტატი, შესაძლოა წარმოადგენდეს ბერნის კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მე-4 რეზოლუციაში მითითებულ მკაცრად დასაცავ ჰაბიტატს.

ამ დაშვებას ამყარებს გზმ ანგარიშის ზოოლოგიური ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ „ჩატარებული საველე კვლევის დროს საპროექტო დერეფანში გამოიყო 5 ძირითადი ჰაბიტატი (EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით):

1. რეგულარულად ან ახლახან დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწები, ბალები და საკარმიდამო ნაკვეთები;
2. G1 ფართოფოთლოვანი ტყე;
3. G1.1 ჭალისა და სანაპირო ტყეები, სადაც დომინირებს მურყანი, არყი, ვერხვი ან ტირიფი;

4. G4.6 შერეული სოჭნარ-ნაძენარ-ნიფლნარი ტყე;
5. C3.55 კენჭოვანი მდინარისპირების მეჩხერი მცენარეულობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად უსაფუძვლო და უპასუხისმგებლოა გზმ ანგარიშში მოცემული მტკიცება იმის შესახებ, რომ „ჰესების კასკადის პროექტის გავლენის ზონაში კრიტიკული ჰაბიტატები წარმოდგენილი არ არის და შესაბამისად კრიტიკული ჰაბიტატების დაკარგვას ადგილი არ ექნება“.

- რეგიონში დღესდღეობით არ არის დაცული ტერიტორიები წარმოდგენილი, თუმცა გვაქვს დაგეგმილ დაცულ ტერიტორიები (რაჭის ეროვნული პარკი), რომელიც ძალზე ზოგადად არის მოხსენიებული, მაგრამ პროექტის ზეგავლენა არ არის შეფასებული;
- ანგარიშში ნახსენებია რეგიონში არსებული სამი ბურმუხტის საიტი და ნათქვამია, რომ ვინაიდან ეს საიტები მოშორებულია საპროექტო ტერიტორიიდან, მათზე პროექტს ზემოქმედება არ შეფასდება. არ არის განხილული მდინარის ქვედა ბიეფში არსებული ბურმუხტის საიტები.

როგორც აღვნიშნეთ, ონის ჰესების კასკადი იგეგმება მდინარე რიონის აუზში, რომლის ქვედა ბიეფში მდებარეობს „ბურმუხტის ქსელის“ საიტები აჭაშეთის ალკვეთილი და კოლხეთის ეროვნული პარკი, ხოლო მდინარე რიონი ბერნის კონვენციით დაცული ატლანტური ზუთხის ერთადერთ საბინადრო გარემოს წარმოადგენს და მიმდინარეობს სამუშაო ამ სახეობის დასაცავად დაცული ტერიტორიისა და ახალი „ბურმუხტის საიტის“ დასაარსებლად (ბერნის კონვენციით დადგენილი ვალდებულება). აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა მომზადდეს ე.წ. „შესაბამისი შეფასება“ (Appropriate Assessment, AA). ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ავალდებულებს განახორციელოს ყველა იმ პროექტის „შესაბამისი შეფასება“, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი ზემოქმედება „ბურმუხტის ქსელში“ ჩართულ ტერიტორიებზე. ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფლორისა და ფაუნის შენარჩუნების შესახებ დირექტივა 92/43/EEC-ის თანახმად უნდა განხორციელდეს ნებისმიერი გეგმის ან პროექტის „შესაბამისი შეფასება“, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი ზეგავლენა ნატურა 2000-ის ტერიტორიაზე (საქართველოს შემთხვევაში - „ბურმუხტის საიტზე“). ცალკე ან ერთობლივად სხვა გეგმებთან და პროექტებთან. აქ იგულისხმება არა მარტო ის ობიექტები, რომლებიც უშუალოდ „ბურმუხტის საიტის“ ფარგლებში არიან განთავსებული, არამედ პროექტები „ბურმუხტის საიტის“ საზღვრებს გარეთაც, რომელთაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ამ „ბურმუხტის საიტზე“. მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ პროექტი არ მდებარეობს „ბურმუხტის საიტის“ ფარგლებში, არ შეიძლება იქნას მიღებული გადაწყვეტილება, რომ არ არის საჭირო ე.წ. „შესაბამისი შეფასების“ განხორციელება. ჰიდროელექტროსადგურის განთავსებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს წყალშემკრებში ან ქვემო წელში მდებარე ბურმუხტის ტერიტორიაზე (იხ. ევროკომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტი European Commission, 2018. Guidance on The requirements for hydropower in relation to Natura 2000). „შესაბამისი შეფასება“ უნდა მომზადდეს ადრეულ ეტაპზე.

პროექტის თანახმად, ორივე ჰესის შემთხვევაში ძალურ კვანძებზე წყლის მიწოდება მოხდება

მიმყვანი გვირაბების საშუალებით და სათავო ნაგებობების ქვედა ბიეფებში მოქცეულ მონაკვეთებზე (ონი 1 ჰესის შემთხვევაში გავლენის ზონაში მოქცეული მდ. რიონის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 14.5-15 კმ-ს, ხოლო ონი 2 ჰესის პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მონაკვეთის სიგრძე დაახლოებით 9.5-10.0 კმ-ს) მოსალოდნელია მდინარის ხარჯის მნიშვნელოვნად შემცირება. სხვა სიტყვებით, მდინარე რიონის დაახლოებით 25 კმ-იან მონაკვეთზე, პროექტის ფუნქციონირების მომდევნო 50 წლის განმავლობაში წყლის რაოდენობა უკიდურესად შემცირებული იქნება. პროექტში აღიარებულია, რომ ეს ბიოლოგიურ გარემოზე მალალი ხარისხის ზემოქმედებად უნდა ჩაითვალოს.

განსაკუთრებით მძიმე იქნება ზემოქმედება თევზების სახეობებზე. გზმ ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროექტის განხორციელების შედეგად, „მდინარის ჩამონადენის დროში გადანაწილება არღვევს თევზების გამრავლების და არსებობის ჩამოყალიბებულ პირობებს. იცვლება ჰიდროლოგიური, თერმული, ჰიდროქიმიური და ჰიდრობიოლოგიური რეჟიმები და შესაბამისად თევზის გადაადგილების, გამრავლების და კვების პირობები, გამსვლელი და ნახევრად გამსვლელი თევზების აღწარმოების და ნასუქობის პირობები“.

გზმ ანგარიშში აღიარებულია, რომ ბოლოლოგიური, განსაკუთრებით იქთიოფაუნასთან დაკავშირებული, საკითხები „არასაკმარისად არის შესწავლილი. ამიტომ, რთული სათქმელია თუ რა დონეზე და რამდენად სწრაფად მოყვება მდინარის ეკოსისტემის სულ უფრო მზარდ დანაწევრიანებას ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნების საპასუხო რეაქცია. ასევე უცნობია დღეისათვის, არსებობს თუ არა ის ზღვრული დონე, რომლის მიღწევის შემდგომ დამატებითი კაშხლის მშენებლობისას არ მატულობს კრიტიკული ზემოქმედება“. იქვე აღნიშნულია: „ზემოქმედება წყლის ეკოსისტემებზე, მის ბიომრავალფეროვნებაზე წარმოადგენს კომპლექსური ზემოქმედების ერთობლიობას და, ამრიგად, პროგნოზირება დაკავშირებულია სირთულეებთან, თუკი არ არსებობს ან არასაიმედო საწყისი ინფორმაცია“. ამგვარი „აღიარება“ იძლევა იმის საფუძველს, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან შეუძლებელია ასეთ არასრულყოფილ მონაცემებზე დაყრდნობით დადგინდეს, რომ ამ საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს.

პროექტში აღნიშნულია, რომ „შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურად გატარების და მუდმივი მონიტორინგის პირობებში შესაძლებელია ხმელეთის ცხოველებზე ზემოქმედების „საშუალო“ მნიშვნელობამდე დაყვანა“. თუმცა არასრულყოფილი გზმ და შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ისინი ეფექტური იქნება. თევზსავალზე საუბარი მხოლოდ გზმ-ს ტექნიკურ ნაწილშია, სადაც აღნიშნულია, რომ „ჰესის თევზსავალი დაპროექტებულია საპროექტო მონაკვეთზე მდინარის კალმახის არსებობის გათვალისწინებით“. თუმცა, ბოლოლოგიურ ნაწილში აღნიშნულია, რომ მდინარეში მოიპოვებს ნაკადულის კალმახი (*Salmo trutta morfa fario* Linnaes, 1758), კოლხური წვერა (*Barbus tauricus rionica* Kamensky, 1899), ნაფოტა (*Rutilus rutilus*, Linnaeus, 1758) და კავკასიური ქაშაპი (*Squalius cephalus*, Linnaeus, 1758) ასევე საუბარია სხვა სახეობებზეც, რომლებიც ლიტერატურული მონაცემებით ბინადრობენ ამ არეალში.

შესაბამისად, კალმახზე გათვლილი თევზსავალი, შესაძლოა, არ გამოდგეს ეფექტური სხვა თევზებისათვის, რომლებსაც განსხვავებული მობილობა და ზომები ახასიათებთ. ანგარიშის ბოლოლოგიურ ნაწილში (ქვეთავი „თევზის დაღუპვა წყალმიმღებსა და წყალჩამშვებებზე“) აღნიშნულია, რომ „სადედე ჯოგის გატარება არ მოიტანს არავითარ შედეგს, თუ კი არ დაიგეგმა თევზდამცავი მოწყობილობების მონტაჟი წყალმიმღებებზე და წყალჩამშვებებზე“. ასეთი ჩანაწერით გაუგებარია, იღებს თუ არა კომპანია ვალდებულებას, თევზდამცავი მოწყობილობების დამონტაჟებაზე.

არასაკმარისადაა გამოკვლეული ბერნის კონვენციითა და საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობის - წავის პოპულაცია და ჰაბიტატი. ამ სახეობის ძირითად საფრთხედ მიჩნეულია შემცირებული საკვები ბაზა, რასაც მდინარის ჩამონადენის კლება გამოიწვევს. ამის ფონზე, შემარბილებელ საშუალებებად სრულიად შეუსაბამო ღონისძიებებია შემოთავაზებული.

პროექტში აღიარებულია, რომ „გემოქმედების არეებზე, მათ შორის, ტყიან ტერიტორიებზე პრაქტიკულად შეუძლებელია აღრინდელი ბუნებრივი კორომების აღდგენა და შენარჩუნება იმ სახით, როგორც იყო მშენებლობამდე. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში რეკომენდირებულია ოფსეტური ღონისძიებების განხორციელება, რაც გულისხმობს ექვივალენტური ტყის ჰაბიტატების ან სხვა ტიპის ეკოსისტემების/მცენარეულობის თანასაზოგადოებების აღდგენას“. თუმცა, იქვე მეორდება კომპანია „გამას“ მიერ შესრულებულ არაერთი ანგარიშიდან კოპირებული ფრაზები, „უდანაკარგო“, „წმინდა მოგების პრინციპისა“ და „ჰაბიტატ-ჰექტრის“ მიდგომებზე. როგორც წესი, ასეთი სახით ეკო-კომპენსაციების საკითხები გზმ დოკუმენტში შეტანილია იმისათვის, რომ შეიქმნას გარკვეული ილუზია, გარემოზე მიყენებული თითქოს ზიანი სათანადოდ კომპენსირდება. ტრადიციულად, ასეთი მსჯელობა ძალზე არალოგიკურად და ფორმალურადაა ჩასმული გზმ დოკუმენტებში. პრაქტიკულად, არ არის ცნობილი ამ მეთოდის გამოყენების არც ერთი შემთხვევა ჰესის მშენებლობის დასრულების შემდეგ, რაზეც შესაბამისი სამინისტრო ყოველთვის თვალს ხუჭავს.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სეისმურად აქტიურ რეგიონში („საკვლევო ტერიტორია (კავკასიონის ცენტრალური ნაწილი) სეისმურად ძლიერ აქტიურია“). ის მიეკუთვნება 9 ბალიან სეისმურ ზონას. ონი 1 ჰესის მიმყვანი გვირაბი გადაკვეთს სამ მთავარ რღვევას. გვირაბის გაყვანისას რღვევების ტერიტორიიდან შეიძლება მოხდეს მძლავრი წყლის ნაკადის მოღინება. ასევე შესაძლებელია რღვევების სიახლოვეში სუსტი ქანების არსებობა. გვირაბის გაყვანის პროცესში კარსტული ფორმების გადაკვეთამ შეიძლება დიდი პრობლემები წარმოშვას, როგორებიცაა მოულოდნელად წყლის დიდი ნაკადის შემოჭრა, სიცარიელეების არსებობა და ქანების მასის დეგრადაცია. საპროექტო ტერიტორიაზე დიდი ალბათობით კარსტული წარმონაქმნები არსებობს. „გვირაბის გაყვანის დროს კარსტული ფორმების გადაკვეთამ შეიძლება დიდი პრობლემები წარმოშვას, როგორებიცაა მოულოდნელად წყლის დიდი ნაკადის შემოჭრა, სიცარიელეების არსებობა და ქანების მასის დეგრადაცია“. გზმ ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ამ ეტაპზე ინფორმაცია არ მოიპოვება ქანების ისეთ პარამეტრებზე, როგორებიცაა გრუნტის წყლის დონე, წყალშელწვეადობა, ნაპრალობა ორიენტაციები და გვირაბის ნიშნულზე ქანის მასის დეფორმაციები“. ასეთი მონაცემების არარსებობის ფონზე მშენებლობის ნებართვის გაცემამ გამოიწვია საქართველოს ენერგეტიკის ისტორიაში ყველაზე დიდი ავარია, რომელსაც შუახევი-ჰესის

მწყობრიდან გამოსვლა მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც გზმ ანგარიში კომპანია „გამას“ მიერ იყო მომზადებული.

გზმ ანგარიში კვლევების ჩატარებას გვთავაზობს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შემდგომ პერიოდში (ისევე როგორც შუახევი-ჰესის და სხვა არაერთ შემთხვევაში მოხდა). „აუცილებელია მეტი ლაბორატორიული კვლევის ჩატარება განსხვავებული ქანების ტიპების მახასიათებლების შეფასებისთვის, რაც დაფუძნებული იქნება უტყუარ სტატისტიკაზე“... „საპროექტო სექციის ოპტიმიზაციისთვის პროექტის ძირითად კონსტრუქციებთან გამოკვლეულ უნდა იქნას ქანის მასის ნაპრალობა ორიენტაციები“... „სატენდერო დიზაინის ეტაპზე, რღვევების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად რეკომენდირებულია ბურღვითი სამუშაოების შესრულება“. „რეკომენდირებულია სატენდერო დიზაინის ეტაპზე განხორციელდეს უფრო ინტენსიური კვლევები შესაძლო კარსტული პირობების გამოსაკვლევადა“... „რეკომენდირებულია ბურღვითი სამუშაოების შესრულება ადგილზე ტესტირებით, ნიმუშების აღებითა და ლაბორატორიული ცდებით. გარდა ამისა, გრუნტის წყლის დონის კონტროლისთვის მიზანშეწონილია პიეზომეტრების გაყვანა“.

ამრიგად, გზმ ანგარიში აღიარებს, რომ არსებული გეოლოგიური კვლევები არასრულყოფილია. სეისმურად რთულ და გეოლოგიურად შეუსწავლელ ტერიტორიებზე პროექტის განხორციელება კი აუცილებლად შეუქმნის საფრთხეს ადამიანების სიცოცხლისა და საკუთრების უფლებებს. კერძოდ:

- არასაკმარისი ჰიდროლოგიური კვლევების ფონზე მნიშვნელოვანი პრობლემებია მოსალოდნელი მდ. რიონის ღვარცოფული ბუნების გამო. ანგარიშში აღნიშნულია, რომ „წყალუხვობის პერიოდში მყარი ნატანის უხვი ჩამონადენის გათვალისწინებით, მაღალია ონი 2 ჰესის კაშხლის ზედა ბიეფში ნატანის დაგროვების და მდ. რიონის და მდ. ჭეჭორას კალაპოტის ნიშნულების ამაღლების რისკი. შესაბამისად შემარბილებელი ღონისძიებების გარეშე შესაძლებელია შეიქმნას ქ. ონის ტერიტორიის დატბორვის რისკები“. არსებული არასრულყოფილი მონაცემები და გზმ ანგარიშის დაბალი ხარისხი, მისი შეუსაბამობა მიღებულ საერთაშორისო პრაქტიკასა და საქართველოს კანონმდებლობასთან, შემარბილებელი ღონისძიებების სწორად შემუშავების საფუძველს არ იძლევა.
- სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში მძიმე ტექნიკის გადაადგილებასთან დაკავშირებით ვიბრაციის გავრცელება და სხვა სამუშაოები სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიან სოფელ ლაგვანთას, ვინაიდან საავტომობილო გზა, რომლითაც პროექტის მძიმე ტექნიკა ისარგებლებს, გადის ამ სოფლის მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე. გახდა შეწუხებისა და დაბინძურებისა, არსებობს შენობა ნაგებობებზე ზემოქმედების რისკი. შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები არააადეკვატურია.
- ჰესის პროექტი გამოიწვევს მნიშვნელოვან ვიზუალურ დაბინძურებას. ამას გამოიწვევს წყლის მნიშვნელოვანი ნაკადის სადანწნეო მილსადენში გადაადგილების შედეგად 25 კილომეტრიან მონაკვეთზე თითქმის გამჭრალი მდინარე, სანაყაროები და გადამცემი ხაზები. ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები (როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივი

ნაგებობების ფერის და დიზაინის შერჩევა მოხდება ისე, რომ შეხამებული იყოს გარემოსთან), სრულიად არაადეკვატურია.

- აღნიშნულია, რომ „ჰესების კასკადის პროექტის განხორციელება უცილობლად გამოიწვევს რეგიონში ისეთი ბიზნესსაქმიანობების გააქტიურებას როგორცაა: სამშენებლო მასალების წარმოება, სატრანსპორტო მომსახურება, კვების პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია, მომსახურების სფერო და სხვა, რაც თავის მხრივ შექმნის დამატებით შემოსავლის წყაროებსა და სამუშაო ადგილებს“. არ არის გამოკვლეული, რა ზემოქმედება ექნება გარემოზე ამ საქმიანობებს.
- აგარიულ სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებები სრულიად არაადეკვატურია და შეუსაბამოა მოსალოდნელ საფრთხეებთან. მუსტად ანალოგიური ღონისძიებები ეწერა დარიალ-ჰესის გზა ანგარიშშიც (პრაქტიკულად კოპირებულია). დარიალ-ჰესის პროექტი განხორციელა იგივე კომპანია „ფერიმ“, ხოლო გზა ანგარიშში მოამზადა იგივე კომპანია „გამამ“. დარიალ-ჰესი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა აგარიულ სიტუაციებთან, რასაც რამდენიმე ადამიანის (მათ შორის კომპანიის თანამშრომლების) დაღუპვა მოჰყვა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, საქმიანობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ მისი განხორციელება ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს (მუხლი 14). ამავე მუხლის თანახმად, მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ გზა-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა.

როგორც აღვნიშნეთ, გზა ანგარიშში ბიომრავალფეროვნების, ჰიდროლოგიის ან გეოლოგიის კვლევა არ არის დასრულებული სახით წარმოდგენილი. ასეთ პირობებში, შეუძლებელია განისაზღვროს გარემოზე ზემოქმედების ხასიათი და მოცულობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციისა და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობები.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ როგორც ნამახვანის, ასევე ონის ჰესების კასკადის პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვამ აჩვენა, სახეზეა არაერთი პროცედურული შეუსაბამობა და შინაარსობრივი პრობლემა. სახელმწიფოს მიერ წარმართული გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემის პროცედურა არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას არ შეესაბამება (განსაკუთრებით, საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით). გზა ანგარიშების მომზადების პროცესი, შინაარსი და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი აჩვენებს, რომ საქართველოს მთავრობა არ ასრულებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებებს. მოსალოდნელია, რომ აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ეცდება მიიღოს გადაწყვეტილება ცუდად მომზადებული გზა ანგარიშების საფუძველზე, რაც მომავალში შესაძლოა გარემოს დეგრადაციის, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-

ეკონომიკური ინტერესების შელახვის და სამრეწველო ავარიების მიზეზი გახდეს. აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობამ შეცვალოს არსებული პოლიტიკა და ზედმინვნით შეასრულოს ქვეყნის კანონმდებლობა და საერთაშორისო ვალდებულებები ჰესების პროექტების განვითარების დროს; წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება წარმატებული ენერგეტიკული პროექტების განხორციელება, ხოლო წინააღმდეგობა ერთი მხრივ მთავრობასა და დეველოპერებს (რომლებიც რატომღაც ყოველთვის ერთ გუნდად მოქმედებენ) და, მეორე მხრივ, ადგილობრივ მოსახლეობასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის უფრო გაძლიერდება.

დანართი: ონის შესვლის კასკადი

გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკონტროლო კითხვები

წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიშის საკონტროლო კითხვები (Checklist) მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი და სხვ.) და ევროკავშირის დოკუმენტის - Guidance on the preparation of the EIA Report (Directive 2011/92/EU as amended by 2014/52/EU)¹ მიხედვით, ასევე გამოყენებულია „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი შეფასების მეთოდოლოგია (2017)“, რომელიც მომზადებულია USAID/G4G პროექტის ფარგლებში.

საკონტროლო კითხვები წარმოდგენილია 7 სექციის სახით:

1. პროექტის აღწერა (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებს)
2. გარემოს ფაქტორების/კომპონენტების აღწერა, რომლებიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ შეიძლება მოექცნენ (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის ა.ა) ქვეპუნქტი, ასევე მუხლი 5. პუნქტი 4. მუხლი 10, მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი და სხვ.).
3. პროექტის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა გარემოს ფაქტორებზე/კომპონენტებზე (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“, „ი“ ქვეპუნქტს).
4. ალტერნატივები (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებს).
5. ზეგავლენის შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებები (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს).
6. მონიტორინგი (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტს).
7. ხარისხი (შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, მე-3 პუნქტის „კ“. „ლ“, „მ“ ქვეპუნქტებს).

საკონტროლო კითხვები მოცემულია ცხრილის სახით. ცხრილის პირველ სვეტში აღნიშნულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნა, რომელსაც შეესაბამება საკონტროლო კითხვა. მეორე სვეტში მოცემულია საკუთრივ საკონტროლო კითხვა. მესამე სვეტში მოცემულია შეფასება (ქულა), ხოლო მეოთხეში - შემფასებლის კომენტარი

¹ http://ec.europa.eu/environment/eia/pdf/EIA_guidance_EIA_report_final.pdf

| გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნა | საკონტროლო კითხვა (საკითხები) გზმ ანგარიშის შესაფასებლად მომზადებულია ევროკავშირის გაიდლაინის და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად (კითხვის ნომერი შეესაბამება ევროკავშირის 2017 კითხვარის ნომერს) | შეფასება (0-დან 5-მდე) 0 -ძალიან ცუდი 5 - ძალიან კარგი | შემფასებლის კომენტარი |
|---|---|--|--|
| პროექტის აღწერა | | | |
| 1.1. პროექტის მიზნები და ფიზიკური მახასიათებლები | | | |
| მუხლი 10.3 ა), ბ) | 1. არის თუ არა განმარტებული პროექტის საჭიროება და პროექტის მიზნები? | 1 | პროექტის მნიშვნელობა ძალიან ზერელედ არის განმარტებული. არ არის მოცემული პროექტის დანახარჯისა და სარგებლის შესახებ ინფორმაცია, როგორც ამას მოითხოვს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 10.3. „ბ“ მუხლი. მსგავსი მოთხოვნა იყო 2018 წლამდე მოქმედ კანონმდებლობაშიც („გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (N31, 15/05/13) მუხლი 5, მუხლი 6) |
| | 2. აღწერილია თუ არა პროექტის განხორციელების პროგრამა, სადაც დეტალურად არის მოცემული მისი ხანგრძლივობა, მშენებლობის დაწყებისა და დასრულების თარიღები, მისი ოპერირების ხანგრძლივობა, ოპერირების გეგმა, ექსპლუატაციის გეგმა, საჭიროების შემთხვევაში - ექსპლუატაციის შეწყვეტის ვადები? (პროგრამა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა სამუშაოების წარმოების ნებისმიერ ფაზას) | 1 | აღწერილია პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპი, თუმცა არ არის დროში განწერილი. მხოლოდ აღნიშნულია, რომ სამშენებლო პერიოდი მოიცავს 4 წელიწადს. პროექტის სასიცოცხლო ციკლი 50 წელია. სხვა დეტალები არ არის აღნიშნული - სხვადასხვა ფაზისთვის არ არის მითითებული პერიოდები. არ არის მითითებული პროექტის დაწყების დრო |
| მუხლი 10.3. ა.გ) მუხლი 10.4. გ) | 3. არის თუ არა აღწერილი პროექტის ძირითადი მახასიათებლები/ კომპონენტები? არის თუ არა მოცემული დაგეგმილი ჰესის პარამეტრები ყველა ალტერნატივისთვის: სიმძლავრე, ელექტროენერჯის მოცულობა, წყლის ხარჯი, წყალსაცავის მოცულობა და ზედაპირის ფართობი, კაშხლის პარამეტრები, კაშხლის ტიპი, კაშხლის სიმაღლე, წყალსაგდები, დერივაციის სიგრძე და სხვ. მოცემულია თუ არა ეს ინფორმაცია იმ სახით, რომ შესაძლებელი იყოს ბიომრავალფეროვნებაზე მათი | 2 | დეტალურად აღწერილია მხოლოდ ერთი ალტერნატივისთვის. ალტერნატივების ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის შეფასება არ არის მოცემული |

| | | | |
|--|---|---|--|
| | ზეგავლენის შეფასდება? | | |
| | 4. არის თუ არა აღწერილი პროექტის ყველა კომპონენტის (საქმიანობის განხორციელების) ადგილი, მითითებულია თუ არა GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების (shp-ფაილთან ერთად). არის თუ ეს მონაცემები წარმოდგენილი ყველა ალტერნატივისთვის? | | არ არის წარმოდგენილი საჭაროდ გავრცელებულ ინფორმაციაში |
| მუხლი 10. 3. ა.ბ) მუხლი 10.4. გ) | 5. მოცემულია თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა კატეგორიის მიწაზე იგეგმება პროექტი, შეეცვლება თუ არა მიწის კატეგორია და მიწის მიწათსარგებლობის ფორმა? | 2 | არ არის მოცემული არსებული მიწის კატეგორიები, თუმცა ცხადია, რომ მიწათსარგებლობის ტიპი რადიკალურად იცვლება |
| | 6. არის თუ არა აღწერილი და განმარტებული პროექტით მოცული/დაკავებული ყველა ტერიტორია? (მათ შორის სიმაღლეთა ნიშნული, არსებული და დაგეგმილი შენობები, სხვა ფიზიკური ნაგებობები, მიწისქვეშა ნაგებობები, საწყობები და საცავები, წყლის და ენერჯის მიწოდების საშუალებები, მწვანე ნარგავები / მცენარეულობა, მისასვლელი გზები, ტერიტორიის საზღვრები). არის თუ ასეთი სივრცული გეგმები წარმოდგენილი ყველა ალტერნატივისთვის? | 3 | დეტალური ინფორმაცია არ არის მოცემული ყველა ალტერნატივისთვის. სრულად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია არც უპირატესი ალტერნატივისთვის |
| მუხლი 10. 3. გ) | 7. არის თუ არა აღწერილი პროექტის „ხაზოვანი კომპონენტების“ (არხები, გვირაბები, გადამცემი ხაზები) სამარშრუტო დერეფანი? ვერტიკალური (სიმაღლე მდ.დ.) და ჰორიზონტალური მდებარეობის ჩათვლით? | 2 | გადამცემ ხაზებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის მოცემული. სხვა ხაზოვანი ინფრასტრუქტურის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ალტერნატივისთვის |
| მუხლი 10. 3. დ. ა); თ) | 8. არის თუ არა აღწერილი პროექტით გათვალისწინებული ყველა სამშენებლო სამუშაო და მათი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე მათ შორის მიწათსარგებლობის ტიპის (დროებითი, მუდმივი) ცვლილება | 3 | სამშენებლო სამუშაოები აღწერილია. ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე წარმოდგენილია სხვადასხვა თავში და არასრულფასოვნად. ამის ძირითადი მიზეზია არსებული მონაცემების არასრულყოფილება. |
| მუხლი 10. 3. დ.ა) მუხლი 10. 3. დ.ა) | 9. არის თუ არა აღწერილი პროექტის (ჰესის) ოპერირების ყველა სამუშაო პროცესი (აქტივობა) და მათი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე? მათ შორის მიწათსარგებლობის ტიპის ცვლილება | 3 | ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე არ არის წარმოდგენილი სრულყოფილად |
| | 10. არის თუ არა აღწერილი პროექტის ექსპლუატაციიდან გამოყვანისათვის | 0 | საერთოდ არ არის წარმოდგენილი |

| | | | |
|--------------------|--|---|--|
| | (decommissioning) აუცილებელი ყველა სამუშაო? (დახურვა, დემონტაჟი, ნგრევა, განმენდა, ტერიტორიის აღდგენა (რეკულტივაცია), მისი ხელახლა გამოყენება და სხვ.) | | |
| | 11. არის თუ არა აღწერილი პროექტისათვის საჭირო დამატებითი მომსახურება? (მაგ. ტრანსპორტი, წყალი, კანალიზაცია, ნარჩენების განთავსება, ელექტრომომარაგება, სატელეფონო კავშირი და ინფრასტრუქტურა: გზები, ელექტროგადამცემი ხაზები და მილსადენები) და მათი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემურ სერვისებზე. | 3 | წარმოდგენილია ვრცელი ინფორმაცია, მაგრამ არ არის შეფასებული მისი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე, გარემოზე |
| | 12. განიხილება თუ არა პროექტის დასრულების შედეგად დამატებითი ინფრასტრუქტურა? (მაგ. ახალი სახლები, დასახლებები, გზები, წყლისა და კანალიზაციის გაყვანილობა და სხვ.) და აღწერილია თუ არა მათი მოსალოდნელი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემურ სერვისებზე? | 2 | ახალი ინფრასტრუქტურა განიხილება, მაგრამ მისი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე არ არის წარმოდგენილი |
| მუხლი 10. 3. დ. ბ) | 13. არსებობს თუ არა რაიმე სახის მიმდინარე საქმიანობა, რომლებიც შეიძლება შეწყდეს ან შეიცვალოს პროექტის განხორციელების შედეგად და რა ზეგავლენას იქონიებს ეს ბიომრავალფეროვნებაზე? მათ შორის აგრობიომრავალფეროვნებაზე | 0 | არსებობს, სავარაუდოდ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საქმიანობები, მაგრამ არ არის განხილული |
| მუხლი 10. 3. დ) | 14. არსებობს ან იგეგმება თუ არა ისეთი ინფრასტრუქტურული ცვლილებები/პროექტები, რომლებთან ერთად პროექტმა შეიძლება მოგვცეს კუმულაციური ეფექტი? | 0 | იგეგმება სხვა ჰესების პროექტებიც, თუმცა გზმ ანგარიშში ამის შესახებ ინფორმაცია არ არის. ასევე არ არის განხილული კუმულაციური ეფექტი წიაღის მოპოვების დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებთან |
| მუხლი 10. 3. ბ) | 15. არის თუ არა აღწერილი „სრული პროექტი“, მოიცავს თუ არა აღწერა ჰესთან დაკავშირებულ/ასოცირებულ/დამხმარე ყველა საქმიანობას (გზების გაყვანა, ელექტროგადამცემი ხაზები, ქვესადგურები და ა.შ.). | 2 | არ არის მოცემული „სრული პროექტი“. ეგზ-ზე საერთოდ არ არის მოცემული ინფორმაცია |

| | | | |
|---|--|---|---|
| | 16. არის თუ არა რომელიმე აქტივობის/საქმიანობის, რომელიც წარმოადგენს „სრული პროექტის“ ნაწილს (პესთან დაკავშირებული ან დამხმარე საქმიანობა), გარემოზე ზემოქმედება შეფასების გარეშე დატოვებული? არის თუ არა დასაბუთებული, რა მიზეზით არის ეს ზემოქმედება შეფასების გარეშე დატოვებული? | 0 | არ არის მოცემული ინფორმაცია დაგეგმილ ეგზ-ზე. არ არის ახსნილი მიზეზი |
| 1.2. პროექტის ზომა | | | |
| მუხლი 10. 3. ა.ა); ბ); მუხლი 10. 4. გ) | 1. არის თუ არა პროექტის მუდმივი კომპონენტების მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთი ამომილი და აღნიშნული მასშტაბიან რუკაზე? (ყველა შესაძლო დამატებითი სამუშაოს, დაგეგმარებისა და დამხმარე ნაგებობების ჩათვლით). არის თუ არა ეს გაკეთებული ყველა ალტერნატივისთვის? | 4 | მოცემულია ინფორმაცია, თუმცა ამომილი სამუშაოები სავარაუდოდ, არ არის საბოლოო სახით შესრულებული. დაწვრილებით წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ალტერნატივისთვის |
| მუხლი 10. 3. ა.ა); ბ) მუხლი 10. 4. გ) | 2. არის თუ არა მშენებლობისათვის დროებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი ამომილი და რუკაზე აღნიშნული? არის თუ არა ეს გაკეთებული ყველა ალტერნატივისთვის? | 3 | წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ალტერნატივისთვის |
| მუხლი 10. 3. გ) | 3. არის თუ არა აღწერილი პროექტისათვის დროებით გამოყოფილ მიწაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღდგენისა და მიწის შემდგომი გამოყენების საკითხი? არის თუ არა ეს გაკეთებული ყველა ალტერნატივისთვის? | 4 | მოცემულია ინფორმაცია მიწის ნაყოფიერი ფენის შენახვის შესახებ. პროექტის განხორციელების უმეტეს ნაწილზე ნიადაგის აღდგენა შეუძლებელია. აღნიშნულია, რომ „სარეკულტივაციო სამუშაოებში იგულისხმება დროებითი ნაგებობების და მშენებლობისას გამოყენებული დანადგარ-მექანიზმების დემობილიზაცია, მშენებლობის პროცესში დაზიანებული უბნების აღდგენა, დაბინძურებული ნიადაგების/გრუნტის მოხსნა და გატანა სარემედიაციოდ, სამშენებლო ნარჩენების გატანა და ა.შ. ჰესების განთავსების ტერიტორიის სარეკულტივაციო სამუშაოები ასევე მოიცავს მის გარშემო ხელოვნური მწვანე საფარის მოწყობას. გამწვანებისთვის გამოყენებული იქნება |

| | | | |
|-------------------|--|---|---|
| | | | ადგილობრივი ჯიშის ხე-მცენარეები.“ |
| მუხლი 10. 3. დ.ა) | 4. არის თუ არა განსაზღვრული პროექტის განხორციელებისათვის გამოყენებული ნაგებობების ზომები ან სამუშაოების სხვა მასშტაბები? (მაგ. შენობების ფართობი და სიმაღლე, მიწის ნაყოფიერი ფენის და ამოსაღები გრუნტის რაოდენობა, ნარგავების ფართობი ან სიმაღლე, ისეთი ნაგებობების სიმაღლე, როგორცაა ჯებირი, კაშხლის სიმაღლე, წყლის ნაკადის სიდიდე ან მისი სიღრმე) | 4 | დეტალური ინფორმაცია მოცემულია მხოლოდ ერთი ალტერნატივისთვის |
| მუხლი 10. 3. დ.ა) | 5. არის თუ არა აღწერილი პროექტის განხორციელებისათვის გამოყენებული ნაგებობების/ ობიექტების ფორმა და გარეგნული სახე (მაგ. ნაგებობების და შენობების არქიტექტურული დიზაინი, ფერი, დასარგავი მცენარეების სახეობები, სიმაღლე და ა.შ) | 4 | დეტალური ინფორმაცია მოცემულია მხოლოდ ერთი ალტერნატივისთვის |
| მუხლი 10. 3. დ) | 6. აღწერილია თუ არა განსახლებას დაქვემდებარებული მოსახლეობის ან სანარმოების/მეურნეობების რაოდენობა და სხვა მახასიათებლები? (მნიშვნელოვანია იმ პროექტებისათვის, რომლებიც გულისხმობენ განსახლებას). | 0 | არ არის განხილული. მხოლოდ დასკვნით ნაწილშია აღნიშნული, რომ წყალსაცავების მოწყობით მოხდება კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო სავარგულების მუდმივი ან დროებითი დაკარგვა. საკადასტრო სამუშაოების ჩატარებას გეგმავენ მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ |
| მუხლი 10. 3. დ) | 7. აღწერილია თუ არა პროექტით გამოწვეული განსახლების შედეგად შესაქმნელი ახალი დასახლებების და/ან სანარმოების/მეურნეობების მდებარეობა, მახასიათებლები და გარემოზე/ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენა (მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ პროექტი გულისხმობს მოსახლეობის განსახლებას და/ან პროექტის განხორციელებისათვის ახალი მუდმივი ან დროებითი დასახლებების შექმნას). | 0 | არ არის განხილული |
| მუხლი 10. 3. დ) | 8. განსაზღვრულია თუ არა, პროექტის მშენებლობის ეტაპზე ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ნაკადის წარმოშობა და მისი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და ეკოსისტემურ სერვისებზე? | 0 | არ არის განხილული, თუმცა ასეთი ცვლილებები მოსალოდნელია |
| | 9. აღწერილია თუ არა ახალი სატრანსპორტო ნაკადის ტიპი, მოცულობა, დროებითი მოდელი და | 0 | არ არის განხილული |

| | გეოგრაფიული გადანაწილება? | | |
|-------------------|--|---|---|
| ა.გ. | 1.3. საწარმოო პროცესები და გამოყენებული რესურსები | | |
| | 1. აღწერილია თუ არა პროექტის შემადგენელი ყველა პროცესი და მათი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და ეკოსისტემურ სერვისებზე? | 0 | პროექტის პროცესები მოცემულია ძირითადად ერთი ალტერნატივისთვის. არ არის მოცემული ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და ეკოსისტემური სერვისებზე? |
| მუხლი 10. 3. ა.გ) | 2. აღწერილია თუ არა პროექტის მიხედვით წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (ჰესის სიმძლავრე, გამომუშავება - როგორც ჯამური, ისე თვეების მიხედვით, სხვა პროდუქცია)? არის თუ არა ეს მონაცემი ყველა ალტერნატივისთვის? | 3 | მოცემულია ჯამური ინფორმაცია. თვეების მიხედვით არ არის მოცემული. არ არის მოცემული ყველა ალტერნატივისთვის |
| მუხლი 10. 3. დ.ა) | 3. განხილულია თუ არა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ნედლეულისა და ენერჯის ტიპები და რაოდენობა (წყლის, მიწის, ნიადაგის, ხეტყის და ბიომრავალფეროვნების სხვა კომპონენტების ჩათვლით)? არის თუ არა ეს მონაცემი ყველა ალტერნატივისთვის? | 0 | არ არის მოცემული |
| მუხლი 10. 3. დ.ა) | 4. განხილულია თუ არა ნედლეულის მოპოვების შედეგები გარემოზე (ბიომრავალფეროვნებაზე და ეკოსისტემურ სერვისებზე) ზემოქმედების თვალსაზრისით? არის თუ არა ეს მონაცემი ყველა ალტერნატივისთვის? | 2 | <p>ძალიან ზოგადად არის მოცემული ინფორმაცია გამოყენებული ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ. აღნიშნულია, რომ „ინერტული მასალების (ქვიშა ხრეში) მოპოვება მოხდება მდ. რიონის ხეობიდან“ მოქმედი ლიცენზიანტებისგან მოხდება შესყიდვა მშენებელმა კონტრაქტორის მიერ. „თუ მშენებელი კონტრაქტორი გადაწყვეტს ახალი კარიერის მოწყობას აუცილებელი იქნება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მოპოვება. ინერტული მასალების მსხვრევა-დახარისხება დიდი ალბათობით მოხდება მოპოვების ადგილზე. თუმცა გავითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია სამსხვრევა-დამხარისხებელი საამქროები განთავსდეს სამშენებლო ბანაკებზე.</p> <p>არ არის შეფასებული, რა რაოდენობით ინერტულ მასალას მოიპოვებენ ამჟამად მოქმედი ლიცენზიანტები, იქნება თუ არა ეს საკმარისი პროექტისთვის, სხვა მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი დარჩება თუ არა ეს ბუნებრივი რესურსი.</p> |

| | | | |
|--------------------|---|---|---|
| | | | |
| მუხლი 10. 3. (დ.ა) | 5. განხილულია თუ არა ენერჯისა და ნედლეულის გამოყენების ეფექტურობა? არის თუ არა ეს მონაცემი ყველა ალტერნატივისთვის? | 0 | არ არის განხილული |
| | 6. არის თუ არა დადგენილი და რაოდენობრივად შეფასებული პროექტის ფარგლებში გამოყენებული, შენახული ან წარმოებული სახიფათო მასალები? <ul style="list-style-type: none"> • მშენებლობის დროს • ექსპლუატაციის დროს • ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემდეგ | 4 | განხილულია |
| | 7. განხილულია თუ არა პროექტისათვის საჭირო ნედლეულის ტრანსპორტირება (წიაღისეულისა და ბიომრავალფეროვნების ჩათვლით) და რეისების რაოდენობა? (საგზაო, სარკინიგზო და სამღვაო ტრანსპორტის ჩათვლით) <ul style="list-style-type: none"> • მშენებლობის დროს • ექსპლუატაციის დროს • ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემდეგ | 0 | არ არის განხილული |
| | 8. განხილულია თუ არა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით რელევანტური სოციალური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები? მაგალითად, პროექტის განხორციელების შედეგად სამუშაო ადგილების შექმნა ან კარგვა ? <ul style="list-style-type: none"> • მშენებლობის დროს • ექსპლუატაციის დროს • ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემდეგ | 2 | მოცემულია მოკლე ინფორმაცია, თუ რამდენი ადამიანი დასაქმდება მშენებლობისა და ოპერირების დროს, თუმცა არ არის განერილი დეტალები |
| | 9. შეფასებულია თუ არა მისასვლელი გზების მდგომარეობა და ტრანსპორტირების საშუალებები (მათ შორის რეისების რაოდენობა) პროექტისათვის მუშებისა და ვიზიტორების ჩამოყვანისთვის? <ul style="list-style-type: none"> • მშენებლობის დროს • ექსპლუატაციის დროს • ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემდეგ | 0 | ასეთი დეტალები არ არის მოცემული |
| | 10. განხილულია თუ არა პროექტის დროებითი ან მუდმივი თანამშრომლებისათვის საცხოვრებელი და სხვა მომსახურებით უზრუნველყოფა? (ეხება იმ პროექტებს, რომლებიც ითხოვენ არსებითად ახალი მუშახელის მიგრაციას მშენებლობის საჭიროებისათვის ან ხარგრძლივი | 0 | პრაქტიკულად არ არის მოცემული ინფორმაცია ამ საკითხზე |

| | ვადით) | | |
|----------------------------|---|---|---|
| მუხლი 10. 3. ა.ე); ა.გ) | ნარჩენები და ემისიები | | |
| | 1. განსამღვრულია თუ არა პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი მყარი ნარჩენების როგორც საერთო რაოდენობა, ისე სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების რაოდენობა ცალ-ცალკე. <ul style="list-style-type: none"> • მშენებლობის დროს • ექსპლუატაციის დროს • ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემდეგ | 5 | მოცემულია ნარჩენების მართვის თანდართულ გეგმაში |
| | 2. აღწერილია თუ არა მყარი ნარჩენების სახეობები ტოქსიურობისა და სხვა სახიფათო მახასიათებლების გათვალისწინებით? სახიფათო ნარჩენების განსამღვრელი მახასიათებლები (ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი III- ის შესაბამისად)? | 5 | აღწერილია ნარჩენების მართვის თანდართულ გეგმაში |
| | 3. აღწერილია თუ არა ამ მყარი ნარჩენების შერევის, შენახვის, მათთან მოპყრობის (მათ შორის სეპარირების მეთოდი, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევება), ტრანსპორტირების, ასევე დროებითი შენახვისა და საბოლოო განთავსების მეთოდები, ადგილმდებარეობის მითითებით? | 3 | მეთოდები აღწერილია ზოგადად ნარჩენების მართვის გეგმაში |
| | 4. აღწერილია თუ არა ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები ნაგავსაყრელზე განთავსების შემთხვევაში ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობა და მისი ტექნიკური მოთხოვნები | 3 | მეთოდები ზოგადადაა აღწერილი. დასახელებულია კონტრაქტორი კომპანიები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ნარჩენების მართვაზე |
| | 5. აღწერილია თუ არა მყარი ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილები, წიაღისეული / გამონამუშევარი ქანების განთავსების ადგილის ჩათვლით? | 4 | გამონამუშევარი და წიაღისეულის ნარჩენების განთავსების ადგილი მოცემულია მხოლოდ ერთი ალტერნატივისთვის |
| | 6. აღწერილია თუ არა პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ტიპები და რაოდენობა (დრენაჟი და ჩამონადენი, ტექნიკური ნარჩენები, გამაგრილებელი წყალი, გაწმენდილი ჩამდინარე წყლები, კანალიზაცია) <ul style="list-style-type: none"> • მშენებლობის დროს • ექსპლუატაციის დროს • ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემდეგ | 4 | მოცემული სამშენებლო ბანაკთან და ა.შ. გამოყენებული და ჩამდინარე წყლების საკითხები |
| | 7. აღწერილია თუ არა პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ყველა ჩამდინარე წყლის შემადგენლობა, ტოქსიკურობა ან | 2 | აღწერილია ნაწილობრივ |

| | | | |
|-------------------|---|---|--|
| | სახიფათოობა? | | |
| | 8. აღწერილია თუ არა პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ყველა ჩამდინარე წყლის შევროვების, შენახვის, მოპყრობის, ტრანსპორტირების და საბოლოო განთავსების მეთოდები? | 3 | მეთოდები ზოგადად არის აღწერილი - გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოების მოწყობა, ხოლო სამშენებლო უბნებზე განთავსებული იქნება ასევე საასენიზაციო ორმოები ან ბიოტუალტები, |
| | 9. განხილულია თუ არა პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ყველა ჩამდინარე წყლის საბოლოო განთავსების ადგილმდებარეობა? | - | არ არის რელევანტური |
| | 10. აღწერილია თუ არა პროექტის განხორციელების შედეგად ჰაერში მყარი ნაწილაკებისა და აირების გაფრქვევის ტიპები და რაოდენობა? (ტექნოლოგიური გაფრქვევა, გაპარული გაფრქვევა, სტაციონარულ და მობილურ საწარმოებში წვის პროდუქტების გაფრქვევა, ტრანსპორტის გამონაბოლქვი, მასალების მტვერი, სუნი) <ul style="list-style-type: none"> • მშენებლობის დროს • ექსპლუატაციის დროს • ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემდეგ | 4 | მოცემულია ინფორმაცია სხვადასხვა თავში |
| მუხლი 10. 3. ა.ვ) | 11. განხილულია თუ არა ნარჩენების აღდგენისა და/ან მეორადი გამოყენების პოტენციალი? (მყარი და თხევადი ნარჩენების, მათ შორის ჩამდინარე წყლები და გამონამუშევარი ქანების) | 3 | განხილულია |
| ა.ე) | 12. არის თუ არა აღწერილი და აღრიცხული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ხმაურის, თერმული ზემოქმედების და ელექტრომაგნიტური რადიაციის წყაროები. | 2 | ხმაურის გავრცელების საკითხები განხილულია მხოლოდ საცხოვრებელ ადგილებთან მიმართებაში |
| მუხლი 10. 3. ა.ვ) | 13. აღწერილია თუ არა მყარი და თხევადი ნარჩენების, ასევე ჩამდინარე წყლების რაოდენობა და შემადგენლობის შეფასების მეთოდები და განხილულია თუ არა სავარაუდო სირთულეები? | 2 | სავარაუდო სირთულეები არ არის განხილული |
| ა.ვ) | 14. განხილულია თუ არა მყარი და თხევადი ნარჩენების, ასევე ჩამდინარე წყლების წარმოქმნასთან დაკავშირებული უზუსტობები და ცდომილებები? | 0 | არ არის განხილული |
| ა.დ) | 15. არის თუ არა ინფორმაცია პროექტის მშენებლობის ეტაპის დასრულების შემდგომ პერიოდში, ან საქმიანობის შეწყვეტის პერიოდში სადემონტაჟო სამუშაოებისა და მეთოდების შესახებ? აღწერილია თუ არა ბიომრავალფეროვნების აღდგენის | 2 | ნაწილობრივ არის განხილული |

| | | | |
|--------------------|---|---|--|
| | ლონისძიებები? | | |
| მუხლი 10. 3. ე) ი) | 1.5. უბელური შემთხვევებისა და საფრთხეების რისკი | | |
| | 1. განხილულია თუ არა პროექტთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები? <ul style="list-style-type: none"> • სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკი • ხანძრებთან და აფეთქებებთან დაკავშირებული რისკი • საგზაო შემთხვევებით გამოწვეული რისკი • ჰესის სანარმოს და მოწყობილობების დაზიანების ან არასწორი ფუნქციონირებით გამოწვეული რისკი | 1 | განხილულია ზერელედ |
| | 2. განხილულია თუ არა ბუნებრივი კატასტროფებისაგან პროექტის დაუცველობით გამოწვეული რისკები (მიწისძვრა, წყალდიდობა, მენყერი და ა.შ) | 0 | ნახსენებია, განხილვის გარეშე |
| | 3. აღწერილია თუ არა ავარიული შემთხვევებისა და სხვა საფრთხეების (მათ შორის სტიქიური მოვლენების) თავიდან აცილებისა და შერბილების ზომები? (პრევენციული ზომები - ალტერნატივების ჩათვლით, მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა, ტრეინინგი, გაუთვალისწინებელი გეგმები, საგანგებო გეგმები, ავარიული გეგმები და ა.შ) | 0 | პრაქტიკულად არ არის განხილული. მოცემულია მოკლე ინფორმაცია, რომელიც კომპირებულია სხვა გზა ანგარიშებიდან |
| | 4. არის თუ არა წარმოდგენილი ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმა? არის თუ არა ამ გეგმაში გათვალისწინებული ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები? | 0 | არ არის წარმოდგენილი |
| | 5. არის თუ არა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი პრევენციის ღონისძიებები დეტალურად ახსნილი და განხილული? ხომ არ იწვევს ეს ღონისძიებები ზემოქმედებას ბიომრავალფეროვნებაზე? | 0 | არ არის |
| | 6. შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი გეგმა კანონმდებლობის მოთხოვნებსა ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს (მაგ. სევესოს ღირექტივას) | 0 | |
| მუხლი 10, 3, ა.ა) | 2. გარემოს (ფაქტორების/კომპონენტების) აღწერა, რომლებიც პროექტის განხორციელების შედეგად ზემოქმედების ქვეშ შეიძლება მოექცნენ | | |

| | | | |
|--|--|---|--|
| | 1. აღწერილია თუ არა პროექტისათვის განსაზღვრულ მიწებზე და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწათსარგებლობის ტიპები და მოცემულია თუ არა ინფორმაცია იმ ხალხის შესახებ, რომელიც ცხოვრობს ან იყენებს ამ მიწას? (საცხოვრებელი, კომერციული, საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო, რეკრეაციული და გასართობი მიწებისათვის გამოყენებული მიწების, ნაგებობების და საკუთრების ფორმის (კერძო, სახელმწიფო, იჯარა და ა.შ) ჩათვლით). | 0 | არ არის ინფორმაცია დეტალური ინფორმაცია |
| | 2. აღწერილია თუ არა პროექტისათვის განკუთვნილი მიწის და მისი შემოგარენის ტოპოგრაფია, ჰიპსომეტრია, გეოლოგია, გეომორფოლოგია და ნიადაგები? | 2 | დიდწილად აღწერილია რეგიონის მასშტაბით და არა კონკრეტულად საპროექტო ტერიტორიისთვის |
| | 3. აღწერილია თუ არა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ტოპოგრაფიული ან გეოლოგიური მახასიათებლები და აღწერილია თუ არა ნიადაგის მდგომარეობა და გამოყენება? (ნიადაგის ხარისხის, სტაბილურობის და ეროზიის დონის, სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის გამოყენებული მიწის ხარისხის ჩათვლით) | 2 | აღწერილია ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით საერთოდ არ არის აღწერილი |
| | 4. არის თუ არა აღწერილი და სათანადოდ ილუსტრირებული რუკებით პროექტით დაკავებულ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არსებული ფლორა, ფაუნა და ჰაბიტატები? მოცემულია თუ არა ამ რუკები წარმოდგენილი shp ფაილებთან ერთად? | ? | shp ფაილების არსებობის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს |
| | 5. აღწერილია თუ არა სახეობები (მათი პოპულაციები და ჰაბიტატები), ასევე ჰაბიტატების ტიპები, რომლებზეც პროექტმა შეიძლება გავლენა იქონიოს? | 1 | აღწერილია, მაგრამ ხარვეზებით. ბოტანიკური და ზოოლოგიური ნაწილში მოცემული ჰაბიტატების შეფასებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია - განსაკუთრებით ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატების შემთხვევაში |
| | 6. აღწერილია თუ არა პროექტის რეგიონში არსებული და დაგეგმილი დაცული ტერიტორიები და მათზე პროექტის შესაძლო ზეგავლენა? | 0 | რეგიონში დღესდღეობით არ არის დაცული ტერიტორიები წარმოდგენილი. დაგეგმილ დაცულ ტერიტორიები ზოგადად არის განხილული, მაგრამ ზეგავლენა არ არის შეფასებული |
| | 7. აღწერილია თუ არა პროექტის რეგიონში არსებული და დაგეგმილი ზურმუხტის საიტები და მათზე პროექტის შესაძლო ზეგავლენა? | 0 | ნახსენებია რეგიონში არსებული სამი ზურმუხტის საიტი. მაგრამ არ არის განხილული მდინარის ქვედა ბიეფში არსებული ზურმუხტის საიტები, რაც სავალდებულოა |

| | | | |
|--|---|---|--|
| | 8. აღწერილია თუ არა პროექტის ტერიტორიაზე არსებული წყლის გარემო? (მედაპირული წყლები - როგორც გამდინარე, ისე სტატიკური ბუნებრივი ტბები და ხელოვნური წყალსაცავები, სემონური ჩამონადენი ნაკადები, მიწისქვეშა წყლები. საჭიროების შემთხვევაში, როდესაც პესის პროექტი მდგასთან ახლოსაა: ესტუარების, სანაპირო წყლები და მღვა. | 1 | ჰიდროლოგიური ქსელი აღწერილია, თუმცა მოტანილი მახასიათებლები ძალიან მოძველებულია |
| | 9. აღწერილია ნებისმიერი წყლის რესურსების წყლის ხარისხი, რაოდენობა და გამოყენების ტიპი, რომლებზეც პროექტმა შეიძლება იქონიოს ზეგავლენა? (წყლით მომარაგების, კომერციული მეთევზეობის, სამოყვარულო თევზაობის, რეკრეაციის მიზნით და ჩამდინარე წყლების ჩაშვების ჩათვლით) | 1 | მოტანილია ძველი ჰიდროლოგიური მონაცემები, ეკოსისტემური სერვისების გამოყენების შესახებ არაფერია ნათქვამი |
| | 10. აღწერილია თუ არა ჰიდროლოგიური ქსელი? | 1 | ჩამოთვლილია ძირითადი მდინარეები, აღწერის გარეშე |
| | 11. აღწერილია თუ არა საპროექტო ძირითადი მდინარის დინების დონეები? | 1 | აღწერილია მოძველებული მონაცემებზე დაყრდნობით |
| | 12. აღწერილია თუ არა საპროექტო ძირითადი მდინარის შენაკადების ჰიდროლოგიური მახასიათებლები (საშუალო მრავალწლიანი წყლის ხარჯი, სემონური ხარჯები და ა.შ.). | 0 | არ არის აღწერილი |
| | 13. განსაზღვრულია თუ არა მდინარის საკვლევი ტერიტორიის საზღვრები (აუზი), მდინარის სისტემა და მდინარის მონაკვეთი, გარემოსდაცვითი ხარჯის საკვლევი უბნების რაოდენობა და ადგილმდებარეობა? | 0 | გარემოსდაცვითი ხარჯის კვლევა არ განხორციელებულა თანამედროვე მეთოდის მიხედვით |
| | 14. საკმარისია თუ არა გარემოსდაცვითი ხარჯის საკვლევი უბნების რაოდენობა? | 0 | არ არის საკმარისი |
| | 15. მოძიებულ და დახარისხებულია თუ არა მონაცემები, ინფორმაცია და არსებული ცოდნა მდინარის აუზსა და გარემოსდაცვითი ხარჯის საკვლევი თითოეულ უბანთან დაკავშირებით. | | მოცემულია მოძველებული მონაცემებზე დაყრდნობით |
| | 16. ჩატარებულია თუ არა თითოეული საკვლევი უბნის ჰიდროლოგიური დახასიათება გარემოსდაცვითი ხარჯის გამოსათვლელად? | 0 | მოძველებული მეთოდოლოგიით და მონაცემებით. არ არის გამოყენებული თანამედროვე მეთოდოლოგია |
| | 17. დადგენილია თუ არა მდინარის სასიცოცხლო ხარჯი? | 0 | არ არის გამოყენებული თანამედროვე მეთოდოლოგია |
| | 18. დადგენილია თუ არა მდინარის ეკოლოგიური მნიშვნელობის მქონე დაბალი ხარჯის პერიოდები? | 0 | არ არის გამოყენებული თანამედროვე მეთოდოლოგია |
| | 19. დადგენილია თუ არა მდინარის სოციალური მნიშვნელობის მქონე დაბალი ხარჯის პერიოდები? | 0 | არ არის გამოყენებული თანამედროვე მეთოდოლოგია |

| | | | |
|--|--|---|--|
| | 20. დადგენილია თუ არა ეკოლოგიური და სოციალური მნიშვნელობის მქონე, წყლის მაღალი ხარჯით გამოწვეული მოვლენები? | 0 | არ არის დადგენილი |
| | 21. შესწავლილია თუ არა მაღალ ხარჯთან (მაგ., წყალმომარაგების, ყოველწლიური და უფრო იშვიათი მცირე და დიდი წყალდიდობები) დაკავშირებული ძირითადი პროცესები, მათ შორის, ისეთი მოვლენები, როგორცაა ნატანის გადაადგილება და მდინარის კალაპოტის ფორმირება? | 1 | ნატანის გაანგარიშება ეყრდნობა მოძველებულ მონაცემებს და თეორიულ გათვლებს. გაკეთებულია მხოლოდ ერთი გრანულომეტრიული ანალიზი (მდ.რიონზე ჰიდროპოსტ ონის ზედა ბიეფში 2016.06.22) |
| | 22. შესწავლილია თუ არა სპეციფიკური მაღალი ხარჯის მოთხოვნები ეკოსისტემის სხვადასხვა კომპონენტებისათვის (მაგ., თევზის მიგრაციისა და ქვირითობისათვის საჭირო პირობები, წყალდიდობები, რომლებიც აუცილებელია ჭალის მცენარეების განვითარებისა და თესვების გავრცელებისთვის და სხვ. | 0 | განხილულია წყლის ხარჯის მხოლოდ ერთი ე.წ. 10%-იანი ვარიანტი |
| | 23. შესწავლილია თუ არა წყალთან დაკავშირებული ეკოსისტემური სერვისები, კერძოდ: წყლის გამოყენება სხვადასხვა სოციალური მიზნებისათვის (მაგ., კულტურული ან ესთეტიკური მნიშვნელობის მქონე ისეთი მახასიათებლების შენარჩუნება, როგორცაა მაგ., ჩანჩქერები; ეკონომიკური გამოყენება ტურიზმისათვის, მაგ., რაფტინგისათვის, საჭირო პირობების არსებობა; ან მნიშვნელოვანი მორფოლოგიური თავისებურებების, მაგ., მდინარის პლაჟების, შესაქმნელად საჭირო პირობების არსებობა; სარწყავი წყლით სოფლის მეურნეობის/აგრობიომრავალფეროვნების უზრუნველყოფა და ა.შ.); | 1 | ძალიან მწირი ინფორმაციაა, რაფტინგი საერთოდ არ არის ნახსენები, ასევე არ არის ნახსენები სარწყავი მიზნებით წყლის გამოყენება, შესაძლო ზეგავლენა საძოვრების პროდუქტიულობაზე დერივაციის ზონაში |
| | 24. აღწერილია თუ არა ადგილობრივი კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობები და ჰაერის არსებული მდგომარეობა? | 4 | საერთო, რეგიონული მონაცემები |
| | 25. აღწერილია თუ არა ჰაერის ხარისხის მდგომარეობა (როგორც მშენებლობის ტერიტორიაზე, ისე დასახლებულ პუნქტებში, რომელიც ესაზღვრება როგორც მშენებლობის ტერიტორიას, ისე მშენებლობის საიტებზე მისასვლელ გზებს), ჰაერის ხარისხის მიმართ დადგენილი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. | 0 | არ არის აღწერილი |
| | 26. აღწერილია თუ არა არსებული ვითარება | 0 | არ არის აღწერილი |

| | | | |
|-----------------------|---|---|---|
| | ხმაურის თვალსაზრისით? (ეს პუნქტი არ არის მნიშვნელოვანი, თუ პროექტი არ ახდენს გავლენას გარემომცველ აკუსტიკურ მახასიათებლებზე) | | |
| | 27. აღწერილია თუ არა სითბოსთან და ელექტრომაგნიტურ რადიაციასთან დაკავშირებული მდგომარეობა? | - | არ არის რელევანტური |
| | 28. აღწერილია თუ არა რაიმე მატერიალური ქონება ამ ტერიტორიაზე, რომელზეც პროექტმა შეიძლება იქონიოს ზეგავლენა? (შენობების, სხვა ნაგებობების, მინერალური რესურსების, წყლის რესურსების, სავარგულების ჩათვლით) | 0 | არ არის |
| მუხლი 10.3. დ.დ) | 29. აღწერილია თუ არა არქეოლოგიური, ისტორიული, არქიტექტურული ან სხვა სამოგადობრივი ან კულტურული ღირებულების მქონე ადგილები ან მათი დამახასიათებელი თვისებები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა დაცული საიტების ჩათვლით, რომლებიც შეიძლება დაზარალდეს პროექტის გამო? | 0 | კვლევა არ არის ჩატარებული, ძალიან მოკლედ არის ნახსენები, ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით |
| | 30. აღწერილია თუ არა ლანდშაფტი, რომელზეც შესაძლოა პროექტმა იქონიოს ზეგავლენა, ნებისმიერი სხვა პროექტისათვის გამოყოფილი და დაცული ლანდშაფტების ან მნიშვნელოვანი ხედების ჩათვლით? | 1 | ლანდშაფტის ცვლილებაზე და ვიზუალურ დაბინძურება ნახსენებია, დეტალური განხილვის გარეშე |
| | 31. აღწერილია თუ არა ტერიტორიაზე არსებული დემოგრაფიული, სოციალური და სოციო-ეკონომიკური პირობები? (მაგ. დასაქმება) | 3 | მოცემულია ზოგადი მონაცემები, ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, სპეციალური კვლევა არ არის ჩატარებული |
| | 32. აღწერილია თუ არა სავარაუდო ცვლილებები რომელიმე ზემოხსენებულ გარემოსდაცვით საკითხში, იმ შემთხვევაში, თუ პროექტი არ განხორციელდება (ე.წ. დინამიური საბიზისო მდგომარეობა „Dynamic Baseline“) | 0 | არ არის განხილული |
| მუხლი 10.3. ლ) | მონაცემთა შეგროვებისა და კვლევის მეთოდები | | |
| | 1. არის თუ არა შესწავლისათვის გამოყოფილი ტერიტორია საკმარისი იმისათვის, რომ სწორად განისაზღვროს პროექტის ზემოქმედება გარემოზე/ბიომრავალფეროვნებაზე? | 0 | არ არის საკმარისი, განსაკუთრებით ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების თვალსაზრისით |
| | 2. მოხდა თუ არა ყველა შესაბამის სახელმწიფო თუ ადგილობრივ უწყებასთან დაკავშირება, გარემოს არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაციის | 5 | სავარაუდოდ, მოხდა |

| | | | |
|--|--|---|---|
| | შეგროვების მიზნით? | | |
| | 3. გამოყენებულია თუ არა ყველა ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზა, საჯარო ინფორმაცია და სხვა და რელევანტური გარემოსდაცვითი ინფორმაცია? რამდენად სწორად და ობიექტურად არის გამოყენებული ინფორმაცია. | ? | არ არის ინფორმაცია სამეცნიერო და გარემოსდაცვით ორგანიზაციებში არსებული ინფორმაციის გამოყენების შესახებ |
| | 4. საკმარისად არის მითითებული გარემოს არსებული მდგომარეობის შესახებ მონაცემების და ინფორმაციის წყაროები? | 1 | არ არის დაცული ციტირების წესი |
| | 5. დასაბუთებულია თუ არა, რომელ მონაცემებს/წყაროებს მიენიჭა უპირატესობა (მიჩნეული იქნა სანდოდ) გზმ ანგარიშის შედგენისას? | 3 | ხშირ შემთხვევაში არ არის დასაბუთება |
| | 6. იმ შემთხვევაში, როდესაც შესწავლილი იქნა გარემოს/ბიომრავალფეროვნების არსებული მდგომარეობა, აღწერილია თუ არა გამოყენებული მეთოდები? | 4 | ძირითადად აღწერილია |
| | 7. შეესაბამება თუ არა გამოყენებული მეთოდები არსებულ მიზანს? | 2 | ნაწილობრივ შეესაბამება, მაგრამ გამოყოფილი დრო არასაკმარისია ობიექტური და სრულყოფილი მასალის მოსაპოვებლად |
| | 8. გამოყენებული იქნა თუ არა მეთოდები, რომლებიც აფასებენ პროექტის ზეგავლენას კლიმატის ცვლილებაზე | 0 | არ არის |
| | 9. გამოყენებული იქნა თუ არა მეთოდები, რომლებიც აფასებენ კლიმატის ცვლილების ზეგავლენას პროექტზე | 0 | არ არის |
| | 10. არის თუ არა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ზეგავლენები პროგნოზირებული პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში? | 0 | არ არის |
| | 11. აღწერილია თუ არა მნიშვნელოვანი ხარვეზები გარემოს/ბიომრავალფეროვნების შესახებ არსებულ მონაცემებში (ლიტერატურა, მონაცემთა ბაზები) და ახსნილია თუ არა საშუალებები, რომლებიც უნდა იყოს გამოყენებული ამ ხარვეზების შესავსებად შეფასების დროს? | 2 | ნაწილობრივ აღწერილია. თევზების შემთხვევაში მითითებულია არასაკმარისობა და დასკვნების გაკეთება შეუძლებლად არის მიჩნეული |
| | 12. ჩატარებულია თუ არა საკმარისი საველე კვლევები, იმისათვის, რომ მოხდეს არსებული მონაცემების დეფიციტის შევსება და მიღებული იქნას სარწმუნო მონაცემები იძლევიან გარემოზე გემოქმედების შესაფასებლად? | 1 | საველე კვლევები არასაკმარისია |
| | 13. სწორად იქნა თუ არა შერჩეული ფლორისა და ფაუნის (საკვანძო სახეობებისა და ჰაბიტატების) კვლევის | 1 | არ არის სწორად შერჩეული. მაგ. უხერხემლოების კვლევა მიმდინარეობდა 2 დღე, ნოემბერში, |

| | | | |
|---------|---|---|--|
| | დრო და ხანგრძლივობა? | | ისიც უამინდობის პირობებში. თევზების კვლევა ჩატარდა მხოლოდ ერთხელ, ოქტომბრის თვეში. ბოტანიკური კვლევა ჩატარდა მხოლოდ 2 სემონში, 1 წლის განმავლობაში |
| | 14. გამოყენებული იქნა თუ არა გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის თანამედროვე მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებს | 0 | არ არის გამოყენებული |
| 8) | 3. პროექტის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა გარემოს ფაქტორებზე/კომპონენტებზე | | |
| 8) , დ) | 3.1. სკოპინგის ეფექტი | | |
| | 1. აღწერილია თუ არის სკოპინგის პროცესი, რომლითაც განისაზღვრა გარემოს/ბიომრავალფეროვნების კვლევის სამუშაოთა მოცულობა? | | ქვეთავი 3.1. არ არის რეგულაციური, სკოპინგის ეტაპი არ ჩატარებულა |
| | 2. გამოყენებული იქნა თუ არა სამუშაოთა მოცულობის დადგენისთვის სისტემატური მიდგომა? | | |
| | 3. ჩატარდა თუ არა სკოპინგის დროს სრული კონსულტაცია? | | |
| | 4. გათვალისწინებულია თუ არა კონსულტაციების დროს მიღებული შენიშვნები და კომენტარები? | | |
| | 5. გმშ-ს დროს შესრულებულია თუ არა სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული სამუშაო/კვლევა (გარემოს და ბიომრავალფეროვნების ყველა კომპონენტის კვლევა)? თუ არ არის ახსნილია თუ არა ამის მიზეზი? | | |
| | 6. გამოვლინდა თუ არა გმშ-ს დროს ისეთი კვლევების საჭიროება, რომელიც არ იყო განსაზღვრული სკოპინგის დასკვნით და ჩატარდა თუ არა? | | |
| | 7. განისაზღვრა თუ არა სკოპინგის ეტაპზე გარემოსდაცვითი ხარჯის დადგენის სტრატეგია? | | |
| | 3.2. პირდაპირი ზემოქმედების პროგნოზირება | | |
| | 1. აღწერილი თუ არის მიწის გამოყენებაზე, მოსახლეობაზე და საკუთრებაზე პირდაპირი ზემოქმედება და სათანადო შემთხვევაში, არის თუ არა იგი გამოხატული რაოდენობრივად? | | |
| | 2. აღწერილია თუ არა გეოლოგიურ გარემოსა და მის კომპონენტებზე, პირდაპირი ზემოქმედება? | | |
| | 3. აღწერილია თუ არა გარემოსდაცვითი ხარჯით გამონვეული ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემურ სერვისებზე? რამდენად | | |

| | | | |
|--|--|--|--|
| | შეესაბამება ზემოქმედება „გარემოსდაცვითი ხარჯის“ პრინციპს? | | |
| | 4. აღწერილია თუ არა ასევე ნიადაგზე (ნიადაგის მახასიათებლებზე) პირდაპირი ზემოქმედება და სათანადო შემთხვევაში, არის თუ არა იგი გამოხატული რაოდენობრივად? | | |
| | 5. აღწერილია თუ არა ფლორაზე პირდაპირი ზემოქმედება და სათანადო შემთხვევაში, არის თუ არა იგი გამოხატული რაოდენობრივად? | | |
| | 6. აღწერილია თუ არა ფაუნის სახეობებზე და მათ ჰაბიტატებზე პირდაპირი ზემოქმედება და სათანადო შემთხვევაში, არის თუ არა იგი გამოხატული რაოდენობრივად? | | |
| | 7. აღწერილია თუ არა ჰაბიტატებზე პირდაპირი ზემოქმედება და სათანადო შემთხვევაში, არის თუ არა იგი გამოხატული რაოდენობრივად? | | |
| | 8. აღწერილია თუ არა პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ყველა ის შესაძლო ზემოქმედება, რაც შეიძლება მიადგეს ზურმუხტის საიტებსა და იქ არსებულ ლანდშაფტებს, ბიომრავალფეროვნებას (მათ შორის იშვიათ და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს და მათ პოპულაციებს), ჰაბიტატებს. რამდენად შეესაბამება ზემოქმედება ზურმუხტის საიტების სტატუსს? | | |
| | 9. აღწერილია თუ არა პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ყველა ის შესაძლო ზემოქმედება, რაც შეიძლება მიადგეს დაცულ ტერიტორიებს და იქ არსებულ ლანდშაფტებს, ბიომრავალფეროვნებას (მათ შორის იშვიათ და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს და მათ პოპულაციებს)? რამდენად შეესაბამება ზემოქმედება დაცული ტერიტორიების სტატუსს და შესაბამის კანონმდებლობას? | | |
| | 10. აღწერილია თუ არა ჰიდროლოგიაზე და წყლის მახასიათებლების ხარისხზე პირდაპირი ზემოქმედება და სათანადო შემთხვევაში, არის თუ არა იგი გამოხატული რაოდენობრივად? | | |
| | 11. აღწერილია თუ არა წყლის გარემოს გამოყენებაზე პირდაპირი ზემოქმედება და სათანადო შემთხვევაში, არის თუ არა იგი გამოხატული რაოდენობრივად? | | |
| | 12. აღწერილია თუ არა საქმიანობის | | |

| | | | |
|--|---|---|---------|
| | პირდაპირი ზემოქმედება ჰაერის ხარისხზე და საჭიროების შემთხვევაში, რაოდენობრივად შეფასებული? | | |
| | 13. აღწერილია თუ არა საქმიანობის პირდაპირი ზემოქმედება კლიმატური პირობების ცვლილებაზე და საჭიროების შემთხვევაში, რაოდენობრივად შეფასებული? | | |
| | 14. აღწერილია თუ არა აკუსტიკურ გარემოზე (ხმაური და ვიბრაცია) პირდაპირი ზემოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, არის თუ არა იგი გამოსატყობი რაოდენობრივად? | | |
| | 15. აღწერილია თუ არა სითბოთი, სინათლით ან ელექტრომაგნიტურ რადიაციით დაბინძურების შედეგად წარმოშობილი ზემოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, არის თუ არა იგი გამოსატყობი რაოდენობრივად? | | |
| | 16. აღწერილია მატერიალურ ქონებაზე და არა-აღდგენად ბუნებრივი რესურსებზე (მაგ. წიაღისეული) ზემოქმედება? | | |
| | 17. აღწერილი თუ არის პირდაპირი ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე და მათ მახასიათებლებზე? | | |
| | 18. აღწერილი თუ არის ლანდშაფტის ხარისხზე პირდაპირი ზემოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, არის თუ არა იგი ილუსტრირებული | | |
| | 19. აღწერილია თუ არის დემოგრაფიაზე, სოციალურ და სოციო-ეკონომიკურ პირობებზე პირდაპირი ზემოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, არის თუ არა იგი გამოსატყობი რაოდენობრივად? | | |
| 3.3. მეორადი, დროებითი, მოკლევადიანი, მუდმივი, გრძელვადიანი, შემთხვევითი, არაპირდაპირი, კუმულაციური ზემოქმედების პროგნოზირება | | | |
| | 1. აღწერილია თუ არა გარემოს ზემოაღნიშნულ (წინა ქვეთავი) ასპექტებზე მეორადი ზემოქმედება, მიღებული სხვა ასპექტებზე პირდაპირი ზემოქმედების შედეგად (ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე, ფაუნაზე, ფლორაზე ან მათ ჰაბიტატებზე, გამონვეული ნიადაგის, ჰაერისა ან წყლის დაბინძურებით ან ხმაურით; ცვლილება წყლის გამოყენების, პიდროლოგიური რეჟიმის ან წყლის ხარისხის ცვლილებებით გამონვეული ზემოქმედება; არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედება, გამონვეული ნიადაგის | 0 | არ არის |

| | | | |
|----|---|---|---|
| | გამოფიტვით, ტენიანობის ცვლილებით, ვიბრაციით და ა.შ.) | | |
| 2. | აღწერილია თუ არა დროებითი მოკლევადიანი ზემოქმედება, რომელიც წარმოიქმნება მშენებლობის პერიოდში ან პროექტის განხორციელების (მშენებლობის) გარკვეულ ფაზაში ან ექსპლუატაციიდან გამოყვანის შემდეგ? (მაგალითად, მშენებლობის დროს ემისიები, მდინარის კალაპოტის დროებითი ცვლილება, ვიბრაცია სამშენებლო მასალების გადაზიდვისას გამონვეული ვიბრაციის გამო და ა.შ. მუშათა ბანაკები, ბეტონის სანარმოები და ა.შ.). | 0 | აღნიშნულია, რომ კაშხლების მშენებლობის დროს მოხდება მდინარის ნაკადის დროებითი ცვლილება, მაგრამ ზემოქმედება არ არის აღწერილი. |
| 3. | აღწერილია გარემოზე მუდმივი ზემოქმედება, რომელიც გამონვეულია ჰესის მშენებლობით, ექსპლუატაციით ან ექსპლუატაციიდან გამოყვანით | 1 | აღწერილია, მაგრამ არაზუსტად, არასაკმარისი მონაცემების გამო (იხ. თევზების ნაწილი) |
| 4. | აღწერილია გარემოზე გრძელვადიანი ზემოქმედება, გამონვეული ჰესის ექსპლუატაციის შედეგად გარემოში დამაბინძურებელი ნივთიერებების დაგროვებით? | - | საუბარია სანაყაროებზე, თუმცა გარემოზე (მაგ. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება ჰაბიტატის დეგრადაციის ან ფრაგმენტაციის თვალსაზრისით) არ არის განხილული |
| 5. | აღწერილია გარემოზე ზემოქმედება, რომელიც შეიძლება გამონვეული იყოს უბედური შემთხვევებით, ავარიებით ან ბუნებრივი/ანთროპოგენული კატასტროფებით და არის თუ არა იგი გამოხატული რაოდენობრივად? | 0 | არ არის |
| 6. | აღწერილია გარემოზე ზემოქმედება, რომელიც გამონვეულია ძირითადი პროექტის მსვლელობაში დამხმარე საქმიანობით? (დამხმარე საქმიანობა არის პროექტის ნაწილი, მაგრამ როგორც წესი იგი ხორციელდება პროექტისაგან დამოუკიდებლად მაგ. მისადგომი გზების გაყვანა და ინფრასტრუქტურის შექმნა, ტრანსპორტის მოძრაობა, აგრეგატების წყაროები და სხვა ნედლეული, ენერჯის გენერაცია და მიწოდება, ჩამდინარე წყლების ან ნარჩენების განთავსება, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა). | 1 | ძალიან ზოგადად |
| 7. | აღწერილია არაპირდაპირი ზემოქმედება გარემოზე / ბიომრავალფეროვნებაზე, რომელიც გამონვეულია თანმდევი განვითარებით? (თანმდევი განვითარება ეს არის სხვა პროექტი და არა ძირითადი პროექტის ნაწილი, რომელიც სტიმულირებულია პროექტის განხორციელებით. მაგ. | 0 | არ არის |

| | | | |
|---|---|---|---------------------|
| | პროექტისათვის ახალი საქონელითა და სერვისებით უზრუნველყოფა, ახალი მოსახლეობის ჩასახლება ან პროექტის სტიმულირებით ახალი ბიზნესების წამოწყება). | | |
| 8. | აღწერილია გარემოზე პროექტით გაუთვალისწინებელი კუმულაციური ზემოქმედება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ან დაგეგმილ პროექტებთან ერთად? (ზემოქმედების შეფასებისათვის აღწერილი უნდა იქნას განვითარების სხვადასხვა სცენარი, ყველაზე ცუდი სცენარის ჩათვლით) | 0 | არ არის |
| 9. | განხილულია თუ არა სათანადოდ ყოველი ზეგავლენის გეოგრაფიული არეალი, ხანგრძლივობა, სიხშირე, განმეორების შესაძლებლობა და ალბათობა? | 0 | არ არის |
| 10. | აღწერილია თუ არა პროექტის ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე? | - | არ არის რელევანტური |
| 3.4. ადამიანის ჯანმრთელობასა და მდგრად განვითარებაზე ზემოქმედების პროგნოზირება | | | |
| 1. | აღწერილია თუ არა ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე პირველადი და მეორადი ზემოქმედება და არის თუ არა იგი გამოხატული რაოდენობრივად? (მაგ. ჯანმრთელობაზე ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია გარემოში ტოქსიკური ნივთიერებების ემისიებით, რისკი ჯანმრთელობისათვის, რომელიც გამოწვეულია პროექტიდან გამომდინარე ჯანმრთელობისათვის მაგნე ფაქტორებით, პროექტით გამოწვეულ დაავადებათა ცვლილების ფაქტორი, საცხოვრებელი მდგომარეობის შეცვლა, სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე ზეგავლენა) | 0 | არ არის აღწერილი |
| 2. | განხილულია თუ არა რა ზეგავლენას მოახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ჰესის პროექტის შედეგად ისეთ ასპექტებზე ზემოქმედება, როგორებიცაა ბიომრავალფეროვნება, კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი რესურსების გამოყენება და კატასტროფების რისკი? | 0 | არ არის აღწერილი |
| 3.5 ზემოქმედების მნიშვნელობის შეფასება | | | |
| 1. | განხილული თუ არის ყველა პროგნოზირებული ზემოქმედების მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება იგი სამართლებრივ მოთხოვნებს? ასევე ბიომრავალფეროვნებისა და | 0 | არ არის განხილული |

| | | | |
|--|---|---|---|
| | ეკოსისტემური მნიშვნელობას და სერვისების სენსიტიურობას /მონაცვლადობას? | | |
| 2. | გემოქმედების სამართლებრივ მოთხოვნებთან შეფასებისას, გამოყენებულია თუ არა ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა და სტანდარტები? | 0 | საერთაშორისო სტანდარტები და გაიდლაინები უგულებელყოფილია. ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს |
| 3. | გამოყენებულია თუ არა შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტები? | 0 | არ არის გამოყენებული თანამედროვე სახელმძღვანელო დოკუმენტები (წყლის ხარჯის განსაზღვრის) |
| 4. | გარემოზე გემოქმედების ნეგატიურ გემოქმედებასთან ერთად აღწერილია პოზიტიური გემოქმედებაც? | 0 | არ არის |
| 5. | გასაგებადაა ახსნილი თითოეული გემოქმედების მნიშვნელობა? | 0 | არ არის გასაგებად აღწერილი |
| 3.6 გემოქმედების შეფასების მეთოდები | | | |
| 1. | აღწერილია თუ არა მეთოდები, რომლებიც გამოიყენება გემოქმედების პროგნოზირებისათვის და განხილულია თუ არა ამ არჩევანის მიზეზები, სირთულეები და მოსალოდნელი უზუსტობანი შედეგებში? | 0 | არ არის |
| 2. | იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტთან / არსებულ გარემოსთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალი დაუმუსტებელია, განხილულია თუ არა ბიომრავალფეროვნებაზე და ეკოსისტემურ სერვისებზე გემოქმედების ყველაზე უარესი სცენარი (სიფრთხილის პრინციპის შესაბამისად) | 0 | განხილულია ყველაზე უმტკივნეულო სცენარები, |
| 3. | იქ, სადაც არსებობს შედეგების პროგნოზირებისა და შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების სირთულეები, არის თუ არა ასეთი სირთულეები გაცნობიერებული და განხილული მათი გემოქმედება შედეგებზე? | 1 | გამონაკლის შემთხვევებში აღიარებულია, რომ მონაცემების სიმცირის გამო შეუძლებელია სწორად გემოქმედების შეფასება (მაგ. იქტიოლოგია) |
| 4. | ნათლად თუ არის აღწერილი რის საფუძველზე ხორციელდება გემოქმედების მნიშვნელობის შეფასება? | 3 | მოცემულია გემოქმედების შეფასების კრიტერიუმები ცხრილების სახით, სხვადასხვა ტიპის გემოქმედებასთან დაკავშირებით |
| 5. | აღწერილი არის თუ არა გემოქმედება იმ შემთხვევისთვის, თუ ყველა შემთავაზებული შემარბილებელი ღონისძიება განხორციელდება. ანუ, აღწერილია თუ არა ნარჩენი გემოქმედება? | 1 | ძალიან ზოგადად |
| 6. | შესაბამება თუ არა თითოეული გემოქმედების შეფასების დონე მის მნიშვნელობას? ფოკუსირდება თუ არა | 2 | არ არის უმეტეს შემთხვევაში დაცული შესაბამისობა. ძირითადი საფრთხეები დაკავშირებულია |

| | | | |
|----------------------------------|---|---|---|
| | განხილვა საკვანძო საკითხებზე თუ უმნიშვნელო საკითხებს ეთმობა შეუფერებლად დიდი ადგილი და ანგარიში მოიცავს ზედმეტ ინფორმაციას? | | დერივაციასთან, გვირაბების გაყვანასთან, წყლის ხარისხის გაუარესებასთან, გემოქმედებასთან სოფლის მეურნეობაზე, თუმცა შეფასებული მათი მნიშვნელობა არ არის სათანადოდ შეფასებული და თავიდან არიდებისა და შერბილების ღონისძიებები განხილული. |
| | 7. ეთმობა თუ არა გზა ანგარიშში პროექტის ყველაზე მძიმე გემოქმედებას სათანადო ყურადღება, ნაკლებად მნიშვნელოვან გემოქმედებასთან შედარებით? | 1 | არ ეთმობა. მაგალითად, ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებით, ძირითად საფრთხედ სამართლიანად არის დასახელებული 25 კმ-ზე მდინარის შემცირებული ნაკადი, მაგრამ შემარბილებელი ღონისძიებები მეორეხარისხოვან საკითხებს ეხება |
| 4.ალტერნატივების განხილვა | | | |
| ბ) | 1. აღწერილია თუ არა პროექტის შემუშავების პროცესი და განხილულია თუ არა ამ პროცესის ალტერნატივები, განსაკუთრებით ბიომრავალფეროვნებაზე გემოქმედების კუთხით? | 2 | აღწერილია |
| | 2. აღწერილია თუ არა ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემური სერვისების მდგომარეობა არგანხორციელების შემთხვევაში? ანუ: აღწერილია თუ არა პროექტის არგანხორციელების შემთხვევაში ბიომრავალფეროვნების ღირებულება და ეკოსისტემური სერვისებიდან მიღებული სარგებელი | 0 | არაქმედების ალტერნატივა არასწორად არის გაგებული |
| | 3. არის თუ არა განხილული ამ პროექტისათვის რეალური ალტერნატივები? (ალტერნატივები, რომელიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს) | 0 | არ არის განხილული ალტერნატივები, როდესაც წყლის ხარჯი დათვლილი იქნება ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით. |
| | 4. ახსნილია თუ არა წარმოდგენილი პროექტის არჩევის ძირითადი მიზეზები, გარემოსთან დაკავშირებული მიზეზების ჩათვლით? დასაბუთებულია თუ არა, რომ ბიომრავალფეროვნებაზე ნაკლები ზეგავლენა იქნება პრიორიტეტული ალტერნატივის შემთხვევაში? | 2 | განხილულ ალტერნატივებს შორის ასეთი აღწერა არის. თუმცა სხვა ალტერნატივები, რომლებიც უფრო მისაღები იქნებოდა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, არ არის განხილული (თევზებისადმი „მეგობრული“ ტურბინები, წყლის ხარჯის 30% ან მეტის დატოვება) |
| | 5. შედარებულია თუ არა შემოთავაზებული პროექტის ყველა ალტერნატივის გარემოზე გემოქმედება ერთმანეთთან, განსაკუთრებით ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის | 2 | ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ზოგადად არის შედარებული |

| | | | |
|----|---|---|--|
| | თვალსაზრისით? | | |
| | 6. შეფასებულია თუ არა ყველა ის ალტერნატივა, რომელიც იდენტიფიცირებული იქნა სკოპინგის ეტაპზე? | - | არ არის რელევანტური, სკოპინგის ეტაპი არ ყოფილა |
| | 7. არის თუ არა გამოყოფილი პროექტის განმახორციელებლის/კონსულტანტის მიერ ისეთი ალტერნატივები, რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული სკოპინგის სტადიაზე? | - | არ არის რელევანტური |
| | 8. არის თუ არა ტექნოლოგიური ალტერნატივები განხილული ანგარიშში | 0 | არა |
| | 9. არის თუ არა ადგილმდებარეობის ალტერნატივები განხილული გზმ ანგარიშში? | 5 | არის |
| | 10. არის თუ არა პროექტის ზომის/მასშტაბის ალტერნატივები განხილული გზმ ანგარიშში | 1 | პრაქტიკულად არ არის, ვინაიდან ერთიდაიგივე წყლის ხარჯვა გათვლილი ყველა ალტერნატივა |
| | 11. შეფასებული და შედარებულია თუ არა შემარბილებელი ღონისძიებები ყველა ალტერნატივის დროს | 0 | არა |
| 3) | ზეგავლენის შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებები | | |
| | 1. განხილული არის თუ არა ისეთი ზემოქმედების შერბილების შესაძლებლობა, როდესაც სახეზე გვაქვს მნიშვნელოვანი არასასურველი ზემოქმედება გარემოს რომელიმე ასპექტზე? | 2 | განხილულია, თუმცა არასაკმარისია / არა- შესაბამისია შემარბილებელი ღონისძიებები |
| | 2. არის თუ არა აღწერილი ნათლად და ხარისხიანად ის შემარბილებელი ღონისძიებები, რომელთაც გვთავაზობს პროექტის განმახორციელებელი არასასურველი ზეგავლენის შესამცირებლად და თუ არის ნათლად ახსნილი ამ ზემოქმედების მასშტაბი და მნიშვნელობა? | 1 | ძირითადად არასასურველ ზეგავლენებზე შემარბილებელი ღონისძიებები არ არის. წარმოდგენილი ღონისძიებები ძირითადად კომპირებულია სხვა გზმ ანგარიშებიდან |
| | 3. აღწერილია თუ არა ზემოქმედების შემარბილებლად შემოთავაზებული ღონისძიებების ნეგატიური ეფექტები? | 0 | არა |
| | 4. თუ შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტი შეუსაბამოა (არასაკმარისია) გარემოზე ზემოქმედების სიდიდესა და მნიშვნელობასთან, გაკეთებულია თუ არა შესაბამისი ახსნა-განმარტება? | 0 | არა |
| | 5. არის თუ არა ნათლად განსაზღვრული, რომ პროექტის განმახორციელებელი იღებს სამართლებრივ ვალდებულებას, განახორციელოს შემარბილებელი ღონისძიებები არასასურველი ზემოქმედების შესამცირებლად, თუ ეს მხოლოდ რეკომენდაციების და წინადადებების დონეზე რჩება? | 0 | არ არის მოცემული გასაგებად, გაუგებარია იღებს თუ არა ვალდებულებას |
| | 6. მოიცავენ თუ არა შემარბილებელი | 3 | მოიცავენ, თუმცა ხშირ შემთხვევაში |

| | | | |
|--|--|---|--|
| | ლონისძიებები პროექტის როგორც მშენებლობის, ისე ოპერირების ფაზას? | | ეს ფორმალურია, გადანერვილია სხვა გზა ანგარიშებიდან |
| | 7. ახსნილია თუ არა პროექტის განმახორციელებლის მოსაზრებები მის მიერ არჩეული შემარბილებელი ზომების თაობაზე? | 1 | პრაქტიკულად არ არის |
| | 8. არის თუ არა მკაფიოდ განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები - მოვალეობების, როლებისა და დაფინანსების განაწილების ჩათვლით? | 0 | არ არის |
| | 9. იმ შემთხვევაში, როდესაც უარყოფითი ზეგავლენის შერბილება შეუძლებელია ან პროექტის განხორციელებელმა გადაწყვიტა არ შემოეთავაზებინა შემარბილებელი ღონისძიებები, არის თუ არა ამის მიზეზები ნათლად ახსნილი? | 0 | არ არის |
| | 10. ნათელია თუ არა, რომ გზა ანგარიშზე მომუშავე ჯგუფმა და პროექტის განმახორციელებელმა განიხილეს ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების შესაძლებლობათა მთელი სპექტრი, რაც მოიცავს ზემოქმედების თავიდან აცილების, პრევენციის, შემცირების და სადაც შესაძლებელია, კომპენსაციის ღონისძიებებს. | 0 | არ არის ნათელი, შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილი ფორმალურად არის მოცემული, გადანერვილია სხვა გზა ანგარიშებიდან |
| | 11. შემოთავაზებული თუ არის ნარჩენი ზემოქმედების მონიტორინგის და მენეჯმენტის ღონისძიებები? | 0 | გადანერვილია სხვა გზა ანგარიშებიდან |
| 6. მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება | | | |
| | 1. არის თუ არა განხილული მონიტორინგის შესაძლებლობები, მოსალოდნელია თუ არა გარემოს / ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე არასასურველი (უარყოფითი) ზემოქმედება? | 1 | მონიტორინგის გეგმა წარმოდგენილია ცხრილის სახით. ძირითადად, გადანერვილია სხვა გზა ანგარიშებიდან |
| | 2. არის თუ არა ღონისძიებები, რომელსაც დეველოპერი გვთავაზობს ზემოქმედებაზე მონიტორინგის განსახორციელებლად, ნათლად განმარტებული და მისი ამოცანები ნათლად ახსნილი? | 1 | |
| | 3. ნათელია თუ არა, რომ დეველოპერი იღებს სამართლებრივ ვალდებულებას განახორციელოს მონიტორინგის ღონისძიებები თუ ეს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა? | 1 | |
| | 4. ახსნილია თუ არა დამატებლად დეველოპერის მიერ არჩეული მონიტორინგის პროგრამა? | 1 | |
| | 5. რამდენად შესაბამება პროგრამა | 0 | გადანერვილია სხვა გზა |

| | | | |
|---|--|---|---|
| | <p>გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მონიტორინგის საჭიროებებს? მოიცავს თუ არა პროგრამა ყველა შესაძლო საფრთხეს, რომელზეც საუბარია გზმ ანგარიშში?</p> <p>პროგრამა მოიცავს თუ არა მონიტორინგს:</p> <ul style="list-style-type: none"> • წყლის რეჟიმზე, ეკოლოგიურ ხარჯზე • თევზებზე (სახეობა) • წყლის უხერხემლოებზე • წყლის ფიზიკურ და ქიმიურ შემადგენლობაზე • ფრინველებზე • ძუძუმწოვრებზე (წავი განსაკუთრებით) • ბერნის ჰაბიტატებზე • თევზსავალის ფუნქციონირებაზე | | ანგარიშებიდან |
| | 6. არის თუ არა მკაფიოდ განსაზღვრული მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები - მოვალეობების, როლებისა და დაფინანსების განაწილების ჩათვლით? | 1 | ყველა ღონისძიებაზე პასუხისმგებელია სს „ონის კასკადი“. დაფინანსება არ არის განხილული. გადაწერილია სხვა გზმ ანგარიშებიდან |
| | 7. იმ შემთხვევაში, როდესაც უარყოფითი ზეგავლენის მონიტორინგი შეუძლებელია ან პროექტის განმხორციელებელმა გადაწყვიტა არ შემოეთავაზებინა არანაირი სამონიტორინგო ღონისძიებები, არის თუ არა ამის მიზეზები ნათლად ახსნილი? | 0 | არა |
| | 8. ნათელია თუ არა, რომ გზმ ანგარიშზე მომუშავე ჯგუფმა და პროექტის განმხორციელებელმა განიხილეს მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობათა მთელი სპექტრი, რაც მოიცავს ყველა სახის სამართლებრივად მოთხოვნილ მონიტორინგს; შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგს (რათა დავრწმუნდეთ, რომ ყველა ზეგავლენის შერბილება ნამდვილად მოხდა, ისე, როგორც დაგეგმილი იყო) | 0 | გადაწერილია სხვა გზმ ანგარიშებიდან |
| | 9. იგეგმება თუ არა ისეთი მონიტორინგის ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი მოვლენების / გარემოებების იდენტიფიცირება? | 0 | გადაწერილია სხვა გზმ ანგარიშებიდან |
| | 10. არის თუ არა შემოთავაზებული ნარჩენი ზემოქმედების მონიტორინგთან და მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები? | 0 | |
| 7. ხარისხი (ანგარიშის ტექსტი, არატექნიკური რეზიუმე და ექსპერტების | | | |

| ხარისხი) | | | |
|------------------------|---|---|--|
| 7.1. ანგარიშის ხარისხი | | | |
| | 1. ჩამოყალიბებული თუ არის გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაცია ერთ ან ორ დოკუმენტში? | 5 | არის |
| | 2. არის თუ არა ეს დოკუმენტები ლოგიკურად ორგანიზებული და მკაფიოდ სტრუქტურირებული, რომ ინფორმაციის პოვნა მკითხველისათვის გაადვილებული იყოს? | 2 | ინფორმაცია გაბნეული სხვადასხვა თავში. ზოგჯერ ერთი თავის შინაარსი წინააღმდეგობაში მოდის მეორესთან (თევსავალი, ჰაბიტატები) |
| | 3. არის თუ არა მოცემული სარჩევი დოკუმენტის დასაწყისში | 5 | არის |
| | 4. არის თუ არა ნათლად განმარტებული პროცესი, რომელსაც მიყვებოდა დეველოპერი გზმ-ს დროს? | 2 | არ არის ნათელი |
| | 5. არის თუ არა პრემენტაცია/ ტექსტი ყოვლისმომცველი, მაგრამ მოკლე, შეუსაბამო მონაცემებისა და ზედმეტი ინფორმაციის გარეშე? | 2 | ბევრი ადგილი გადაწერილია სხვა გზმ ანგარიშებიდან |
| | 6. არის თუ არა ტექსტში ეფექტურად გამოყენებული ცხრილები, სურათები, რუკები, ფოტოები და სხვა გრაფიკული გამოსახულებები? | 4 | არის |
| | 7. არის თუ არა ეფექტურად წარმოდგენილი დანართები ძირითად ტექსტში მოცემული ინფორმაციის ასახსნელად და გასაგებად | 3 | არის |
| | 8. ყველა დასკვნა და რეკომენდაცია გამომდინარეობს თუ არა კვლევის შინაარსიდან, შეესაბამება თუ არა განხორციელებულ გზმ-ს? ყველა დასკვნა გამყარებულია თუ არა მონაცემებით და დამამტკიცებელი საბუთებით? | 1 | არ შეესაბამება |
| | 9. არის თუ არა ყველა წყარო და მონაცემი სწორად ციტირებული? | 0 | ციტირების წესი არ არის დაცული |
| | 10. არის თუ არა გამოყენებული ტერმინოლოგია სწორად? | 4 | უმეტესწილად |
| | 11. იკითხება თუ არა ანგარიში, როგორც ერთიანი დოკუმენტი? უადვილებს თუ არა მკითხველს შინაარსის გაგებას მოცემული მითითებები და სხვადასხვა თავში მოცემული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას? | 3 | |
| | 12. არის თუ არა წარმოდგენილი ანგარიშის ტექსტი მიუკერძოებელი და ობიექტური? | 0 | არ არის განმარტებული, რომ არასაკმარისი მონაცემები არ იძლევა გარემოზე ზემოქმედების სრულყოფილად შეფასების საშუალებას |
| მ) | არა-ტექნიკური რეზიუმე | | |
| | 1. ახლავს თუ არა გზმ ანგარიშს არა-ტექნიკური რეზიუმე | 5 | არის |

| | | | |
|--|---|---|--|
| | 2. წარმოადგენს თუ არა არა-ტექნიკური რეზიუმე პროექტის მოკლე, მაგრამ ამომწურავ აღწერას, მოცემულია თუ არა პროექტის ზეგავლენა გარემოზე/ბიომრავალფეროვნებაზე, შემოთავაზებული ზეგავლენის შემარბილებელ ღონისძიებები და მონიტორინგის მექანიზმები? | 2 | ძირითადი ნაწილი ეთმობა ალტერნატივების აღწერას. გარემოზე/ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის შემარბილებელ ღონისძიებები და მონიტორინგის მექანიზმები არ არის მოცემული სათანადოდ |
| | 3. გამოყოფს თუ არა რეზიუმე რაიმე მნიშვნელოვან შეუსაბამობას პროექტთან და მის გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით? | 0 | არა |
| | 4. მომზადებულია თუ არა რეზიუმე არატექნიკურ ენაზე, ტექნიკური ტერმინების, დეტალური მონაცემებისა და სამეცნიერო მსჯელობის გარეშე? | 2 | ძირითადად, ტექსტი ამოკრეფილია გზმ ანგარიშიდან |
| | 5. იქნება თუ არა არა-ტექნიკური რეზიუმე გასაგები საზოგადოების რიგითი წევრისთვის (სპეციალური განათლების გარეშე)? | 1 | ნაკლებად |
| | 6. არის თუ არა აღნიშნული / ახსნილი იმ ექსპერტების კომპეტენცია, რომლებიც მონაწილეობდნენ გზმ ანგარიშის მომზადებაში | 0 | ექსპერტების ვინაობა არ არის მოცემული |
| | 7. გაითვალისწინა თუ არა დეველოპერმა ეროვნული სამართლებრივი მოთხოვნები გზმ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი ექსპერტების შერჩევას? | - | კანონმდებლობაში ასეთი მოთხოვნები არ არის |

**ჩანართი 3. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნები (იხ. ცხრილის პირველი სვეტი)
მუხლი 10. გზმ-ის ანგარიში**

3. გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

ა) დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, კერძოდ:

ა.ა) საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;

ა.ბ) ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე;

ა.გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმაღლე, მასშტაბი და სანარმოო პროცესი, მათ შორის, შესაძლო სანარმოებელი პროდუქციის ოდენობა, მოთხოვნილი ენერჯია, წარმოებისას გამოსაყენებელი მასალა და ბუნებრივი რესურსები და სხვა) შესახებ;

ა.დ) ინფორმაციას სადემონტაჟო სამუშაოებისა და მეთოდების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);

ა.ე) ინფორმაციას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი შედეგების და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის და წიაღისეულის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება, რადიაცია) შესახებ;

ა.ვ) ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დამატებით ინფორმაციას;

ბ) ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;

გ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;

დ) ინფორმაციას ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია:

დ.ა) დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სადემონტაჟო სამუშაოებით;

დ.ბ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებით, ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;

დ.გ) გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით, ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;

დ.დ) გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკებით (მაგალითად, ავარიის ან კატასტროფის შემთხვევაში);

დ.ე) სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებით;

დ.ვ) საქმიანობის კლიმატზე ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მონყვალადობით;

დ.ზ) გამოყენებული ტექნოლოგიით, მასალით ან/და ნივთიერებით;

ე) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;

ვ) სამოქმედო გეგმას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შემცირების, შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს;

ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე

შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;

თ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;

ი) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;

კ) სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;

ლ) ინფორმაციას კვლევების მეთოდოლოგიის და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროების თაობაზე;

მ) ამ ნაწილის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკურ რეზიუმეს, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

4. გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი საბადოს დამუშავების გეგმა (მათ შორის, რეკულტივაციის პროექტი), საჭიროების შემთხვევაში;

ბ) ინფორმაცია იმ კონსულტანტის დასახელებისა და იურიდიული მისამართის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა გზმ-ის ანგარიშის მომზადებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გენერალური გეგმა, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), რომელშიც აღნიშნულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი, დროებითი ნაგებობები და კომუნალური სისტემები;

დ) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მენარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკური პირისთვის – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი;

ე) ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევრის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატივების შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით, აგრეთვე ინფორმაცია აღნიშნული გამონამუშევრის განთავსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა: თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობას, ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია გზმ-ის ანგარიშს დაერთოს სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.

5. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დოკუმენტები სამინისტროს წარუდგინოს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით.

6. გზმ-ის ანგარიშში ასახული ინფორმაცია საჯაროა. თუ გზმ-ის ანგარიში შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან/და პერსონალურ მონაცემს, საქმიანობის განმახორციელებელმა შესაბამის განცხადებაში უნდა მიუთითოს აღნიშნული ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ. სამინისტრო ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით უზრუნველყოს ამ ინფორმაციის დასაიდუმლოება.

7. გზმ-ის ანგარიშის მომზადებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების შესახებ“.

მუხლი 11. განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

2. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) ამ კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებული გზმ-ის ანგარიში;

ბ) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების გაანგარიშების შესახებ პროექტები;

მუხლი 14. საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება

1. მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ:

ა) საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას;

ბ) გზმ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად (მუხლი 14), მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, საქმე გვაქვს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ პუნქტთან მაინც:

- საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება სასამართლოს/ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას;
- საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას;
- გზმ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცულობის მიუღებლობა;
- გზმ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა;
- გზმ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა.

გარდა ამისა, უარყოფითი დასკვნა გაიცემა იმ შემთხვევაშიც, თუ მარჯვენა სვეტში მოცემული შეფასებების ქულაში თუნდაც ერთ კრიტერიუმს მიენიჭება 0 ქულა.

დანართი: სკოპინგის ანგარიშის შეფასება სპეციალური კითხვარის საშუალებით

1) საკონტროლო კითხვები სკოპინგის ანგარიშის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესაფასებლად

| <p>საკონტროლო კითხვები (საკითხები) სკოპინგის ანგარიშის შესაფასებლად</p> <p>(მომზადებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნების მიხედვით)</p> | <p>შეფასება (0-დან 5-მდე)</p> <p>0 -ძალიან ცუდი 5 - ძალიან კარგი</p> |
|--|--|
| <p>1. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ</p> | <p>3 ქულა (საერთო შეფასება, განმარტება იხ. ქვემოთ)</p> |
| <p>1.1. არის თუ არა მოცემული ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ (საპროექტო ტერიტორიის Shp-ფაილის ელექტრონული ვერსია UTM კოორდინატა სისტემაში)?</p> | <p>3 ქულა- სკოპინგის ანგარიშს ერთგის Shape ფაილები, რომლებიც ნაწილობრივ ასახავენ ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ (იხ. ქვემოთ ამავე გრაფაში).</p> |
| <p>1.2. არის თუ არა მოცემული ინფორმაცია პროექტის ყველა ინფრასტრუქტურის შესახებ</p> | <p>1 ქულა - ანგარიში მოიცავს ძირითად ინფორმაციას ჰესის შესახებ, თუმცა არ არის ნაჩვენები, სად განთავსდება ჰესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, მათ შორის ელექტროგადამცემი ხაზი, ქვესადგური და სამშენებლო ბანაკი.</p> |
| <p>1.3. არის თუ არა მოცემული ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ (Shp-ფაილის ელექტრონული ვერსია UTM კოორდინატა სისტემაში) გეგმით ჩამოთვლილი ობიექტების მიხედვით, ყველა ალტერნატივისთვის?</p> | <p>1 ქულა- მოცემულია მხოლოდ ჰესის ძალური კვანძის განთავსების ალტერნატიულ ვარიანტს. არ არის წარმოდგენილი, მაგალითად, მიმყვანი გვირაბის განთავსების ალტერნატიული ვარიანტები. ჰესის ობიექტების კოორდინატები ატვირთულია shape ფაილებში.</p> |
| <p>2. არის თუ არა მოცემული ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი, საწარმოო პროცესი, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა და სხვა) შესახებ?</p> | <p>3 ქულა- ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ჰესის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ. არ არის მოცემული არ ვხვდებით ინფორმაციას თვეების მიხედვით სავარაუდო გამომუშავების შესახებ, აგრეთვე ელექტროგადამცემი ხაზის პარამეტრებისა და მარშრუტის, მრავალწლიანი საშუალო ჩამონადენის გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ.</p> |
| <p>3. არის თუ არა მოცემული ინფორმაცია საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ (ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტის ალტერნატივები, სამშენებლო ბანაკის ალტერნატივები და სხვ). ?</p> | <p>1 ქულა - განხილულია მხოლოდ ჰესის ძალური კვანძის განთავსების ალტერნატივები. არ არის მოცემული ტექნოლოგიური და ა.შ. ალტერნატივები. არ არის მოცემული ჰესთან დაკავშირებული სხვა ინფრასტრუქტურის ალტერნატივები.</p> |
| <p>4. არის თუ არა მოცემული ინფორმაცია</p> | <p>1 ქულა - (საერთო შეფასება, განმარტება იხ. ქვემოთ)</p> |

| | |
|--|--|
| <p>გარემოზე შესაძლო ზემოქმედების და მისი სახეების შესახებ, რომლებიც შესწავლილი იქნება გზ-ის პროცესში</p> | <p>ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხზე ინფორმაცია საერთოდ არ არის მოცემული.</p> |
| <p>4.1. არის თუ არა მოცემული ინფორმაცია ბიოტურ ფაქტორებზე / ანუ ბიომრავალფეროვნებაზე:</p> | <p>1 ქულა - ინფორმაცია ბიოტურ ფაქტორებზე / ბიომრავალფეროვნებაზე ძალზე ნაკლოვანად არის მოცემული, ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია საერთოდ არ არის მოცემული</p> |
| <p>4.1.1. ეკოსისტემებზე;</p> | <p>0 ქულა - ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას ეკოსისტემების შესახებ</p> |
| <p>4.1.2. მნიშვნელოვან ეკოსისტემურ სერვისებზე, რომლებზეც გავლენას ახდენს პროექტი;</p> | <p>0 ქულა - ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას ეკოსისტემური სერვისების შესახებ</p> |
| <p>4.1.3. ჰაბიტატებზე (EUNIS) კლასიფიკაციის მიხედვით;</p> | <p>0 ქულა - საქმიანობის განმახორციელებელი (და მისი საკონსულტაციო კომპანია) გზ ეტაპზე ჰაბიტატების შესწავლას აპირებენ არა EUNIS კლასიფიკაციის, არამედ CORINI -ს მეშვეობით. CORINI -ს სისტემა EUNIS-ით შეიცვალა 2014 წელს, შესაბამისად, ასეთი შესწავლა ამრს მოკლებული იქნება. გზ ანგარიშში მათ კვლევა უნდა ჩაატარონ ევროკავშირის თანამედროვე მეთოდოლოგიით (ანუ EUNIS კლასიფიკაციის მიხედვით) და არა იმ მეთოდოლოგიით, რომელიც 10 წლის წინ შეიცვალა.</p> |
| <p>4.1.4. დაცულ სახეობებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობებზე; • ბერნის კონვენციით დაცულ სახეობებზე; • რამსარის კონვენციით დაცულ სახეობებზე; • ბონის კონვენციით დაცულ სახეობებზე; • AEWA¹ სახეობებზე; • Bat Agreement² სახეობებზე; | <p>1 ქულა - უნდა აღინიშნოს, რომ სახეობების შესახებ ინფორმაცია 2015 წელს შესრულებული, სრულიად უხარისხო გზ ანგარიშიდან არის გადმოწერილი. შესაბამისად, რელევანტურად ვერ განვიხილავთ. ანგარიში არ მოიცავს მოსალოდნელი ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვადასხვა კონვენციით დაცული სახეობების ჩამონათვალს. ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას იმ სახეობების შესახებ, რომლებიც ყველაზე მეტ ზემოქმედებას განიცდიან ჰესის პროექტის განხორციელების შედეგად და ამავდროულად, წარმოდგენენ საფრთხის წინაშე მყოფ, ეროვნული და საერთაშორისო მყოფ სახეობებს, მაგალითად, წავის და ზუთხების შესახებ. სკრინინგის გადანაცვების მიხედვით, „პროექტში დაგეგმილი ცვლილებები, საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და კუმულაციური ზემოქმედების თავში მდ. რიონზე არსებული ჰესების ზუთხისებრთა სახეობებზე ზემოქმედების საკითხის განხილვას. ასევე დეტალურ შეფასებას საჭიროებს პროექტში შეტანილი ცვლილებებით გამოწვეული მოსალოდნელი ზემოქმედება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის იქთიოფაუნაზე (როგორცაა მაგალითად: სიღრმული წყალსაგდების საშუალებით მყარი მასალის ქვედა ბიეფში გადატანის დროს წყლის ამღვრევა და წყალში შეწონილი ნაწილაკების მატება, მდინარის ფსკერზე მექანიკური ზემოქმედებით შესაძლო ზიანი ბიომრავალფეროვნებაზე და ა.შ) და ამ ზემოქმედებით მოსალოდნელი ზიანი წყლის ბიომრავალფეროვნებაზე“</p> |
| <p>4.1.5. საკვანძო, ეკოსისტემისთვის მნიშვნელოვან სახეობებზე, რომლებიც არ არიან დაცული სახეობები</p> | <p>0 ქულა - ანგარიშში საერთოდ არ არის ნახსენები თევზები - ცხოველთა ჯგუფი, რომელიც ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას განიცდის საქმიანობის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ სკოპინგის გადანაცვების მიხედვით მითითებულია თევზებზე პროექტის ზემოქმედების შესწავლის საჭიროების</p> |

¹ Agreement on the Conservation of African-Eurasian Migratory Waterbirds

² The Agreement on the Conservation of Populations of European Bats

| | შესახებ |
|---|---|
| <p>4.2. აბიოტურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ზემოთ ჩამოთვლილ ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> - რელიეფი; - გეოლოგია; - ჰიდროლოგია; - ბუნებრივი კატასტროფების რისკები. | <p>2 ქულა - ანგარიშში ნათქვამია, რომ 2015 წელს დამტკიცებულ გზა-ში არასათანადოდ იყო შესწავლილი გეოლოგია და ბუნებრივი კატასტროფების რისკები, რამაც გამოიწვია ახალი გზა-ს (ცვლილების) შემუშავების აუცილებლობა. ანგარიშში საერთოდ არააფერია ნათქვამი ჰიდროლოგიაზე</p> |
| <p>4.3. ანთროპოგენურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ზემოთ ჩამოთვლილ ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> - პროექტის განხორციელების არეალში არსებული საქმიანობები, რომლებმაც შესაძლოა კუმულაციური ეფექტი იქონიონ ბიომრავალფეროვნებაზე/გარემოზე: არსებული და დაგეგმილი ენერგოპროექტები, მილსადენები, გზები, ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიები, დამაბინძურებელი საწარმოები | <p>1 ქულა - კუმულაციური ზემოქმედება ძალზე სიმბოლურად არის განხილული. არ არის განხილული კუმულაციური ზემოქმედება არათუ სხვა პროექტებთან მიმართებაში, არამედ არააფერია ნათქვამი ნამოხვანის ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ცვლილების პროექტისა და თავად საბაზო პროექტის კუმულაციურ ზეგავლენაზე. საერთოდ არ არის განხილული საბაზო პროექტში შესატანი მეორე ცვლილების ზეგავლენა (ზემო ნამოხვანის ჰესი), მიუხედავად იმისა, რომ სკოპინგის განცხადებაში ორივე ჰესის შესახებ იყო საუბარი.</p> |
| <p>5. არის თუ არა ინფორმაცია დაცული ტერიტორიებზე (დაცული ტერიტორიების სისტემაზე) ზემოქმედების შესახებ</p> | <p>0 ქულა (ეს არის კრიტიკული შეუსაბამობა კანონმდებლობასთან - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის ბ.ა) ქვეპუნქტი. ეს შეუსაბამობა იძლევა შესაძლებლობას, რომ სკოპინგის უარყოფითი დასკვნა გაიცეს.</p> |
| <p>5.1. არის თუ არა აღწერილი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებთან დაკავშირებული რისკები?</p> | <p>0 - არ არის წარმოდგენილი. სკოპინგის ანგარიშის 4.1.5. ქვეთავის მიხედვით, საქმიანობაზე ზეგავლენას არ მოახდენს დაცულ ტერიტორიებზე, რადგან მნიშვნელოვანი მანძილითაა დაშორებული. შესაბამისად, მათი თქმით, გზა ეტაპზე დაცულ ტერიტორიაზე ზემოქმედება არ განიხილება. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. ნამოხვანჰესის კასკადი პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს იმერეთის კარსტული მღვიმეების დაცული ტერიტორიების კომპლექსისთვის, მით უმეტეს, რომ განსახილველი ანგარიშის მიხედვით, იგეგმება ბურღვითი და აფეთქებითი სამუშაოები. ეს დაცული ტერიტორიები საერთოდ არ არის ნახსენები სკოპინგის ანგარიშში.</p> |
| <p>5.2. არის თუ არა განხილული ზემოქმედება დაგეგმილ დაცულ ტერიტორიებზე (და შესაბამისად, დაცული ტერიტორიების ერთიან ქსელზე)</p> | <p>0 ქულა მდინარე რიონი ბერნის კონვენციით დაცული ატლანტური ზუთხის ერთადერთ საბინადრო გარემოს წარმოადგენს. ამ სახეობის დასაცავად აუცილებელია (ბერნის კონვენციის ბიოგეოგრაფიული სემინარის შედეგები, 2017 წ.) ახალი „ზურმუხტის საიტის“ დაარსება, რაზეც სამინისტრომ მიუთითა სკრინინგის გადანწყვეტილებაში. ამჟამად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა რიონზე აღკვეთილის შექმნასთან დაკავშირებით. შესაბამისად სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილ დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების შესახებ.</p> |
| <p>5.3. არის თუ არა განხილული ზემოქმედება</p> | <p>0 ქულა - ზურმუხტის უბნებთან დაკავშირებული რისკები არ არის წარმოდგენილი. გარდა დაცული ტერიტორიებისა, უნდა</p> |

| | |
|--|--|
| <p>არსებულ ზურმუხტის საიტებზე</p> | <p>შეფასებულიყო შემოქმედება ზურმუხტის ქსელის საიტებზე, მით უმეტეს, რომ ზურმუხტის საიტების ნაწილი იმავდროულად დაცული ტერიტორიებიცაა (აჭამეთის ალკვეთილი, კოლხეთის ეროვნული პარკი). ამის შესახებ სამინისტრომ მიუთითა კიდევ სკრინინგის გადაწყვეტილებაში.</p> <p>უნდა შეფასდეს არა მხოლოდ იმ ობიექტების შემოქმედება, რომლებიც უშუალოდ ზურმუხტის ტერიტორიის ფარგლებში არის განთავსებული, არამედ ისეთი პროექტებისაც, რომლებიც ტერიტორიის საზღვრებს გარეთაა (რიონის აუზშია) და ჰიდროელექტროსადგურის განთავსებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მათზე. ქვედა ბიეფში მდებარე ზურმუხტის ტერიტორიაზე შეიძლება გავლენა იქონიოს წყლის ჩამონადენის და სედიმენტების ტრანსპორტირების ცვლილებამ, დაბინძურების ან თევზის სახეობების სამიგრაციო გზების დარღვევამ და ა.შ. დაგეგმილი ჰესის ქვედა ბიეფში მდებარეობს „ზურმუხტის ქსელის“ საიტები აჭამეთის ალკვეთილი და კოლხეთის ეროვნული პარკი</p> |
| <p>5.4. არის თუ არა განხილული შემოქმედება დაგეგმილ ზურმუხტის საიტებზე</p> | <p>0 ქულა - არ არის განხილული (იხ. ზევით)</p> |
| <p>6. არის, თუ არა აღწერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას ტრანსსასაზღვრო შემოქმედება (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> - მოსახლეობაზე; - ადამიანის ჯანმრთელობაზე; - ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები); - წყალზე (მათ შორის, ჰიდრო-მორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი); - ჰაერზე; - ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა); - მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია); - კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია); - ლანდშაფტზე; - კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები); - მატერიალურ ფასეულობებზე. | <p>არ არის რელევანტური. თუმცა სკოპინგის ანგარიშში ერთ ადვილზე ნათქვამია, რომ გზმ-ში მოხდება ტრანსსასაზღვრო შემოქმედების შესწავლა</p> |
| <p>7. არის თუ არა აღწერილი ზეგავლენა:</p> <ul style="list-style-type: none"> - ადამიანის ჯანმრთელობაზე; - სოციალურ გარემოზე; - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე; - არამატერიალური კულტურის ნიმუშებზე; - ეკოსისტემურ სერვისებზე - რეკრეაცია, ეკოტურიზმი, ადგილის სულიერი და კულტურული ფასეულობები, მნიშვნელობა მცენიერებისა და ხელოვნებისათვის. | <p>3 ქულა - ანგარიშში აღწერილია ის ზეგავლენა რაც პროექტს ექნება ადამიანების ჯანმრთელობაზე, თუმცა არ არის სრულყოფილად განხილული. მაგალითად, ნახსენები არ არის ტენიანობის მომატება როგორ იმოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობაზე. ანგარიშში არ ვხვდებით ეკოსისტემურ სერვისებზე შემოქმედების შეფასებას. არ არის განხილული შემოქმედება ტრადიციული არქიტექტურის ნიმუშებზე (თავის დროზე, ეს იყო შესწავლილი „გოგრაფიკის“ მიერ მომზადებულ გზმ ანგარიშში), მით უმეტეს, რომ პროექტში შეტანილი ცვლილება იწვევს იძულებით</p> |

| | |
|---|---|
| | განსახლებას. |
| 7. ინფორმაცია ჩასატარებელი საბაზისო კვლევებისა და გზმ-ს ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ. | 1 ქულა - |
| 7.1. არის, თუ არა აღწერილი გარემოს თითოეული კომპონენტის შესწავლის მეთოდები? | 1 ქულა - ზოგადად წარმოდგენილია ინფორმაცია გზმ ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ, თუმცა არ არის დასახელებული გარემოს თითოეული კომპონენტის შესწავლის მეთოდები. საერთოდ არაფერია ნათქვამი ჰიდროლოგიაზე და თევზებზე. |
| 7.2. არის, თუ არა აღწერილი გარემოს თითოეული კომპონენტის შესწავლის პერიოდი (წლის რომელ სეზონში, რომელ თვეებში მოხდება შესწავლა, რამდენი ხანი გაგრძელდება შესწავლა)? | 1 ქულა - ძალზე ზედაპირულად არის წარმოდგენილი ეს ინფორმაცია. |
| 7.3. რამდენად რელევანტურია გარემოს თითოეული კომპონენტის შესწავლის მეთოდოლოგია, სეზონი და ხანგრძლივობა? | 1 ქულა. ძირითადად, არ არის რელევანტური. ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატების შესწავლის შემოთავაზებული მეთოდოლოგია სრულიად გამოუსადეგარია (იგულისხმება Akhalkatsi, Tarkhnishvili, 2012, სადაც ჰაბიტატების კლასიფიკაცია CORINI-ს მიხედვით არის მოცემული). შესწავლისათვის გამოყოფილი ადამიანური რესურსები და დრო სრულებით არასაკმარისია. |
| 8. ინფორმაცია სამშენებლო მასალებისთვის გამოყენებული საბადოების შესახებ | 0 ქულა. |
| 8.1. არის, თუ არა მოცემული ინფორმაცია, სამშენებლო მასალების მოსაპოვებლად გამოსაყენებელი საბადოების შესახებ? | 0 - ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. |
| 8.2. ხდება, თუ არა სამშენებლო მასალების მოპოვება ლიცენზირებული კარიერებიდან? | 0 - ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. |
| 8.3. არის, თუ არა დაკონკრეტებული ლიცენზიანტები? | 0 - ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. |
| 8.4. სამშენებლო მასალების მოპოვებისას, ხდება, თუ არა ზემოქმედება კრიტიკულ ბუნებრივ ჰაბიტატებზე (არსებული და გეგმარებითი დაცული ტერიტორიები და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით დიდი მნიშვნელობის მქონე ტერიტორიები)? | 0 - ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. |
| 8.5. იწვევს, თუ არა პროექტი კრიტიკული ბუნებრივი ჰაბიტატების რაიმე სახის მნიშვნელოვან დეგრადაციას ან განადგურებას? | 0 - ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. |
| 9. მოცემულია, თუ არა ინფორმაცია გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირებისა ან/და შერბილების ღონისძიებებზე? რამდენად | 1 - დოკუმენტში წარმოდგენილია მხოლოდ შერბილების ღონისძიებები, თუმცა ჩამონათვალში ვერ ვხვდებით ინფორმაციას დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით, აგრო-ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებასთან |

| | |
|---|---|
| <p>თანმიმდევრულია გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების ან/და კომპენსირების ღონისძიებები (დაცულია გარემოზე ზემოქმედების შემცირების პირამიდის (mitigation hierarchy) პრინციპი)?</p> | <p>დაკავშირებით (მით უმეტეს, პროექტში დაგეგმილი ცვლილება ზრდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ზეწოლას). გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები არ არის თანმიმდევრული, არ ეყრდნობა გარემოზე ზემოქმედების შემცირების პირამიდის პრინციპებს.</p> |
|---|---|

აღნიშნული კითხვართ შეფასების შედეგად გამოჩნდა, წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში არ მოიცავს ყველა პუნქტს, რომელიც სავალდებულოა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით (კერძოდ, დაცულ ტერიტორიებთან და საბადოებთან დაკავშირებული საკითხები). შესაბამისად, სამინისტროს აქვს მყარი საფუძველი იმისათვის, რომ გასცეს სკოპინგის უარყოფითი დასკვნა. კომპანია უფლებამოსილია გადაამუშაოს და თავიდან წარმოადგინოს სკოპინგის დასკვნა. ამასთანავე, წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში არ ითვალისწინებს სამინისტროს სკრინინგის გადაწყვეტილებით დადგენილ მოთხოვნებს და არც დასაბუთებულია ამგვარი გაუთვალისწინებლობის მიზეზი. სკოპინგის ანგარიშისთვის მნიშვნელოვანი საკითხები დაბალ დონეზეა შესრულებული.

1) სკოპინგის საკონტროლო ნუსხა³

განმარტებები

- დიახ - თუ მოსალოდნელია, რომ ამ აქტივობას (ქმედებას) ექნება ადგილი
- არა - თუ მოსალოდნელია, რომ ამ აქტივობას (ქმედებას) არ ექნება ადგილი
- ? - თუ გაურკვეველია (არ ვიცით) ექნება თუ არა ამ აქტივობას ადგილი

კითხვარი სკოპინგის ანგარიშის ხარისხის შესაფასებლად

| # | კითხვები რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს სკოპინგის ეტაპზე | დიახ / არა / ? | პროექტის რომელმა მახასიათებელმა შეიძლება დააზარალოს გარემო და როგორ? | არის თუ არა ეს ეფექტი მნიშვნელოვანი? რატომ? |
|---|---|----------------|--|---|
| <p>1. მოიცავს თუ არა პროექტის მშენებლობის, ექსპლუატაციის ან ექსპლუატაციიდან გამოსვლის ეტაპები აქტივობებს, რომლებიც გამოიწვევს მდებარეობის ფიზიკურ ცვლილებებს (ტოპოგრაფია, მიწის გამოყენება, წყლის ეკოსისტემების ცვლილებები და სხვ.)?</p> | | | | |
| 1.1 | მიწის გამოყენების, ლანდშაფტის, მცენარეებით დაფარულობის ან ტოპოგრაფიის მუდმივი ან დროებითი ცვლილება, მათ შორის, მიწის გამოყენების ინტენსივობის ზრდა? ვიზუალური ეფექტები? | დიახ | წყალმიმღები ზემოქმედებას მოახდენს გარემოზე, რადგან მისი განთავსება დაგეგმილია ხშირი ტყით დაფარულ ტერიტორიაზე. წყალმიმყვანი გვირაბის დერეფნის მშენებლობაც დაგეგმილია ტყით | ზემოქმედება მნიშვნელოვანია, რადგან მოხდება მცენარეული საფარის გაჩეხვა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მეწყრული და ეროზიული პროცესების გააქტიურება. წყალსაცავის პარამეტრების |

³ გამოყენებულია: Environmental Impact Assessment of Projects Guidance on Scoping (Directive 2011/92/EU as amended by 2014/52/EU). Implemented for the European Commission by COWI A/S and Milieu Ltd. The main authors: Paola Banfi, Adrien Lantieri, Jennifer McGuinn, and Alicia McNeill from Milieu Ltd. No ENV.F.1/FRA/2014/0063, implemented for the European Commission by COWI A/S and Milieu Ltd. © European Union, 2017 (<http://ec.europa.eu>).

| | | | | |
|-----|---|-------------|--|---|
| | | | <p>დაფარულ ტერიტორიაზე. კაშხლის სიმაღლის გაზრდა და შეტბორვის დონის 1.5 მ-ით მატება. ამით, დაახლოებით 10 ჰა-ით გაიზრდება წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი და 13.1 მლნ მ3 -ით სრული მოცულობა.</p> <p>ჰესის შენობის ქვედა ბიეფში დაგეგმილია დაახლოებით 1,5 კმ სიგრძის გამყვანი არხის მოწყობა. არხის კალაპოტის სიგანე იქნება 40 მ.</p> | <p>ცვლილება გამოიწვევს ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.</p> |
| 1.2 | <p>მიწის ნაკვეთის მცენარეულობისა და ნაგებობებისგან განმეზღვა?</p> | <p>დიახ</p> | <p>პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 500 ჰექტარი ტერიტორიის დატბორვა, არხის გაყვანა და სხვ.</p> | |
| 1.3 | <p>ახალი ადგილების ათვისება (ანუ აუთვისებელი მიწების ათვისება)?</p> | <p>დიახ</p> | <p>პროექტის განსახორციელებლად საჭიროა ხელშეუხებელი, მცენარეული საფარით დაფარული, ტერიტორიების ათვისება.</p> | <p>ტყით დაფარული ტერიტორიების ათვისება გამოიწვევს მცენარეული საფარის გაჩეხვას, გარემოს მთლიანობის დარღვევას. შესაძლოა საფრთხე შეექმნას ცხოველების გადაადგილებას და განადგურდეს მათი საბინადრო გარემო.</p> |
| 1.4 | <p>წინა-სამშენებლო კვლევა, მაგ., ჭაბურღილები, ნიადაგის ტესტირება?</p> | <p>დიახ</p> | <p>სკოპინგის ეტაპზე ჩატარდა წინა-სამშენებლო კვლევა, რაც მოიცავდა ჰესის შენობის განთავსების ტერიტორიაზე ჭაბურღილების გაყვანას. აგრეთვე, ჩატარდა ნიადაგის სავლე სადამკვირვებლო კვლევები.</p> | |
| 1.5 | <p>სამშენებლო სამუშაოები</p> | <p>დიახ</p> | <p>პროექტით გათვალისწინებულია, წყალსაცავის, მიმყვანი გვირაბის, მისასვლელი გზების, სამშენებლო ბანაკების მშენებლობა.</p> | <p>სამშენებლო სამუშაოები გამოიწვევს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე. რაც გამოიხატება ეკოსისტემების, ჰაბიტატების დეგრადაცია-ფრაგმენტაციაში. ასევე სამშენებლო სამუშაოების დროს ტრანსპორტის გადაადგილებას, მშენებლობის პროცესს თან</p> |

| | | | | |
|-----|--|------|--|--|
| | | | | ახლავს ხმაური, მტვერი, გამონაბოლქვი, რაც უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს მოსახლეობაზე. |
| 1.6 | ნგრევითი სამუშაოები | დიახ | პროექტის განხორციელება ითვალისწინებს აფეთქებით სამუშაოებს. | ნგრევითმა სამუშაოებმა შესაძლოა გამოიწვიოს ქანების დესტაბილიზაცია და გეოლოგიური პროცესების გააქტიურება; ნიადაგის სტაბილურობის დარღვევა და ნაყოფიერი ფენის განადგურება. |
| 1.7 | სამშენებლო სამუშაოებისთვის ან მუშების განსანთავსებლად დროებით გამოყენებული ადგილები ('საიტები')? | დიახ | პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილია სამშენებლო ბანაკების მოწყობა. | სამშენებლო სამუშაოებისთვის განკუთვნილი ადგილების მოწყობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ბიოლოგიურ გარემოზე, გამოიწვიოს მცენარეული საფარის განადგურება, ნიადაგის დაბინძურება, ცხოველების შეშფოთება. სამშენებლო მოედნების მომზადების პროცესში მიწის სამუშაოებმა შესაძლოა გამოიწვიოს მენყრული პროცესების გააქტიურება. |
| 1.8 | მიწისზედა შენობა-ნაგებობები ან მიწის სამუშაოები, მათ შორის, ხაზობრივი ნაგებობები, რაიმეს მოჭრა, ამოვსება ან გათხრითი სამუშაოები? | | პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მიმყვანი გვირაბის, მისასვლელი გზებისა და გალერეების, არხის, ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა. | სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია მისასვლელი გზებისა და გადამცემი ხაზის მარშრუტის შესახებ, შესაბამისად, განხილული არ არის რა მასშტაბის ზიანი შეიძლება მიადგეს გარემოს. ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობა კი უკავშირდება მცენარეული საფარის გაჩეხვას, ჰაბიტატების განადგურება-ფრაგმენტაციას. |
| 1.9 | მიწისქვეშა სამუშაოები, მათ შორის სამთო-მოპოვებითი სამუშაოები ან გვირაბის გაყვანა? | დიახ | პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მიმყვანი გვირაბის მშენებლობა. | მიმყვანი გვირაბის სიგრძე 4400 მეტრია. მშენებლობის დროს, მის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე მოხდება უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, რაც გამოიხატება ბიომრავალფეროვნების განადგურებასა და შეშფოთებაში, ნიადაგის საფარის განადგურებაში. |

| | | | | |
|------|--|------|---|---|
| 1.10 | სამელიორაციო სამუშაოები | არა | | |
| 1.11 | ფსკერიდან მიწის ამოღება (dredging) | ? | | ქვემო ნამოხვანის ჰესის მშენებლობისას არ იქნება საჭირო, მაგრამ ფსკერის დაღრმავება მოხდება ზემო ნამოხვანის ჰესის მშენებლობისას, რაც არ არის განხილული წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში |
| 1.12 | სანაპირო ნაგებობები, მაგ., კაშხალი, ბურჯები? | დიახ | პროექტი ითვალისწინებს 105 მეტრის სიმაღლის ბეტონის თაღოვან გრავიტაციული კაშხლის მოწყობას. | კაშხლის მოსაწყობად სატრანსპორტო ნაკადების გადაადგილებამ, ხმაურმა შესაძლოა გამოიწვიოს ცხოველების შეშფოთება. აგრეთვე, კაშხლის მშენებლობის შემდგომ შესაძლოა მოხდეს ლანდშაფტის დარღვევა და ვიზუალური დაბინძურება. |
| 1.13 | ნაპირიდან დაშორებული ('ოფშორული') ნაგებობები? | არა | | |
| 1.14 | საწარმოო პროცესები? | ? | ბეტონის წარმოება ადგილზე | მნიშვნელოვანი, პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე |
| 1.15 | მასალებისა და პროდუქციის შესანახი ობიექტები? | დიახ | სამშენებლო მოედნებზე შესაძლოა მოხდეს მასალებისა და პროდუქციის შესანახი ობიექტების მშენებლობა. | არ არის შეფასებული |
| 1.16 | მყარი ან თხევადი ნარჩენების გაუვნებლების ან განთავსების ობიექტები? | დიახ | საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია სტაციონალური ობიექტების, მაგალითად საწვავის სამარაგო რეზერვუარების განთავსება. | მასალებისა შესანახ ობიექტებთან დაკავშირებით არსებობს ნიადაგის დაბინძურების რისკი. |
| 1.17 | ხანგრძლივი ვადის განმავლობაში მუშების საცხოვრებელი ადგილები? | ? | სამშენებლო ბანაკები | არ არის ნათლად განსაზღვრული სამშენებლო ბანაკების განთავსების პერიოდი |
| 1.18 | საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის გამოყენება და გადაადგილება მშენებლობისას ან ექსპლუატაციისას? | დიახ | ჰესის მშენებლობისათვის საჭიროა საავტომობილო ტრანსპორტის გადაადგილება. | ტრანსპორტის გადაადგილების შედეგად წამოიქმნება მტვერი და ხმაური, მანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის გამონაბოლქვი. რაც უარყოფითად იმოქმედებს მოსახლეობასა და მათ |

| | | | | |
|------|--|------|---|---|
| | | | | ჯანმრთელობაზე. |
| 1.19 | საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო, წყლის ან სხვა ტრანსპორტის ახალი ინფრასტრუქტურა, მათ შორის, ახალი ან შეცვლილი მარშრუტები და სადგურები, პორტები, აეროპორტები და ა.შ.? | არა | | |
| 1.20 | არსებული სატრანსპორტო მარშრუტების ან ინფრასტრუქტურის დახურვა ან შეცვლა, რომელიც იწვევს საგზაო მოძრაობის ცვლილებებს? | დიახ | მშენებლობის პროცესში შეფერხდება მიმოსვლა | მნიშვნელოვანი, რადგანაც ერთადერთ მისასვლელ საავტომობილო გზაზე მოხდება შეფერხება, რაც გეგავლენას იქონიებს ტურიზმზე და სხვა ბიზნესებზე |
| 1.21 | ახალი გადამცემი ხაზები ან მილსადენები? ან არსებულების მიმართულების ცვლილება? | დიახ | საჭირო გახდება ახალი გადამცემი ხაზების და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, თუმცა სკოპინგის ანგარიშში ამაზე არაფერია ნათქვამი | მნიშვნელოვანი. იმის გამო, რომ ზემოქმედება ანგარიშში არ განიხილება, შესაბამისად არ განიხილება ამ საქმიანობის შერბილებელი ღონისძიებები. |
| 1.22 | კალაპოტის ან წყალშემცველი ჰორიზონტის ჰიდროლოგიის ცვლილებები - წყალსაცავი, კაშხალი, წყალგამტარი მილები და სხვა? | დიახ | მოხდება ჰესის შენობის გადატანა, საბაზო პროექტით გათვალისწინებული ადგილიდან დაახლოებით 1.5 კმ-ის დაშორებით. წყალმიმღების ადგილისა და სადერეფაციო გვირაბის განთავსების ადგილის შეცვლა; წყალსაცავის მაქსიმალური შეტბორვის ღონის 1.5 მ-ით მომატება. 1.5 კმ სიგრძის, 40 მ სიგანის არხის მშენებლობა | დაგეგმილი ცვლილებები გამოიწვევს მდინარის კალაპოტისა და ჰიდროლოგიის ცვლილებას, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ატლანტური ზუთხის პოპულაციაზე, რომლისთვისაც მდინარე რიონი ერთადერთ საბინადრო გარემოს წარმოადგენს. |
| 1.23 | მდინარის/ნაკადების გადაკვეთა? | ? | | |
| 1.24 | მიწისქვეშა ან ზედაპირული წყლების ამოღება ან გადაგდება? | დიახ | სადერივაციო გვირაბში მოხდება ზედაპირული წყლების გადაგდება. მდინარეში გათვალისწინებულია ე.წ ეკოლოგიური ხარჯის დატოვება. | სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გზმ-ეტაპზე არ მოხდება წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რადგან მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის გაუარესება არ მოხდება. უნდა აღინიშნოს რომ მდინარის სადერივაციო გვირაბში გადაგდება, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას წყლის |

| | | | | |
|---|--|------|--|--|
| | | | | ბიომრავალფეროვნებას, განსაკუთრებით ზუთხს, რამაც სრულიად დაარღვიოს ეკოსისტემა. |
| 1.25 | წყალსატევების ან მიწის ზედაპირის ცვლილება, რაც ზეგავლენას ახდენს დრენაჟსა და წყლის შეკრებაზე? | დიახ | წყალსაცავი, მდინარის რეჟიმის ცვლილება | მნიშვნელოვანი, მშენებლობის მასშტაბიდან გამომდინარე |
| 1.26 | პერსონალის ან მასალების ტრანსპორტირება მშენებლობისას, ექსპლუატაციისას ან ექსპლუატაციიდან გამოყვანისას? | დიახ | დიდი რაოდენობით მუშახელის და სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება | მნიშვნელოვანი, მშენებლობის მასშტაბიდან გამომდინარე |
| 1.27 | ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დემონტაჟის, ექსპლუატაციიდან გამოყვანის ან აღდგენითი სამუშაოები? | არა | | |
| 1.28 | ექსპლუატაციიდან გამოყვანისას მიმდინარე საქმიანობები, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე | არა | | |
| 1.29 | ხალხის დროებითი ან მუდმივი ნაკადი შესასწავლ ტერიტორიაზე? | დიახ | მშენებლობის პერიოდში მოხდება დასაქმებული პერსონალის გადაადგილება. | დასაქმებული პერსონალის გადაადგილებას შესაძლოა მოყვეს ბრაკონიერობა. |
| 1.30 | უცხო სახეობების შემოტანა/ინტროდუქცია? | ? | სავარაუდოა მშენებლობის და ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე | მნიშვნელოვანი |
| 1.31 | ადგილობრივი სახეობების ან გენეტიკური მრავალფეროვნების დაკარგვა? | დიახ | პროექტი ითვალისწინებს წყალსაცავისა და მისასვლელი გზების მშენებლობას. | პროექტის მშენებლობისას არსებობს დასაქმებული პირების მიერ ბრაკონიერობის რისკი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი სახეობების დაკარგვა. |
| 1.32 | ბიომრავალფეროვნებით მდიდარი/დაცული ტერიტორიების დაკარგვა? | დიახ | დატბორვის და მიწათსარგებლობის ცვლილების შედეგად, ასევე ფუნქციონირების დროს მიკროკლიმატის და ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილების შედეგად ვაზის ადგილობრივი ჯიშების დაკარგვის საფრთხე | მნიშვნელოვანი, თუმცა არ არის შეფასებული დოკუმენტში |
| 1.33 | სხვა ქმედებები? | | | |
| 2. მოხდება თუ არა პროექტის მშენებლობის ან ექსპლუატაციის ეტაპზე ისეთი ბუნებრივი რესურსების, როგორცაა მიწა, წყალი, ნედლეული ან ენერჯის გამოყენება, განსაკუთრებით არაგანახლებადი ან | | | | |

| შეზღუდული ოდენობის რესურსების გამოყენება? | | | | |
|---|---|------|---|--|
| 2.1 | მიწა, განსაკუთრებით აუთვისებელი ან სასოფლო - სამეურნეო მიწა? | დიახ | წყალსაცავის მშენებლობა, მიმყვანი გვირაბი. | მნიშვნელოვანი შემოქმედება, ფართობის და მდებარეობის გამო |
| 2.2 | წყალი? | დიახ | წყალსაცავის მშენებლობა, დერივაცია, ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება | მნიშვნელოვანი შემოქმედება, წყალსაცავის ზომისა და დერივაციის შედეგად შეცვლილი მდინარის რეჟიმის ზომის გამო |
| 2.3 | წიაღისეული? | არა | | |
| 2.4 | სამშენებლო მასალები (მაგ., ქვიშა, ღორღი, მოსაპირკეთებელი მასალები და სხვ.)? | დიახ | ჰესის სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა | მნიშვნელოვანი შემოქმედება, პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე |
| 2.5 | ტყე და ხე-ტყის მასალა? | დიახ | წყალმიმღების, ისევე როგორც წყალმიმყვანი გვირაბის განთავსება დაგეგმილია ხშირი ტყით დაფარულ ტერიტორიაზე. მშენებლობის დროს გამოყენებული ხე-ტყე (სამასალე მერქანი) | სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული რა ფართობის ტყეზე მოხდება შემოქმედება. ჩამოთვლილი მცენარეებიც 2015 წლის გზმ ანგარიშიდანაა გადმოწერილი. ამიტომ რთულია ზუსტად ითქვას რა მასშტაბის შემოქმედება მოხდება ტყის საფარზე. |
| 2.6 | ენერჯია, მათ შორის, ელექტროენერჯია და სანვავი? | დიახ | მშენებლობის ეტაპზე სანვავის და ელექტროენერჯიის გამოყენება | საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე, მშენებლობის დროს გამოყენებული ენერგომატარებლების რაოდენობა მნიშვნელოვანი იქნება |
| 2.7 | სხვა რესურსები? | | | |
| 3. მოიცავს, თუ არა პროექტი ისეთი ნივთიერებების ან მასალების გამოყენებას, შენახვას, ტრანსპორტირებას, დამუშავებას ან წარმოებას, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიყენონ ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს, ან გაზარდონ ადამიანთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რეალური ან აღქმული რისკების შესახებ შეშფოთება? | | | | |
| 3.1 | მოხდება, თუ არა პროექტის მსვლელობის დროს ისეთი მავნე და ტოქსიკური ნივთიერებების ან მასალების გამოყენება, რომელიც საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან გარემოსთვის (ფლორა, ფაუნა, წყლის რესურსები)? | დიახ | მშენებლობის დროს დაგეგმილია სხვადასხვა მავნე და ტოქსიკური ნივთიერებების გამოყენება, მაგალითად ტრანსპორტისთვის. | მავნე ნივთიერებების არასწორმა განთავსებამ, აგრეთვე გაუმართავმა სატრანსპორტო საშუალებებმა, შესაძლოა გამოიწვიოს როგორც ნიადაგის ასევე წყლის რესურსების დაბინძურება, რამაც შესაძლებელია |

| | | | | |
|---|--|------|--|--|
| | | | | უარყოფითად იმოქმედოს როგორც ადამიანების ჯანმრთელობაზე, ასევე ბიომრავალფეროვნებაზე. |
| 3.2 | გამოიწვევს, თუ არა პროექტი დაავადების გავრცელების ან დაავადების ვექტორების ცვლილებას (მაგ. მწერების მიერ ან წყლით გადამდები დაავადებები)? | დიახ | წყალსაცავის წარმოშობა იწვევს დაავადების გავრცელების რისკის ზრდას, დაავადების გამომწვევი ვექტორების ზრდას (მწერები, მოლუსკები) | მნიშვნელოვანი, საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე |
| 3.3 | ეწინება, თუ არა პროექტის განხორციელებას დადებითი ზეგავლენა ხალხის კეთილდღეობაზე მაგ., მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მხრივ | დიახ | სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებას და მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება | დოკუმენტში წარმოდგენილი დასკვნები პროექტის დადებით ზეგავლენასთან დაკავშირებით, საკმაოდ მოგადაია. არ არის ნაჩვენები კონკრეტული რაოდენობები, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენი ადამიანის დასაქმება მოხდება, როგორც პროექტის მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე. აგრეთვე დოკუმენტში არ არის განხილული როგორ მოხდება ფიზიკური და ეკონომიკური განსახლების კომპენსაცია. შესაბამისად, რთულია მსჯელობა, რამდენად გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები. |
| 3.4 | არის, თუ არა განსაკუთრებით მონყვლადი ადამიანების ჯგუფები, რომლებიც შეიძლება დაზარალდნენ პროექტის შედეგად, მაგ., საავადმყოფოს პაციენტები, მოხუცები? | ? | | |
| 3.5 | სხვა მიზეზები? | | | |
| 4. წარმოიქმნება თუ არა მყარი ნარჩენები პროექტის მშენებლობის, ოპერირების ან ექსპლუატაციიდან გამოსვლის ეტაპებზე? | | | | |
| 4.1 | ფუჭი ქანები და წიაღისეულის მოპოვების ნარჩენები? | დიახ | მშენებლობის ეტაპზე | ფუჭი ქანების განთავსებამ შესაძლოა გამოიწვიოს ვიზუალური დაბინძურება; |
| 4.2 | მუნიციპალური ნარჩენები (საყოფაცხოვრებო ან/და | დიახ | როგორც მშენებლობის, ისე | არ არი შეფასებული |

| | | | | |
|--|---|------|--|---|
| | კომერციული ნარჩენები)? | | ფუნქციონირების ეტაპზე | |
| 4.3 | სახიფათო/მაგნი ან ტოქსიკური ნარჩენები (მათ შორის, რადიოაქტიური ნარჩენები)? | დიახ | მაგალითად, გამონამუშევარი მეთეები, როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე (ტრანსფორმატორები, ტურბინები) | სახიფათო ნარჩენების არასწორმა მართვამ შესაძლოა გამოიწვიოს ნიადაგის და წყლის დაბინძურება. შესაბამისად, საფრთხე შეექმნას როგორც მოსახლეობას, აგრეთვე ბიომრავალფეროვნებას. |
| 4.4 | სხვა სამრეწველო ნარჩენები? | ? | | |
| 4.5 | ჭარბი პროდუქტები? | ? | | |
| 4.6 | ჩამდინარე წყლების გასუფთავების პროცესის ნარჩენები? | ? | | |
| 4.7 | სამშენებლო ან დემონტაჟის ნარჩენები? | ? | | |
| 4.8 | ზედმეტი ტექნიკა ან მოწყობილობები? | ? | | |
| 4.9 | დაბინძურებული ნიადაგი ან სხვა მასალა? | ? | | |
| 4.10 | სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები? | არა | | |
| 4.11 | სხვა მყარი ნარჩენები? | ? | | |
| 5. დაბინძურდება თუ არა პროექტის განხორციელებისას ატმოსფერული ჰაერი მაგნი, ტოქსიკური და საზიანო ნივთიერებებით? | | | | |
| 5.1 | საწვავი წიაღისეულის (fossil fuels) წვის გამონაბოლქვი სტაციონარული ან მოძრავი ობიექტებიდან? | დიახ | მიწის სამუშაოებისა და სატრანსპორტო ოპერაციების დროს, მშენებლობის ეტაპზე | არ არის სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი |
| 5.2 | წარმოების პროცესის გამონაბოლქვი? | არა | | |
| 5.3 | მასალებით სარგებლობის პროცესის, მათ შორის, დასაწყობების ან ტრანსპორტირების გამონაბოლქვი? | დიახ | სხვადასხვა დანადგარ-მექანიზმების (ბეტონის კვანძი, სამსხვრევი) გამონაბოლქვი | არ არის სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი |
| 5.4 | მშენებლობის, მათ შორის, საწარმოს მშენებლობის და ტექნიკა-მოწყობილობების განთავსების პროცესის გამონაბოლქვი? | დიახ | | |
| 5.5 | მასალებით, მათ შორის, სამშენებლო მასალებით | დიახ | | არ არის სკოპინგის |

| | | | | |
|--|---|------|---|--|
| | სარგებლობის პროცესით, გამონამუშევარი წყლების გაუფრეზაციო და ნარჩენების განთავსების პროცესით გამონწვეული მტვერი ან სუნი? | | | ანგარიშში წარმოდგენილი |
| 5.6 | ნარჩენების წვის გამონაბოლქვი? | არა | | |
| 5.7 | ნარჩენების წვა ღია ცის ქვეშ (მაგ., ნახერხი, სამშენებლო ნარჩენები)? | არა | | |
| 5.8 | ნებისმიერი სხვა გამონაბოლქვი? | არა | | |
| 6. გამოიწვევს თუ არა პროექტი ხმაურს და ვიბრაციის, ან სინათლის, სითბური ენერჯის ან ელექტრომაგნიტური რადიაციის გავრცელებას? | | | | |
| 6.1 | მონყობილობების მუშაობის შედეგად, მაგ., ძრავები, სანარმოს ვენტილაცია, სამსხვრევეები? | დიახ | ტურბინების ხმაური | მნიშვნელოვანი შემოქმედება, მაგრამ არ არის სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი. შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს მოსახლეობისათვის და გეგური ბუნებისთვის |
| 6.2 | სამრეწველო ან სამრეწველოს მსგავსი პროცესებიდან? | არა | | |
| 6.3 | სამშენებლო ან დემონტაჟის სამუშაოებიდან? | დიახ | სამშენებლო სამუშაოების დროს წარმოიქმნება ხმაური | მნიშვნელოვანი შემოქმედება, მაგრამ არ არის სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი |
| 6.4 | აფეთქების ან რაიმეს დასაწყობების შედეგად? | დიახ | სკოპინგში ვკითხულობთ, რომ სამუშაოები მოიცავს ბურღვა -აფეთქებებსაც. თუმცა არ არის შესწავლილი ამ აფეთქებითი სამუშაოების შედეგად გარემოზე და მოსახლეობაზე გემოქმედება. | არ არის სკოპინგის ანგარიშში შეფასებული მნიშვნელოვანი შემოქმედება, მაგრამ არ არის სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი |
| 6.5 | მშენებლობისას ან ექსპლუატაციისას ტრანსპორტირების შედეგად? | დიახ | სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება განსაკუთრებით მშენებლობის ეტაპზე გამოიწვევს ხმაურს, რომელიც გავლენას მოახდენს მიმდებარე დასახლებებზე. | ანგარიშის მიხედვით, საშუალო. შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით - გემოქმედება იქნება დაბალი |
| 6.6 | განათების და გამაგრილებელი სისტემებიდან? | არა | | |

| | | | | |
|---|--|------|--|--|
| 6.7 | ელექტრომაგნიტური რადიაციის წყაროებიდან (მხედველობაში მიიღება ზემოქმედება როგორც ახლოს მდებარე მგრძობიარე ხელსაწყოებზე, ასევე, ადამიანებზე) | არა | | |
| 6.8 | სხვა წყაროებიდან? | | | |
| 7. არსებობს, თუ არა ნიადაგში, მიწისქვეშა და ზედაპირულ წყლებში, სანაპირო და ზღვის წყლებში დამბინძურებლების ჩაშვებით წყლის ან ნიადაგის დაბინძურების რისკი? | | | | |
| 7.1 | მაგნე და ტოქსიკური ნივთიერებების გაუვნებელების, დასაწყობების, გამოყენების ან დაღვრის შედეგად? | დიახ | <p>მშენებლობის ეტაპზე მდინარის კალაპოტის სიახლოვეს მიმდინარე სამუშაოებმა შეიძლება გამოიწვიოს ნავთობპროდუქტების და სხვა ქიმიური ნივთიერებების უშუალოდ წყლის ობიექტში ჩაღვრა.</p> <p>ასევე აქსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ჰესის არა რეკულტივირებული უბნებიდან მყარი ნაწილაკებით დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენი; ჰესების ნამუშევარი წყლის დაბინძურება ტურბინის ზეთით ქიმიური ნივთიერებების დაღვრის შედეგად დაბინძურებული ზედაპირული ჩამონადენის ჩადინება, ან მათი უშუალოდ წყლის ობიექტში ჩაღვრა მყარი/თხევადი საყოფაცხოვრებო ნარჩენები, სარემონტო სამუშაოებისას წარმოქმნილი სამშენებლო მყარი/თხევადი ნარჩენები.</p> | საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ზემოქმედებაა, მაგრამ არ არის სკოპინგის ანგარიშში შეფასებული |

| | | | | |
|--|--|------|--|--|
| 7.2 | წყალში ან ნიადაგში კანალიზაციის ან სხვა ჩამდინარე წყლების (განმენდილი თუ გაუნმენდავი) ჩაშვების შედეგად? | დიახ | მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო ბანაკებიდან. | |
| 7.3 | ჰაერში გაფრქვეული დამბინძურებლების ნიადაგში ან წყალში გადატანის შედეგად? | ? | | |
| 7.4 | სხვა წყაროებიდან | | | |
| 7.5 | არსებობს, თუ არა ჩამოთვლილი წყაროებიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოყოფილი დამბინძურებლების გარემოში აკუმულირების რისკი? | ? | | |
| 8. არსებობს, თუ არა პროექტის მსვლელობისას აგარიების რისკი, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ადამიანთა ჯანმრთელობასა და გარემოზე? | | | | |
| 8.1 | მაგნე, საშიში ან ტოქსიკური ნივთიერებების შენახვისას, გამოყენებისას ან წარმოებისას აფეთქებების, დაღვრის, ხანძრის და მსგავსი შემთხვევების შედეგად? | დიახ | გვირაბის გაყვანის და კაშხლის მშენებლობის სამუშაოები, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები | მნიშვნელოვანი შემოქმედება |
| 8.2 | გარემოს დაცვის ნორმების დარღვევა, მაგ., დამბინძურებლების კონტროლის სისტემების მოშლის შედეგად? | დიახ | არასათანადო კონტროლი მდინარის წყლის ხარისხზე, ეკოლოგიური ხარჯის დაცვასთან დაკავშირებით. კაშხლის გარეცხვის მიზნით მდინარის ბალპური გაშვება. | |
| 8.3 | სხვა მიზეზებით? | | | |
| 8.4 | იმოქმედებს, თუ არა პროექტზე ბუნებრივი კატასტროფები (მაგ. წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და ა.შ.), რომელთაც მოჰყვება გარემოს დაზიანება? | დიახ | როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე. კაშხლისა და გვირაბების მშენებლობა | პროექტი დაგეგმილია სეისმურად აქტიურ ზონაში |
| 9. გამოიწვევს თუ არა პროექტი სოციალურ ცვლილებებს/შემოქმედებას მოსახლეობაზე, მაგ., დემოგრაფიაზე, ტრადიციულ ცხოვრების წესზე, დასაქმებაზე? | | | | |
| 9.1 | მოსახლეობის რიცხოვნობის, ასაკობრივი სტრუქტურის, სოციალური ჯგუფების და ა.შ. ცვლილებები? | დიახ | | არ არის სკოპინგის ანგარიშში შეფასებული |
| 9.2 | მოსახლეობის გადასახლება, სახლების ან თემების მოშლა ან ნაგებობების დანგრევა, მაგ., სკოლების, საავადმყოფოების, სოციალური ობიექტების | დიახ | პროექტის ითვალისწინებს ფიზიკურ და ეკონომიკურ განსახლებას | არ არის სკოპინგის ანგარიშში შეფასებული |

| | | | | |
|---|--|------|--|---|
| 9.3 | ახალი მაცხოვრებლების ჩასახლება ან ახალი თემების შექმნა? | არა | | |
| 9.4 | ადგილობრივ ნაგებობებზე ან მომსახურებაზე (მაგ., საცხოვრებელი, განათლების, ჯანმრთელობის) მოთხოვნის ზრდის შედეგად გაზრდილი მოთხოვნები | დიახ | მშენებლობის ეტაპზე, დიდი რაოდენობით მუშა ხელის და ტრანსპორტის მობილიზაცია გაზრდის მოთხოვნილებას წყლის რესურსებზე, საკვებზე, საცხოვრისზე | მნიშვნელოვანი ცვლილებები, გარკვეულწილად, შესაძლოა, დადებითი ხასიათის ცვლილებებიც კი |
| 9.5 | სამუშაო ადგილების შექმნა მშენებლობის ან ოპერირების დროს, ან სამუშაო ადგილების დაკარგვა, რაც იმოქმედებს დასაქმებაზე და ეკონომიკაზე | დიახ | პროექტის მიხედვით შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და დასაქმდება ადგილობრივი მაცხოვრებლები, თუმცა რა რაოდენობით უცნობია. | არ არის სკოპინგის ანგარიშში შეფასებული |
| 9.6 | სხვა მიზეზები | დიახ | ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულებს/კომპანიებს შეექმნებათ პრობლემები როგორც ჰესის მშენებლობის, ისე ფუნქციონირების ეტაპზე | მნიშვნელოვანი ზემოქმედება. მშენებლობის დროს სამშენებლო ტექნიკის მობილიზება გამოიწვევს სატრანსპორტო სისტემასთან დაკავსირებულ პრობლემებს რაჭისა და ლეჩხუმის ცენტრში. ... სასოფლო სამეურნეო სავარგულების დატბორვა, მიკროკლიმატის და ჰიდროლოგიის რეჟიმის ცვლილება პრობლემებს შეუქმნის ღვინის მწარმოებლებს, მარნებს და საოჯახო სასტუმროებს |
| 10. არსებობს, თუ არა სხვა რაიმე გასათვალისწინებელი ფაქტორი, რომელიც გამოიწვევს გარემოზე ზემოქმედების კუმულაციურ ეფექტს ტერიტორიაზე არსებული და დაგეგმილი სხვა საქმიანობების შედეგად? | | | | |
| 10.1 | გამოიწვევს, თუ არა პროექტი გეწოლას შემდგომ განვითარებაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს გარემოზე, მაგ. მეტი საცხოვრებელი, ახალი გზები, ახალი სამრეწველო საწარმოები და ა.შ. | ? | შესაძლებელია, უნდა შეფასდეს კუმულაციური ზემოქმედება | |
| 10.2 | პროექტის განხორციელება გამოიწვევს დამხმარე ობიექტების, დამხმარე საშუალებების განვითარებას მაგალითად: დამხმარე ინფრასტრუქტურები (გზები, ელექტროენერჯია, ნარჩენები და ა.შ.), რაც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს | დიახ | | |

| | | | | |
|------|---|------|--|---|
| | გარემოზე | | | |
| 10.3 | პროექტის განხორციელება გამოიწვევს ადგილის შემდგომ გამოყენებას, რამაც, შეიძლება, თავის მხრივ, იქონიოს ზეგავლენა გარემოზე | დიახ | | უნდა შეფასდეს გზშ ანგარიშის მომზადებისას |
| 10.4 | ქმნის, თუ არა პროექტი პრეცედენტს, შემდგომი განვითარების პროექტებისთვის? | დიახ | ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობა | მნიშვნელოვანი ზემოქმედება |
| 10.5 | ეწეება, თუ არა პროექტს კუმულაციური ზემოქმედების ეფექტი, არსებული და დაგეგმილი მსგავსი ეფექტის მქონე პროექტების შედეგად? | დიახ | არსებული და დაგეგმილი პესები | მნიშვნელოვანი ზემოქმედება, განსაკუთრებით ზუთხის სახეობების კონსერვაციის მიმართულებით შეიძლება შეუქცევადი შედეგები მოიტანოს. |